




# ისტორიული ხემკვიდრობა

სამათებიარო-კოკულარული შურცალი, 2013 წ. აპრილი, №4 (33), ფასი 3 ლარი



„ო, ენავ ჩემო,  
დედაო ენავ,  
შენ ჩვენო ნიჭო,  
სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან“.  
ირაკლი აბაშიძე, „ხმა კატამონთან“

**«ჩვედა სავალალოდ, ღღას სახართვალოდ  
არაზერი კეთილგა სალიტარატურო ერს  
ცორეათა, სიცოდეის, კოცეპტუალი სტატუსის  
დაზვისა და განეტკიზვის თვალსაზრისით»**

**7 მამალი-  
ხვილის  
უკადაგა  
— აკაკი  
გაიცე**

**10 24 ნოემბრი  
9 აკადემი  
ტრაგედია**

**21 «ჯერ  
ურვალ-  
დღიურ  
ვარაუზი  
ვიზრუნოთ»**

**27 თაყაი-  
გვილაგი  
და ბარია**

გოგი დოლიძე:  
**30 პირველ  
რიგში  
ქართველი  
ხარ და  
მერა.  
ვიცხ გიდეა,  
ის იყავი**

**შართა ამთა  
— მჩავალ-  
ჟავირ,  
33 ბაგრატი**

**35 მე  
დავისწერა  
აკადემი  
ტვეში.  
ვაკლების  
გაულილ  
უკავი-  
ლებიდან»**

**39 თემერ  
აფაქიძე —  
ავიაციის  
გეორგი-  
ებიშვილი**

**46 სტერილ  
ავთანდილ  
მიქაელისთან**



ზოგიან ტაბიქე,  
ქათევან გალალავოლის ძალაში

# სარჩვი

ო, ეცავ ჩამო...	
ლევან ბაიცილია: ჩვენება სავალალოდ, დღას საქართველოში არაფერი კათგუას სალიტერატურო ცის ცოდნათა, სიცოდის, კოსტიტუციური სტატუსის დაცვისა და განვითარების თვალსაზრისით 4	
ლილი ეპიდემია	
1987 წლის 3 აპრილს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა აკაკი გაიძინება 7	
სისხლიადი ისფორია	
24 წლი 9 აპრილის ტრაგედიიდან 10	
სალური საგანგავი	
„ციცარისა ციცალისა“ – ციცი-გატიანა 12	
მაგალიზოლი	
გამოჩენილი ქართველი მოაზროვანი 14	
განათლება	
„ჯერ ყოველდღიურ ვარაუდი ვიზრებით“ 21	
ქართული პრესის არავიზუალური ციცელი 24	
როც ცავადით თუ უკან?	
ერთი ფრაგმენტი 27	
თაყაიმალები და გარია	
გოგი ღოლიძე: პირველ აივნი ქართველი სარ და გარე, ვიცე გილეა, ის იყავი 30	
მოგვითხოვთ ფრონტული პარატები	
მოყვარისტვის განირენი სიცოცხლე 32	
მოდეტრენერი	
შართა აეთა – გრავალუამიარ, ყაგრატ! 33	
უკვდაგება	
„ეს დავიგადა აკრილის თვეში, ვაკლების გაუღილ უვავილებელი“ 35	
რეასონის ეროვნული განილება	
თემარ აფაქიძე – ავიაციის გაცემალ-გაირჩი 39	
პარალელები	
ქართული ქრისტიანული კულტურის ქვალი 41	
ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში	
ზოფოალგომი	
სტერეო ავთაძელ მიქაპათან 46	
მს საინტერესოა	
„მოგონებანი გარდასელ დღითა“ 50	

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



**ლევან ღვიშვილია:**

# ჩვენდა სავალალო, ძლის საქართველოში არაფარი კათაგა სალიტერატურო ენის ცოდნათა, სიცოდნის, კონსტიტუციური სტატუსის დაცვისა და განეტკიცხვის თვალსაზრისით

14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. 35 წლის წინ, 1978 წელს, საქართველოს მოსახლეობამ, ინტელიგენციის ნარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, გაუქმების თაობაზე. 1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირის 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის ნარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ და რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა და, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია.

14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა. რამდენად ვუფრთხოლდებით და ვიცავთ დღეს მშობლიურ ენას, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, „ნაციონალთა“ მიერ გაუქმებული ენის სახელმწიფო პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ღვიშვილის გვესაუბრება.

— ქართული სალიტერატურო ენა მრავალსაუკუნოვანი ქართული აზროვნების პირმშოა, თავისთავში რომ შეიცავს მუდმივი განახლების, ძიების რთულ პროცესებს და ის, ამავე დროს, აზროვნების მძლავრი იარაღიცაა. ბატონო ლევან, რა კეთდება დღეს თანამედროვე სალიტერატურო ენის სინმინდის დაცვისა და მისი განვითარების მიზნით, როგორც სახელმწიფოებრივი მიმართულებით, ასევე წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით?

— ენის, როგორც ზემოხსენებული ფენომენისადმი, ეს ორი მიდგომა უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან. ენის შესწავლა არის მეცნიერების სფერო, ხოლო ენის

სინმინდის დაცვა მიზნობრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამ შემთხვევაში საუბარია ქართული სალიტერატურო ენის სინმინდის დაცვაზე, ხოლო, როდესაც ენის მეცნიერულ შესწავლაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება არამხოლოდ სალიტერატურო ენის მეცნიერულ შესწავლა, რაც შემდეგ საფუძვლად ედება შესაბამის ნორმატიულ გადაწყვეტილებებს, არამედ შეისწავლება ცოცხალი დიალექტები, ძველი ქართული ენა და ქართველური ენები. ამდენად, ის საქმიანობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ხორციელდებოდა ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, დღესაც გრძელდება. მარ-

თალია, არა ისეთი ინტენსივობითა და მასშტაბებით, როგორც ეს თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ იყო, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობა ჯერჯერობით კვლავ მიმდინარეობს.

რაც ვევება სალიტერატურო ენის ცოდნათა დაცვას, ენის სიცოდნის დაცვას, სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვასა და განმარტებებას, ამ თვალსაზრისით, ჩვენდა სავალალოდ, დღეს საქართველოში არაფრი კეთდება. ეს საქმიანობა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან შეწყდა, როდესაც მათ გააუქმეს პარლამენტში სახელმწიფო ენის



80

ქვეკომიტეტი, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო კომისია (რომელიც მათთვის მუდმივი არ აღმოჩნდა). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კომისიას, ყოველთვის სათავეში ედგა საბჭოთა პერიოდში მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ — ქვეყნის პრეზიდენტი, ჯერ ზეგიად გამსახურდია, შემდეგ კი ედუარდ შევარდნაძე. მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა არათუ ამ კომისიის თავმჯდომარეობა არ ინება, არამედ ის საერთოდ გააუქმდა.

ასევე გაუქმდა, საქართველოს  
ენის სახელმწიფო პალატა, რომე-  
ლიც უშუალოდ ქვეყნის პრეზი-  
დენტს ეკვემდებარებოდა და მისი  
მოვალეობა იყო სალიტერატურო  
ენის ნორმების, სინმინდისა და  
კონსატიტუციური სტატუსის დაც-  
ვა და ასევე ეთნიკურ უმცირესო-  
ბათა ენობრივი ინტერესების დაც-  
ვა არსებული კანონმდებლობის  
ფარგლებში.

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თითქოს დაიწყო საუბარი სახელმწიფო ენის პალატის აღდენენაზე. თუ არის რაიმე სიახლე ამ მიმართულებით?

— თუ გულისხმობთ მოსახლეების დიდი ნაწილის სოციალურ ქსელებში აქტიურობას, დიახ, ისინი მოითხოვენ მაკონტროლებელი ორგანოს შექმნას ან მის აღდგენას, თუმცა ხელისუფლებას ამ მხრივ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი ეძღვნებოდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გაატაროს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კოალიციამ, სახელმწიფო ენის დაცვის თვალსაზრისით. მეტიც, როდესაც გიგინა ივანიშვილს პარლამენტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის განაცხადა, რომ სახელმწიფო ენას ღირსეულად უნდა მოუაროს სახელმწიფო მართვის და უნდა განააზრდოს მისი კონსტიტუციური სტატუსის



ს. სამცუსაროდ, ჭერელო-  
პით ამ მიმართულებით დეკ-  
ლარაციული მინიჭვებების  
მიუნი არაუღია გაკეთებულა.

— ქართველოლოგია, რომლის  
საწყისები ჯერ კიდევ ანტიკურ  
ხანას განეკუთვნება, საყოველა-  
თაო ინტერესს ემსახურებოდა.  
როგორია თანამედროვე ეტაპზე  
ქართველოლოგიით დაინტერე-  
სების სურათი?

— ჯერჯერობით საქართველო  
უცხოელებს პოლიტიკური შიდა  
აშლილობისა და კინკლაობის შემ-  
ყურე უფრო მეტად აინტერესებთ.  
რაც შეეხება ქართველობის  
მეცნიერულ კვლევას, რომელიც  
უცხოეთში ინტენსიურად მიმდი-  
ნარეობდა, **რამდენადაც დღევან-  
დელი ხელისუფლების მხრიდან**  
**კვლევა ნახალისებული არ არის,**  
შესაბამისად, უცხოელი მკვლე-  
ვარების ახალი თაობაც ნაკლე-  
ბად იჩენს დანტერესებას. თუ ად-  
რე იმართებოდა ქართველობი-

შემავალი ავტონომიური ოლქების დედაქალაქებში: მახატყალაში, გროზნოში, ნალჩიკში და შესაბამისი ლიტერატურაც გამოიცემოდა, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მივიწყებულია.

— რამ გამოიწვია ამ ყველაფრის მივიწყება?

— ამის მივიწყება გამოიწვია ხე-  
ლისუფლების აგდებულმა დამო-  
კიდებულებამ მეცნიერული კვლ-  
ევა-ძიებისადმი და საერთოდ, უმ-  
აღლესი განათლებისა და სამეც-  
ნიერო დაწესებულებების საქმია-  
ნობაში უხეშმა ჩარევამ. ყველას  
გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ რა  
ვითარება იყო სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტში, როდესაც ცნობილი  
პროფესორ-მასწავლებლები გა-  
მოამზევდიეს დარბაზში, არადა,  
ისინი მოითხოვდნენ, რომ ქართუ-  
ლი უნივერსიტეტის პროფესორ-  
მასწავლებლები სრულიად დაუმ-  
სახურებლად და უაპელაციოდ,  
დაუსაბუთებლად არ გაეძევებინ-  
ათ დედაუნივერსიტეტიდან.

მეტსაც გეტყვით: სიტყვებს —  
დედაუნივერსიტეტი და თეთრი  
ტაძარი, წინა ხელისუფლების  
წარმომადგენლები და სხვა უნი-  
ვერსიტეტების ხელმძღვანელი  
პირები აგდებულ კონტექსტში  
მოიხსენიებდნენ.

დანამდვილებით ვიცი, როდე-  
საც წყდებოდა საკითხი ყოფილი  
პულკინის, შემდგომში კი სულხან  
საბა ორბელიანის სახელობის პე-  
დაგოგიური უნივერსიტეტისა და  
ილია ჭავჭავაძის სახელობის  
უცხო ენათა სახელმწიფო პედა-  
გოგიური უნივერსიტეტის შეერ-  
თებისა, მსჯელობდნენ, გაერთი-  
ანებული უნივერსიტეტისთვის  
სულხან-საბას სახელი დაერქმი-  
ათ თუ ილია ჭავჭავაძის. საბოლო-  
ოდ, მხოლოდ იმიტომ გადაწყდა,  
დაერქმიათ ილია ჭავჭავაძის სა-  
ხელი, რომ ერთ-ერთმა ხელმძღ-  
ვანელმა თქვა, ჯავახიშვილის ნი-  
ნააღმდეგ უფრო კონკურენტული  
ჭავჭავაძი იქნებათ.

ამას გარდა, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დასახელებებიდან ამონილეს სიტყვა — სახელობის. მეტიც, ილია ჭავჭავაძის გვარიც კი ამონილეს



უნივერსიტეტის დასახელებიდან  
და ილიას უნივერსიტეტი დაარქ-  
ვეს, რაც აბსოლუტურად გაუმარ-  
თლებელი გადაწყვეტილება იყო  
არამარტო პრაქტიკული, არამედ  
ლინგვისტური თვალსაზრისითაც.  
როდესაც ვიკითხე, რატომ ამოი-  
ლეს გვარი უნივერსიტეტის დასა-  
ხელებიდან, უნივერსიტეტის ერთ-  
ერთმა მაღალი თანამდებობის  
პირმა მიპასუხა, — უცხოელების-  
თვის გვარი ჭავჭავაძე ძნელი წარ-  
მოსათქმელიაო. თუნდაც ასეთი,  
სახელდების საკითხები არის მო-  
საგვარებელი და ამისთვის არსე-  
ბობდა ის დაწესებულებები, რომ-  
ლებიც ზემოთ ჩამოვთვალი..

— უურნალისტებს ხშირად აკ-  
რიტიკებენ, რომ ისინი ქართული  
ენის ნორმებს არღვევენ. თქვენ  
რას გვეტყვით ამასთან დაკავში-  
რებით?

— ამის შესახებ მეც არაერთხელ  
გამომიქვეყნებია ჩემი თვალსაზ-  
რისი. ერთ, ძალიან ცნობილ, უცხო-  
ეთში მცხოვრებ ქართველ საზოგა-  
დო მოღვაწეს, ჯანრი კაშიას, რო-  
დესაც ჰკითხეს, რა არის დემოკრა-  
ტიაო, მან ხატოვნად უპასუხა: დე-  
მოკრატია არის უურნალისტიკის  
დიქტატურაო. მენიშნა ეს სიტყვე-  
ბი, ვინაიდან, თუ უურნალისტიკა  
არის ზნეობრივი და მიუკრძოებე-  
ლი, მაშინ მისი დიქტატურა, ანუ მი-  
სი ვერდიქტი, რომლის სამართლი-  
ანობაში ეჭვი არავის შეეპარება,  
სწორედაც რომ იქნება დემოკრა-  
ტიის საფუძველი და გარანტი.

სამწუხაროდ, ქართულ უურნა-  
ლისტიკაში არ არის კარგი ვითა-  
რება. ცოტა უკეთესი მდგომარე-  
ობაა სახელმწიფო რადიოში, მაგ-  
რამ დასამშვიდებელი ვითარება  
არც იქ გვაქვს. გაზეთები ნაკლებ  
ზემოქმედებას ახდენენ ამ თვალ-  
საზრისით, ვინაიდან მკითხველთა  
წრე შეზღუდულია, მაგრამ, რაც  
შეეხება ტელევიზიებს (ინტერნეტ-  
ტელევიზიების ჩათვლით), ვერ და-  
ვასახელებ ვერც ერთ მათგანს, სა-  
დაც ტოტალურად და დაუზოგა-  
ვად არ მახინჯდებოდეს ქართული  
ენის ნორმები.

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მხოლოდ ერთს ვიტყვი: ტელევიზიების ხელმძღვანელებმა

და უურნალისტებმა ვერაფრით  
გაიგეს, რომ სპონსორი ყოველთ-  
ვის არის ფიზიკური ან იურიდიუ-  
ლი პირი. ჩვენთან კი სპონსორე-  
ბად გვევლინებიან სალეჭი რეზი-  
ნები, ჰიგიენური პაკეტები, საცვ-  
ლები... გადაცემას წარმოგიდ-  
გენთ, მაგალითად, გაყინული ქათ-  
მის ბარკალი „სადიაო“ აცხადებენ,  
რანაირად შეიძლება „სადიამ“ გა-  
დაცემა წარმოადგინოს? ეს ნიშ-  
ნავს, რომ არამარტო კანონს არ-

ლვევ, არამედ მოსახლეობასაც  
ატყუებ და ენასაც ამახინჯებ. ტე-  
ლევიზიაში ერთი ადამიანი მაინც  
უნდა იჯდეს ისეთი, რომელიც ამ  
შეცდომას მიხვდება. ეს არის ყოვ-  
ლად გაუგონარი უმეცრება.

აღარაფერს ვამბობ უურნალის-  
ტების მეტყველებაზე, რომელიც  
საერთოდ კურიოზის საგანია და  
არამხოლოდ ლექსიკური გაუცნო-  
ბიერებლობის თვალსაზრისით.  
იყენებენ სიტყვებს, რომელთა  
მნიშვნელობაც არ იციან. ამას  
გარდა, სურთ, სწრაფად იმეტყვე-  
ლონ და მუდმივად ამახინჯებენ  
ქართული ენის ბუნებრივ ინტონა-  
ციას, რომლითაც ქართული ენა  
სხვა ენებისგან გამოირჩევა. ქარ-  
თული დარბაისლური მეტყველე-  
ბაა, განსხვავებით, მაგალითად,  
ფრანგულისგან, რომელსაც სწრა-  
ფი ინტონაცია ახასიათებს.

ლოზუნგი, რომელიც იღლია ჭავ-ჭავაძემ დაგვიტოვა — ენა, მამული, სარწმუნოება, უნდა დავიცვათ. საბეჭიოეროდ, სარწმუნოებას ჰყავს ღირსეული პატ-რონი, ჩვენი პატრიარქის სახით, გამულს და ენას კი სახელმწიფო უნდა უკატრონოს. ეს უნდა იყოს უპირველე-

**სისაზღრუნვისი.** რატომმაც ჰელ-  
ნიათ, რომ კარტოფილისა და ყურ-  
ძნის მოსავალი თუ გაიზრდება, ეს  
საკმარისია. ეს უნდა იყოს საშუა-  
ლება და არა მიზანი. მიზანი  
არის ეროვნული მისიის აღს-  
რულება და არა უცი მოსავ-  
ლის გილება. ჩვენდა სამწუხა-  
როდ, ეს მიზანი პერ ხელი-  
სუფლებას მკვეთრად გამო-  
ხატული და ხმამაღლება გაცხა-  
დებულ არ აქვს.

**ესაუბრა  
შორენა ცივქარაშვილი**

## იაკობ გოგებაშვილი:

მშობელი, რომელიც თავისს  
შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-  
ენის გავლენისა, სწყვეტენ კავ-  
შირსა მათსა და სამშობლოს შო-  
რის, უკარგავენ თავისს ქვეყანა-  
სა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ  
რაზმს ქართველებისას, რომელ-  
ნიც ემსახურებიან სამშობლოს  
ნარმატებასა, მის ბეჭნიერებასა.

\* \* \*

ჩვენი ქართული ენა ისეთს განსაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰყავს სხვა ეპროპიულს ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან, აღიარონ იგი განცალკევებულ თავისებურ ენად და არ შისცენ ადგილი არც თურანულ და არც ინდოევროპიულ ენათა შორის.

\* \* \*

უცხო ენა ვერას დროს ვერ ჩაა-  
ტანს ლრმად კაცის ბუნებაში, რო-  
გორც მისთვის შეუსაბამო ნიადაგ-  
ში, და ვერას დროს ვერ გაუწევს  
დედა-ენის სამსახურს კაცის აზ-  
როვნებას და გრძნობას. ამ შემთხ-  
ვევაში არამც თუ თითონ უცხო ენა  
კაცის ბუნების ზედა პირზე სლი-  
კინობს, დედა-ენისათვისაც უკვე  
შეუძლებლად ჰქედის, ლრმად გა-  
იღგას ფესვები, რადგანაც, ერთი  
შეურყეველი ფსიქოლოგიურის კა-  
ნონის ძალით, პირველი ენის ჩა-  
ბეჭდილებანი გზაზე დ ელობებიან  
მეორე ენის ჩაბეჭდილებათა, არ  
უშვებენ ქვევით და სტოვებენ მათ  
ტვინის ზედა-პირზე.

\* \* \*

ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულობის ენათა დასსა.

\*\*\*

დედა-ენა გარევნობით როდია  
ადამიანის არსებასთან შეკავში-  
რებული, იგი როდი ჰგავს ტანისა-  
მოსსა, რომლის გამოცვლა ადვი-  
ლად და უვნებლად შეიძლება. მას  
აქვს ღრმად გამდგარი ფესვები  
ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის  
ორგანოებში, ძვალსა-და რბილში,  
მთელს მის ბუნებაში; იგი არის  
ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუ-  
ნებას ზედ გამოუქრია ადამიანის  
სულსა და ხორცზედ, მის ფსიქო-  
ლოგიურს და ფიზიოლოგიურს  
აჯებულებაზე.



## 1987 წლის 3 აპრილს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა აკაკი შაიძე

### მამული მამი უკვდავება

აკაკი შანიძე მრავალმხრივი მეცნიერი იყო. ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია, ქართული ტექსტოლოგია, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, მწერლის ენა, ფოლკლორისტიკა, ალბანოლოგია, რუსთველოლოგია — აი, დარგები, რომლებიც იზიდავდა ჩვენს დაულალავ მეცნიერს და ამ ფილოლოგიურ დისციპლინებში მან ფუძემდებლური ნაშრომები დაგვიტოვა.


აკაკი შანიძე 1887 წლის 26 თებერვალს გურიაში, საჯავახოში, სოფელ ნოღაში დაიბადა. მამა, გაბრიელ ოქროპირის ძე, მედავიონე იყო, მაგრამ მიწაზეც მუშაობდა, რათა შეილებისთვის სწავლის ფული მოეგროვებინა. აკაკიმ წერა-კითხვა შინ ისწავლა, უფროსი ძმებისაგან, მათ კი განათლება ოზურგეთში ჰქონდათ მიღებული. ბავშვობაში ხიფათიანს არაერთი განსაცდელი შეხვედრია, მაგრამ დიდი საქმის აღმსრულებლად მოვლენილს იღბალიც თან დაჰყუებოდა. მუდამ ცნობისმოყვარეს ერთხელ ბიძის მეგრულ საუბარზე უნატრია: „ნეტავ მეც ვიცოდე მეგრულიო“. რას წარმოიდგენდა, რომ ისწავლიდა არა მხოლოდ მეგრულსა და სვანურს, არამედ ბერძნულს, ლათინურს, არაპულს, სპარსულს, სომხურს, თურქულს, გერმანულს, ინგლისურსა და ფრანგულს.

რამდენიმე სასწავლებელი და-ამთავრა: ჯერ სამრევლო სკოლაში მიაბარეს, მერე ქუთაისის სა-

სულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს, იქიდან კლასიკურ გიმნაზიაში პირდაპირ მესამე კლასში ჩარიცხეს, მეხუთე კლასის დასრულების შემდეგ ერთი წლის მასალაც ექსტერნად ჩააბარა და პირდაპირ მეშვიდე კლასში დასვეს. ასე რომ, 22 წლის აკაკი, რომელსაც მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზნები ჰქონდა, რუსეთში სწავლის გაგრძელებისათვის უკვე მზად იყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტი ფშავ-ხევსურეთში მთის კილოებს სწავლობდა. მასპინძლობას თვით ვაჟა-ფშაველა უწევდა.

პედაგოგ ივანე ჯავახიშვილთან ერთად დაარსა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“. ამ წრის ორგანიზატორებმა რუსეთსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს ანკეტები დაუგზავნეს. ამ ანკეტებს უნდა გამოერკვია, სად რამდენი ქართველი სწავლობდა, რა ფაკულტე-



ტებს ანიჭებდნენ უპირატესობას, როგორი იყო მათი მატერიალური მდგომარეობა. შეგროვილი პერიოდათ ასევე ცნობები საქართველოს გარეთ მოღვაწე ქართველებზე. ორი ენთუზიასტი ამ ინფორმაციას სტატისტიკისთვის არ აგრძელდა, ისინი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე ოცნებობდნენ და მომავალ კადრებზე ზრუნავდნენ. მართლაც, როცა 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) საქართველოს დედაქალაქ თბილისში უნივერსიტეტი გაიხსნა, ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის, ექვთიმე თაყაიშვილის, შალვა ნუცუბიძისა და სხვათა გვერდით აკაკი შანიძეც იდგა.

იმ დროს, როცა თბილისის უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო, პეტერბურგიდან ჩამოსვლა ჭირდა. „სულ რომ ფეხზე დგომა მომიხდეს, მაინც ჩამოვალო“, — თქვა და მართლაც, აკაკი შანიძე მესამე კლასის ვაგონით ფეხზე მდგარი ჩამოვიდა. პირველი დღე-

**იმ დროს, არც თბილისის უნივერსიტეტი  
უდია გასცილიყო, კატერენაბერძენ  
ჩამოსვლა ჟირდა. სულ არა ვეზე დგომა  
მომისდევ, მაიც ჩამოვალო», —  
თქვა და მართლაც, აკაკი შაიძე გასახ  
კლასის ვაგონით ვეზე მდგარი ჩამოვიდა**



ებიდანვე უნივერსიტეტის სტამბას ხელმძღვანელობდა, ამიტომ მწიგნობართუხუცესი შეარქვს.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია, პირველი სამეცნიერო მივლინება, პირველი სამეცნიერო ექსპედიცია — ეს ყველაფერი აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება. იმისათვის, რომ ადამიანი მეცნიერად აღიარონ და დარგის ისტორიაში შევიდეს, ერთი სიახლის გამოვლენაც კმარა. აკაკი შანიძემ ჯერ მხოლოდ ქართული ზმნის ათამდე კატეგორია დაადგინა. მეცნიერი მუდამ საგანგებო ადგილს უთმობდა ქართული ენის მართლწერის საკითხებს, რისთვისაც „დედაენის დედაბოძს“ ეძახდნენ.**

აკაკი შანიძის უმთავრესი დამსახურებაა ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის შექმნა. დველი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა გამოაქვეყნა მისმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა ნ. მარმა რუსულ და ფრანგულ ენებზე, ხოლო თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული სისტემის საფუძვლები მოცემულია აკაკი შანიძის მიერ 1930 წელს გამოქვეყნებულ „ქართულ გრამატიკაში“, რომელიც მოასწავებს ახალი ხანის დასაწყისს ქართველურ ენათმეცნიერებაში. ამ ნაშრომს წინ უსწორებდა ცალკეული გრამატიკული საკითხების მონიგრაფიული დამუშავება, მათი დეტალური გამოკვლევა. ამის შემდეგ აკაკი შანიძე წლების მანძილზე ამზეურებს სპეციალურ გამოკვლევებს, სადაც გამუშებულია ჩვენი ერის სტრუქტურული თავისებურებანი და ახალი, მანამდის უცნობი გრამატიკული კატეგორიები. ქართული ენის მორფოლო-



აკაკი შანიძე გერმანელ ძართველობ პარიზ ფენის თანამდებობაზე (1981 წ.)

გის დარგში აკაკი შანიძის ხანგრძლივი და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგები მთლიანი სახით წარმოდგენილია „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, რომელიც ასახავს თანამედროვე სალიტერატურო ენის მორფოლოგიურ წყობას და მოპოვებულია ქართველობრივიაში.

**მეცნიერმა განუზომელი ამაგი დასდო ქართულ ფილოლოგიას.** მის მიერ გამოცემული ტექსტები ძველი სალიტერატურო ენისა სანიმუშოა და გზის გამკვლევი. ქართულისა და კავკასიური ენების შესწავლის ინტერესებმა, ძველი ქართული ხელნაწერების სისტემატური და გეგმიანი ბეჭდვის საჭიროებამ უკარნახა აკაკი შანიძეს, დაეარსებინა გამოცემათა სერიები, როგორიცაა „ძველი ქართული ენის ძეგლები“, „ძველი ქა-

რთული ენის კათედრის შრომები“, სადაც ქვეყნდებოდა ქართული მწერლობის უძვირფასესი წერილობითი ძეგლები.

მას შემდეგ, რაც ქართველი მეცნიერები გიორგი მთაწმინდელის ანდერძს გაეცვნენ, „ჩვენი ყოველნი სახარებანი თარგმნილ არიან ხანმეტნიცა და საბაწმინდურიც“, ქართველოლოგთა შორის ტერმინზე „ხანმეტი“ იმდენია აზრი გაჩნდა, რამდენი მეცნიერიც იყო, მაგრამ დასაბუთება ვერავინ შეძლო. ერთ დღეს, როცა აკაკი შანიძე პეტერბურგიდან სამშობლოში მატარებლით ბრუნდებოდა, ახალგაზრდა მეცნიერს გონება გაუნათდა და მიხვდა, რომ „ხანმეტი“ ის ტექსტები იყო, სადაც მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ასო ხ — ხანი გვხვდებოდა. ტერმინის დადგენის შემდეგ ხანმეტი ტექსტების წაკითხვაც აკაკი შანიძის უპირატესობად იქცა.

აკაკი შანიძე ნიკო მართან ერთად ითვლება ქართული მეცნიერული დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. ამასთანავე, აკაკი შანიძის სამეცნიერო ინტერესებში შემოდის ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის საკითხებიც.

**დიდია აკაკი შანიძის ღვანლი რუსთველოლოგიაში.** მან შეისწავლა რუსთაველის პოემის პირველი ბეჭდური გამოცემა, გაარკვია არა ერთი და ორი საცილობელი საკითხი რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიისა.

1960 წლის 24 ოქტომბერს სამი საბჭოთა მეცნიერი: **ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი იერუსალიმში ჩაფრინდა.** მათი მიზანი ბურუსით მოცული ბიოგრაფიის მქონე ქართველი პოეტის, შოთა რუსთველის ფრესკის მოძებნა იყო. ფრესკა მეცნიერებს ქართველთა ჯვრის მონასტერში ეგულებოდათ. 4 დღე ხან სასულიერო და ხანაც საერო პირებთან ურთიერთობის მოგვარებას მოანდომეს და ოთხდღიანი მოთელვის შემდეგ მიადგნენ იმ სვეტს, რომელზეც მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს შორის შოთა რუსთველი უნდა ყოფილიყო გამოსახული. მაგრამ სვეტის სწორედ ეს

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
დაცული პირველი დისერტაცია, პირველი  
სამეცნიერო მომენტის საკითხების მიერ  
სამართლის სამეცნიერო მიერ გრამატიკული კატეგორიები. ქართული ენის მორფოლოლო**



ნაწილი ლურჯი საღებავით გადაფერილი დაუხვდათ. ქართველი მეცნიერები ამას არ შეუშინდნენ და სანთლის შუქზე, თითების შეხებით და გულის ფანცქალით ამოიკითხეს პირველი სიტყვები: „ამისა დამხატავსა შოთას...“

სამი მეცნიერის მონდომების, მოხერხებისა და ცოდნის წყალობით ქართველმა ხალხმა იხილა ის სახე, რომელსაც ადრე მხოლოდ თუ წარმოიდგენდა.

აკაკი შანიძე ყოველთვის განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკულ საკითხებს. მისი ინიციატივით შეიქმნა გამოცემათა სერია — „სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები“, ამასთანავე, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ მუშაობაში.

რამდენიმე ათეული წელია, საქართველოს უმაღლეს და საშუალო სკოლებში აკაკი შანიძის მიერ შედგნილი სახელმძღვანელოებია მიღებული. აკაკი შანიძეს ეკუთვნის, აგრეთვე, საშუალო სკოლის სახელმძღვანელო ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს აკაკი შანიძის ძიებებს კავკასიის აღბანელთა ენისა და მწერლობის საკითხებზე. იგი აღიარებულია ახალი სამეცნიერო დისციპლინის — აღბანოლოგიის მამამთავრად.

აკაკი შანიძემ, როგორც საქართველოში ქართველური ენათმეცნიერების მეთაურმა, მეცნიერული სკოლა შექმნა. ამ სკოლიდან გამოვიდა არაერთი გამოჩენილი მეცნიერი.



1960 წლის 24 ოქტომბერს სამი საპატიო მეცნიერი: ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი ცერეთელი ინტელექტუალთა წარმომადგენლობის მიზანისთვის გამოიწვია მარტინ გაგარინის სახელის მეცნიერებაზე მეტად ჭადრაკი უყვარდა. არ ატყუებდა მოთამაშეს. მხოლოდ ერთხელ მოიპარა ფიგურა, ოღონდ თავისივე. ასე თქვა, ხელს მიშლიდაო. არასოდეს მოუნევია. ერთხელ დათვრა, მაგრამ ყოველდღე 100 გრამ არაყს გადაპყრავდა ხოლმე.

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან ღრმა მოხუცებულობამდე კითხულობდა ლექციებს. „როცა 1 სექტემბერს პირველი კურსის პირველ ლექციაზე შედიოდა, ის ერთი საათი მხოლოდ გაცნობას ეთმობოდა. დაინყებდა სიის ამოკითხვას, თითოეულ სტუდენტს ფეხზე ააყენებდა, მის გვარს გაიმეორებდა, ცნობისმოყვარე თვალებით შეხედავდა და სადაურობას გამოჰკითხავდა, თუმცა თავად უკეთ იცოდა იმ გვარის, იმ მხარის, იმ სოფლის ნარმოშობის ამბავი, ვიდრე სტუდენტმა.

ას წელს მიღწეულს, შენარჩუნებული ჰქონდა ფენომენალური მეცნიერება და აზროვნების უნარი, შემოქმედებითი ენერგია და სიცოცხლის ხალისი. მეცნიერს ყველაზე მეტად ჭადრაკი უყვარდა. არ ატყუებდა მოთამაშეს. მხოლოდ ერთხელ მოიპარა ფიგურა, ოღონდ თავისივე. ასე თქვა, ხელს მიშლიდაო. არასოდეს მოუნევია. ერთხელ დათვრა, მაგრამ ყოველდღე 100 გრამ არაყს გადაპყრავდა ხოლმე. წავიდა ჩვენგან დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც ქართული ფილოლოგიის დარგში მთელი ეპოქა შექმნა. მისი სახელი სამარადევამოდ აღიბეჭდება ქართველოლოგიის ისტორიაში“, — 1987 წლის 3 აპრილს გამოსამშვიდობებელ წერილში წერდა აკადემიკოსი შოთა ძიძიგური.

შოამზადა დეა სვანიძეა

**აკაკი შანიძე ყოველთვის გასესაკუთხავაული  
გულისყარით ეკიდებოდა ქართული  
სალიტერატურო ენის კავკასიის  
საკითხებს. მისი ინიციატივით შეიქმნა  
გამოცხადა სარიანობა საკითხების  
ქართულის ცორებათა საკითხები**



# **24 ნები 9 აპრილის ტრაგედია**

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებიდან 24 ნელი შესრულდა. საუკუნის თითქმის მეოთხედი, ალბათ, საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ფაქტი მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეგვეფასებინა, მაგრამ საზოგადოებაში დღემდე ამასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი აზრი, შეჯერებული პოზიცია არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ტრაგედია, რომელმაც არა მარტო საქართველო, მთელი მაშინდელი ცივილიზაციული მსოფლიო შეძრა და ფეხზე დააყენა, ამდენი ხნის შემდეგაც, ფაქტობრივად, შეუსწავლელია, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე (ყოველ შემთხვევაში ფართო მასებისთვის მაინც): ვინ და რა ძალები გართავდნენ სინამდვილეში ამ პროცესებს, იმ საყოველთაო სოციალურ ვერათაღებას, რომელგაც 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან (შეიძლება უფრო ადრეც) მთელი საპტონო კავშირი,

ମାତ୍ର ଥରିବି ତାପିତ କୁଶାତିଲି ସାକେଣ୍ଟିକିଷ୍ଟିକୁ, ମନୀପଦା? ଶ୍ରେଷ୍ଠାନ୍ତାଳ୍ପଦାତା ଯେହାଏ ଉପରେ  
ଅବଳି ନାର୍ସ୍‌ସ୍ଟୁଲିଫାର୍ଡାଫ୍ ଦେବରିବା. ଗ୍ରାମୀକ୍ଷେତ୍ରରେ 2007 ମୁହଁରେ 7 ମନେମଧ୍ୟରୀ ଏବଂ ମିତ୍ର ଉପରେ  
2011 ମୁହଁରେ 26 ମାସୀରେ, ରା ପରିପ୍ରେସ୍‌ବିଧି ଉପରେ ବିନ୍ଦୁ 1989 ମୁହଁରେ 9 ଆପରିଲିରେ ମୋହାଲୀଙ୍କେବୁ  
ଏବଂ ଶ୍ରେଷ୍ଠାନ୍ତାଳ୍ପଦାତା ତୁ ଆରା ମାମିନ ଏବଂ ପାଇରିବି ପାଇରେ ତାବୁଦାନ ଆପିଲ୍‌ଏବା — ଅଥ ଏବଂ ସବ୍ରା ସାକ୍ଷିତକେବିଜ୍ଞାନୀ  
ଗ୍ରାମୀକ୍ଷେତ୍ରରେ ଏବଂ ରାଜୀବିନ୍ଦୁ ନିର୍ମିତିକୁ ବେଳମ୍ଭଦ୍ଵାନ୍ତେ ଦୂରଦୂରାବୀତି ରତ୍ନାକରିବାକୁ.

— ბატონი გულბაათ, 24 წელი  
აღბათ, საკმარისად დიდი დროა  
იმისთვის, რომ ესა თუ ის მოვლე-  
ნა შეფასდეს. ცხადია, ამას ერთ ინ-  
ტერვიუში ვერ შევძლებთ სრულ-  
ყოფილად, მაგრამ თქვენი აზრით,  
რა იყო 9 აპრილი, როგორ მივედით  
იქამდე და შეიძლებოდა თუ არა  
მისი თავიდან აკილება?

— მოხარული ვარ, რომ ამ თემით  
დაინტერესდა თქვენი უურნალი,  
ვინაიდან 9 აპრილმა მართლაც  
უდიდესი როლი შეასრულა საქარ-  
თველოში შემდგომ განვითარებულ  
პროცესებში. ამ მოვლენების თავი-  
დან აცილება, რა თქმა უნდა, შეიძ-  
ლებოდა. მოგეხსენებათ, ფართო-  
მასშტაბიანი აქციები 4 აპრილს და-  
იწყო და ეს უკავშირდებოდა აფხა-  
ზების შეკრებას სოფელ ლიხნში,  
სადაც მათ მოითხოვეს საქართვე-  
ლოსგან გამოყოფა. ცხადია, ამ  
მოთხოვნას იგივე საპჭოთა კონს-  
ტიტუციითაც არანაირი კანონიერი  
საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ მა-  
შინ ეროვნული მოძრაობის წარმო-  
მადგენლებმა იმის ნაცვლად, რომ  
ცენტრისთვის მიემართათ რეაგი-  
რებისთვის, გამოიტანეს ლოზუნგი:  
ძირს დამპალი რუსეთის იმპერია.  
რა გამოვიდა? თურმე რუსეთი

ანყობდა ჩვენ წინააღმდეგ პროვო-  
კაციას. მსგავსმა ლოზუნგებმა და  
რიტორიკამ საბოლოოდ მიგვიყვა-  
ნა იქამდე, რომ ცენტრალური ხე-  
ლის სუფლება მართლაც განეწყო  
აქცაზთა სასარგებლოდ.

— ამ რიტორიკამ მიგვიყვანა სისხლისოვრამდე?

— რასაკვირუელია. დაძაბულობა  
შევქმნით ჩვენ თვითონ და დრო  
საკმარისად დიდი გვექონდა იმისთ-  
ვის, რომ ეს დაძაბულობა განვე-  
მუხტა, მაგრამ, ვიმეორებ, ამისთ-

დება პარლამენტში და უთითებს იქ, რომელ კანონს მისცენ ხმა და რომელს არა. ამისთვის თუ ვიბრძოდით, სხვა ამბავია, მაგრამ არც 1991 წელს ყოფილა საქართველო დამოუკიდებელი, როცა აქტი გამოცხადდა. ეს იყო კომედიადქცეული რაღაც პროცესი, რომელიც სინამდვილეში არის ტრაგედია ჩვენთვის.

**დღეს** გაგითურებული ეპო-  
ველი საჭირო დგას დამსახუ-  
ლი, რაღაც ეპოზიტური სახელმ-  
იცვლებრივი ცარმონაქმნის  
ნინაში.

— თქვენ თქვით, რომ მაშინდელ-  
მა ეროვნულმა მოძრაობამ შეცდო-  
მა დაუშვა, როცა აფხაზების  
მოთხოვნის გამო ცენტრალურ ხე-  
ლისუფლებას არ მიმართა და კრემ-  
ლის კრიტიკა დაიწყო. რომ მიემარ-  
თათ, ეს რას შეცვლიდა?

— ეს შეცვლიდა ბევრ რამეს. ამას ვერ წაუყრუბდა ცენტრი, კანონი იქნებოდა ჩვენ მხარეს და ჩვენ მოგვეცემოდა საშუალება, გვემუშავა მოსკოვში წამყვან პოლიტიკურ წრეებთან. ასეთ შემთხვევაში პროცესები არ წარიმართოდა ტრაგიკულად — არც სისხლი დაიღვრებოდა 9 აპრილს, რაც მოხდა, იმიტომ, რომ აფხაზები სულ დაგვა-





ვინწყდა და ანტისაბჭოთა გამოსვლად იქცა ეს ყველაფერი, და არც ტერიტორიებს დავკარგავდით ასე მყისიერად.

— კი მაგრამ, თქვენი აზრით,  
ეროვნული მოძრაობის წარმომად-  
გენლები ვერ აცნობიერებდნენ ამ  
ყველაფერს?

— ჩემი აზრით, რაც კეთდებოდა, ეს იყო წმინდა პოპულისტური მიზნით. ჩვენი არტისტული ბუნების ამბავი ხომ იცით, მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს და ყველას უნდა ვაჩვენოთ, რა მაგრები ვართ; თითქოს მეტი საქმე არ აქვს მსოფლიოს, რომ ჩვენ გვიყუროს. ზუსტად ასე მოხდა მაშინაც, **ამ უდანაშაულო ხალხის დახმცვა იყო ერთგვარი მასშვერპთებელის**, რამაც საგოლოოდ მოგვითანა ის, რომ ვერც დამოუკიდებლობა მოვიკოვეთ ჩახალურად, ვერც სრულყოფილ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით და ამ დროს თერიტორიის გასამაზიც დავკარგეთ.

— 2011 წლის 26 მაისს არანაკულებ დიდი ტრაგედია დატრიალდა საქართველოში, ვიდრე 9 აპრილს იყო. რა პარალელუბი შეიძლება გავალოთ ამ ორ მოვლენას შორის?

— 9 აპრილი, რათქმა უნდა, უფრო მძიმეა ჩემთვის აღსაქმელად თუნდაც იმიტომ, რომ იქ ბევრი ქალი დაიღუპა, მაგრამ 26 მაისს რაც მოხდა, ეს იყო ქართული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალადობა საკუთარ ხალხზე, განხხვავებით 9 აპრილისგან. მე ამას დავარქმევდი და, ალბათ, არ ვაჭარბებ, ძმათა მკვლელ დაპირისპირებას. აქრაციონალური ელემენტები ნაკლებია, ეს იყო სიძულვილის გამოვლენა ხელისუფლების მხრიდან საკუთარი ხალხის-ადგი. აი, ამ სიძულვილით ვცხოვრობთ ჩვენ, უკვე 25 წლისა, და ეს სიძულვილი კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანდა საკაპიტოლია.

## რას ფიქრობს ხალხი

გულბათ რცხილაქესთან საუბრის შემდეგ ამ საკითხზე აზრი მოქალაქებსაც ვკითხეთ.

କରାତ୍ମକ ନିର୍ବିତିବାଦୀ:

— 9 აპრილი იყო შოკი. წარმოიდ-

გინეთ, 70 წელი ვცხოვრობდით მშვიდად, წყნარად, ვმუშაობდით, არაფერი გვიჭირდა და უცებ ეს ყველაფერი დაინგრა. მანამდე ხალხს იარაღი არც ენახა, ტანკებს ტელევიზიონორში თუ მოჰკრავდი თვალს, თორემ ქუჩაში ვინ წარმოიდგენდა?! ჩვენ ამას შეუჩვეველი ვიყავით და საზოგადოება კარგა ხანს აზრზე ვერ მოვიდა. ამიტომაც იყო ამხელა მსხვერპლი. იქ ბევრი გაქცევის დროს ჭყლეტაში მოჰყვა, ზოგს გულმა უმტყუნა, ჰერი არ ეყო და გაიგუდა. ამხელა მასაში, ხომ წარმოგიდგენიათ... რაც შეეხება 26 მაისს, ეს იყო პირდაპირ მიზანმიმართული ხოცვა. ჩემი თვალით ვნახე, რას შვებოდა სპეცნაზი, ხალხს დამიზნებით ესროდა. ჯერ ერთი, რა საჭიროებას წარმოადგენდა იქ ამდენი შეიარაღებული, როცა საპირისპირო მხარეს სულ სამასი თუ ოთხასი კაცი იდგა, მაგრამ ამასაც დაგანებოთ თავი — მომიტინგებს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. დარბევები სხვა ქვეყნებშიც

ხდება. ამასწინაათ საფრანგეთში დალენეს სტუდენტებმა ყველაფერი და ჯარმა მაშინვე დაშალა, მაგრამ ამ ხნის კაცი ვარ და არსად მინახავს, პოლიციელი წაქცეულს ურტყამდეს. ამას შვებოდნენ სააკაშვილის სისხლზე დაგეშილი ჯალათები, რომელებსაც არ აინტერესებდათ არც ქართველობა, არც ლირ-სება, მორალი და სინდისი.

რამაზ ენუქიპ:

— იმ დღეს შვილთან ერთად ვიყავი გამოსული. კი ვგრძნობდით ყველა, რომ რალაც მზადდებოდა, მაგრამ პირდაპირ სროლას თუ დაგვიჩყებდნენ, არ მეგონა. პირველი ტყვია რომ გავარდა, მახსოვეს, ხალხში განწყობა როგორ შეიცვალა, ყველაფერი აირია, ერთ წამში ჯოჯოხეთად იქცა იქაურობა. მე და ჩემი ბიჭი, მეორე დღეს 17 წელი უსრულდებოდა, იქვე, ბალში შევვარდით; იქაც საშინელება იყო, ჭყლეტაში მოყვევით, დიდხანს ვერ გავალდით. მოგვიანებით გავიგე, რომ იყვნენ დალუპულები(ჲ).

26 მაისს და 7 ნოემბერს მიტინგებზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ტელევიზიით ვუყურებდი... რა გითხოვათ, არც კი შეიძლება ამის შედარება 9 აპრილთან. განსაკუთრებით 26 მაისის ტრაგედია იყო შემზარავის

ვი. ამის მიჩურათება არ შეიძლება. ეს უნდა გამოიძიონ და დამნაშავე-  
ებს აგებინონ პასუხი.

## ნინო როსტომაშვილი:

— 9 აპრილს ტრაგედია მოხდა,  
ხალხი დაიღუპა, მაგრამ 26 მაისი  
მასთან შედარებით მეხის გავარდ-  
ნასავით იყო. მეორე დღეს საკაშ-  
ვილმა ზეიმი მოაწყო, დახოცილი  
ხალხი სახურავზე ეყარა და ესენი  
იარაღს აქდარუნებდნენ. ცხადია,  
გამოძიება უნდა ჩატარდეს. ყველამ  
უნდა აგოს პასუხი — დაწყებული იმ  
ადამიანებით, რომლებმაც ბრძანე-  
ბა გასცეს, დამთავრებული შემს-  
რულებლებით.

## მარიამ ჩხერიშვილი:

— ჩემთვის ორივე ტრაგედია —  
9 აპრილიც და 26 მაისიც, მაგრამ  
განსხვავება მაინც არის — 9 აპ-  
რილს ქართველი ხალხი დაუპი-  
რისპირდა გარე ძალას, რომელიც  
უცხო ქვეყნიდან იმართებოდა, 26  
მაისი კი იყო ძმათა მკვლელი და-  
პირისპირება. მსგავსი რამ არა თუ  
უახლოეს, საქართველოს ისტორი-  
ის არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა.  
ხალხი დახოცეს არაფრის გამო, ძა-  
ლა გამოიყენეს აბსოლუტურად  
უსაფუძღლოდ, უმიზეზოდ. ამისთ-  
ვის სააკაშვილმა პასუხი უნდა  
აკოს.

## ლევან დალაქიშვილი:

— მოდი, ვთქვათ პირდაპირ სი-  
მართლებ: 9 აპრილი სანამ მოხდებო-  
და, შეცდომები ჩვენც დავუშვით  
ძალიან ბევრი. მე ვთვლი, რომ ამის  
თავიდან აცილება შეიძლებოდა. ახ-  
ლა რაც შეეხება 7 ნოემბერს და გან-  
საკუთრებით 26 მაისს, ორივე აქცი-  
აზე ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე  
ის საშინელება: ეს იყო მიზანმიმარ-  
თული გეგმა, რომ ხალხში ტერორი  
დაეთესათ. ვინც იქ არ იყო და საკ-  
უთარი თვალით არ ნახა, რა ხდებო-  
და, მისთვის ამის ახსნა dნელია. მე-  
რე ვფიქრობდი და გაოგნებული ვი-  
ყავი, თურმე სანამდე შეიძლება მი-  
ვიდეს ადამიანი...

რა თქმა უნდა, ეს საქმე გამოსაძიებელია. ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ, თუ პროკურატურა ამას გააკეთებს, სააკაშვილს საბრალდებო სკამზე დასმა და შემდეგ ციხე არ ასცდება.

მოამზადა ჯაბა ქვანია



# «ტინაპართა ცაქვალევზე» — ტიგნი-მატიანე

„ქართველი ერის  
მომხიბლავმა ცეკვებმა  
და ქართულმა  
მრავალხმიანმა სიმღერამ  
მოაჯადოვა მთელი  
მსოფლიო, განაცვიფრა  
მილიონობით ადამიანი.  
ეს არის გზა გამოვლილი  
ტრიუმფით, რომელიც  
ასევე დიდებით  
გაგრძელდება  
მრავალუამიერ“, —  
ვკითხულობთ  
რევაზ ბულიასა  
და ნათია ჯგუშიას  
წიგნში „ტინაპართა  
ნაკვალევზე“.

წიგნის ავტორებს მიზნად დაუ-  
სახავთ, მოეძიებინათ და შეეგრო-  
ვებინათ საუკუნისწინანდელი  
ფოტომასალები, რომლებიც ასა-  
ხავს ჩვენი წინაპრების მიერ რუ-  
დუნებით განვლილ შემოქმედე-  
ბით გზას, რამეთუ მათი სამზეო-  
ზე გამოტანა და მომავალი თაო-  
ბებისთვის გადაცემა უდავოდ  
ღვთიურ საქმედ მიაჩნდათ.

„ქართული ქორეოგრაფია და  
სიმღერა ჩვენი ერის უდიდესი სა-  
განძურია, რომელსაც მოფრთხი-  
ლება სჭირდება. ამასთან, აუცი-  
ლებელია, მოვეფეროთ ადამია-  
ნებს, რომლებმაც ეს საგანძური  
ჩვენამდე მოიტანეს. სწორედ ამ  
მიზანს ემსახურება წინამდებარე  
ნაშრომის გამოცემა, — აღნიშ-  
ნავს წინასიტყვაობაში ხელოვნე-

ბის დამსახურებული მოღვაწე  
რევაზ ბულია. — წლების გადასა-  
ხედიდან ვუყურებ ჩემ მიერ გან-  
ვლილ შემოქმედებით გზას და  
გხვდები, რომ მართლაც ლამაზი  
და კეთილი პროფესია ამირჩევია.  
ქორეოგრაფი თუ ლოტბარი სუ-  
ლის ნაწილს და უდიდეს ენერგი-  
ას დებს თავის საქმეში. ესათუ-  
თება თითოეულ მოძრაობას თუ  
ბერას და აღტაცებას ვერ მალ-  
ას, როცა აღსაზრდელში ცეც-  
ხლს დაინახავს, ცეცხლს ჩაუქ-  
რობელს, აი, სწორედ ისეთს, სა-  
უკუნეების წინ რომ დაანთეს  
ჩვენმა წინაპრებმა, დღემდე რომ  
გვითბობს გულს და დიდებით  
მოსილი აგრძელებს გზას მომავ-  
ლისკენ“.

ამ კრებულში შესულია მასალე-

ბი ქართული სასიმღერო ფოლკ-  
ლორის ცნობილი მემატიანის —  
ლადო გეგეჭკორის წიგნიდან  
„ქართული ხალხური სიმღერის  
ოსტატები“. მოთხოვობილია იმ  
მომღერლებსა და მოცეკვავებ-  
ზე, ქორეოგრაფებზე, რომელთა  
ნვლილიც შეუფასებელია ამ საქ-  
მეში განვითარებული სამსახურისთვის.

განსაკუთრებული ადგილი ეთ-  
მობა ფოლკლორულ ანსამბლ „ჩე-  
ლას“ ჩამოყალიბების ისტორიას,  
რომლის მეგრული სიმღერები  
მართლაც შედევრია. მათში უმე-  
ტესწილად ჭარბობს სევდა და  
ტკივილი, გადმოცემულია ხალ-  
ხის ცხოვრების ფრაგმენტები,  
არის საზეიმოც, საქორნილოც,  
შრომითი, საცეკვაო და სხვ.

როგორც ჩამოყალიბებული ან-



ზუგდიდის ანსამბლი. 1960 წ.

ანსამბლ „ჩელას“ ქორეოგრაფიული  
ჯგუფი. ცეკვა „ალვანური“



ანსამბლი „ჩელა“ რუმინეთში



სამბლი, „ჩელა“ 1969 წლიდან არ-სებობს. არსებობის 40 წლის მანძილზე ის გამორჩეულია თავისი საკონცერტო პროგრამითა და მაღლალი საშემსრულებლო ხელოვნებით. „ჩელა“ ანსამბლს ამავე სახელწოდების სიმღერის ავტორის, პავლე აკობიას, პატივსაცემად ეწოდა.

კრებულში მოთხრობილია ასევე თვითმოქმედ კოლექტივებზე, სხვადასხვა დროს მათ მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მიღწეულ წარმატებებზე.

„წინაპართა ნაკვალევზე“ სწორედაც რომ წიგნი-მატიანეა და დიდი მისია აკისრია ქართული კულტურის მოღვაწეთა სახეების შემონახვა-აღბეჭდვის საქმეში.



ანსამბლი „მფრეზები“ საფრანგეთში



ანსამბლი „ჩელა“



# გამოჩენილი ქართველი მოსახლეები

XIX საუკუნის ქართული კულტურის პირველ დიდ მოღვაწეთა შორის დგას ახალგაზრდა მოაზროვნის, სოლომონ დოდაშვილის, მიმზიდველი ფიგურა. მას თანდათან ეცლება შორეული დროის ნისლი და ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმ დიდ ამაგზე, რომელიც სოლომონ დოდაშვილმა მშობელ ხალხს დასდო თავისი ხანმოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობით. XIX სუკუნის დასაწყისში იგი პირველი ქართველი მოაზროვნეა, რომელმაც აღადგინა ისტორიულ კატაკლიზმებში შენყვეტილი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძაფი და ახალი მეცნიერული ტრადიციები დანერგა ქართულ სინამდვილეში. სოლომონ დოდაშვილი გასული საუკუნის პირველი ქართველი რაზნოჩინელ-განმანათლებელია, რომელიც ყურადღებას იპყრობს ლრმა ფილოსოფიური ერუდიციით და ფართო ლიტერატურული ინტერესებით. იგი ავტორია არა მხოლოდ შესანიშნავი ფილოსოფიური თხზულებისა, მის კალამს ეკუთვნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევისა და პოეტიკის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდა.

გაოცებას იწვევს სოლომონ დოდაშვილის მეცნიერული ცოდნის დიაპაზონი. ფილოსოფია, ლიტერატურის ისტორია, გრამატიკა, იურისპრუდენცია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და გეოგრაფია — აი დარგები, რომლებშიც გარკვეული კვალი აქვს აღბეჭდილი სოლომონ დოდაშვილს.

მაგრამ, რაც მთავარია, თავისი გონიერების ძლიერება, გაუტეხელი ნებისყოფა და დაუცხრომელი ენერგია სოლომონ დოდაშვილს შეთავსებული ჰქონდა უდიდეს პატრიოტულ შეგნებასთან, თავისი ქვეყნის სიყვარული და მშობელი ხალხისთვის თავდადება მისი უმაღლესი მიზანი იყო.


სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს სოფელ მაღაროში, ახლანდელ სიღნაღის რაიონში.

დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელმა, უბრალო მღვდლის შვილმა, კარგი განათლების მიღებით შეძლო გამოევლინა თავისი ნიჭი. 1818 წელს სოლომონ დოდაშვილი შევიდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში. 1820 წელს კი — თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1822 წელს დაამთავრა.

სოლომონ დოდაშვილი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე. პეტერბურგში იგი დეკანისატების გამოსვლას დაესწრო და მათი უმოწყალო დასჯის მოწმე გახდა, რამაც მასზე წარუშ-

ლელი კვალი დატოვა. მიუხედავად გაჭირვებული ცხოვრებისა, მოახერხა და თავიც გამოიჩინა სწავლაში. იქვე დაწერა თავისი ცნობილი ფილოსოფიური ნაშრომი „ლოგიკა“. პეტერბურგში გაიცნო და დაუახლოვდა თეიმურაზ, ბაგრატ და ოიანე ბატონიშვილებს და სხვებს. პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა 1827 წელს, მიიღო ფილოსოფიის მაგისტრის წოდება და იმავე წელს დაბრუნდა თბილისში. მან საქართველოში ჩამოიტანა დეკანისატები. რილეევის „ნალივაიკონ“, რომელიც დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს.

1828 წელს იყო გაზეთ „ტფილის უწყებანის“ (Тифлисские ведомости) ქართული გამოცემის რედაქტორი. პარალელურად დააპარა მისი დამატება — უურნალი



სოლომონ დოდაშვილი

„სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“.

მუშაობდა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში პედაგოგად, ასწავლიდა ლოგიკას, რიტორიკას, ქართულ სიტყვიერებას, გეოგრაფიას, წერდა სახელმძღვანელოებს, სტატიებს. „განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“, — წერდა ის. მისი ერთ-ერთი მოწავე გახლდათ ნიკოლოზ ბარათაშვილი. დიდი იყო სოლომონ დოდაშვილის პატრიოტული იდეების გავლენა თავის შეგირდებზე, ასევე მის თანამედროვე წარჩინებულ თავადებზე. ენციკლოპედიური განათლების დოდაშვილს დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში.

„ანინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასაზედა; მამასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცობრივარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანმემშრო-

**მელნი, შემწენი და მფარველნი”,  
– იმედოვნებდა სოლომონ დო-  
დაშვილი.**

სოლომონ დოდაშვილი გახლ-  
დათ ერთ-ერთი ლიდერი ეროვნუ-  
ლი შეთქმულებისა. ღალატის „შე-  
დეგად 1832 წელს ჩავარდა შეთქ-  
მულება, რომელსაც წლების მან-  
ძილზე ამზადებდნენ ქართველები  
საქართველოს დამოუკიდებლო-  
ბის აღდგენის მიზნით. 1832 წლის  
დეკემბერში სოლომონ დოდაშვი-  
ლი დააპატიმრეს რუსეთის თვით-  
მშეყრობელობის წინააღმდეგ შეთ-  
ქმულებაში მონაწილეობისთვის,  
ხოლო 1834 წელს გადასახლეს ვი-  
ატკაში მეუღლესთან და ორშვილ-  
თან ერთად. იქვე გარდაიცვალა  
ჭლექით 1836 წლის 20 აგვისტოს.  
მაშინ სულ 31 წლისა იყო.

\*\*\*

ალექსანდრე ორბელიანისა და  
ელიზბარ ერისთავის თხოვნით  
დაწერილ „სიტყვა მოწოდებაში“  
სოლომონ დოდაშვილი აცხადებ-  
და: „ქვეყნის დაარსებითგან მა-  
მულსა ჩვენსა აქვნდა თავისი სა-  
კუთარი მდგომარეობა, აქვნდა  
თვისი სჯულნი, თვისი სარწმუ-  
ნოება, თვისი ენა და თვისი ჩვე-  
ულება.... ნუ უკვე ჩვენ არა ვართ  
შვილი მამა-პაპათა ჩვენთანი?  
ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე  
და ძალი ესოდენი, რაოდენიც  
ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავ-  
სთა კაცთა?! მაშ რაისათვის  
ვცოცხალვართ?!”

დიდი ავტორიტეტი დაუმსახუ-  
რებია ს. დოდაშვილს პეტერბურ-  
გისა და მოსკოვის ქართულ წერებ-  
შიც, განსაკუთრებით მას შემდეგ,  
რაც რუსულ და ქართულ ენებზე  
დაინტერა, ხოლო რუსულად გამო-  
იცა მისი „ფილოსოფიის კურსი,  
ნანილი პირველი. ლოგიკა“.

„ლოგიკის“ გამოსვლასთან და-  
კავშირებით ს. დოდაშვილს იონა  
ხელაშვილი სხერს: „...სამეფონი  
სქესი ჰკვირობენ, უმაღლესისა  
სახლსა შინა მარიამ დადიანის  
ასულისა მოსრულნი როსნი კი-  
თხულობენ დიდთრიადისა გულ-  
მოდგინებით და კმაყოფილებით.  
აგრეთვე, სხვადასხვა სახლებში  
უჩვენებენ — ესერა ქართველმან  
დათხზაო ახალჭაბუკმან. გარნა  
თქვენ ნუ განლაღდებით“.

ს. დოდაშვილის „ლოგიკას“  
ცხოველი ინტერესით შეხვდნენ  
მაშინდელი რუსეთის ლიტერა-  
ტურული და სამეცნიერო წრეები.  
ახალგაზრდა ქართველი მოაზ-  
როვნის შრომას მაღალი შეფასე-  
ბა მისცა იმ დროის ცნობილმა  
ურნალმა „მოსკოვსკი ტელეგრ-  
აფმა“. ამავე დროს, წიგნს გამო-  
ებამაურა „მოსკოვსკი ვესტნიკიც“  
საინტერესო რეცენზიით. „სევერ-  
ნაია პჩელა“ კი ამ შრომის მთელ-  
რიგ ლირსებებს აღნიშნავდა და  
დასძენდა: „ამ წიგნის ახალგაზრ-  
და ავტორი ქართველია, აღიზარ-  
და და სწავლობდა აქაურ უნივერ-  
სიტეტში და დიდი ხანი არ არის,  
რაც თბილისში გაემგზავრა იქაუ-  
რი გიმნაზიის მასწავლებლის წო-  
დებით“. 1827 წლის 15 ივლისს  
იონა ხელაშვილი პეტერბურგი-  
დან სწერდა ს. დოდაშვილს: „ლო-  
გიკის“ გამო ყველა ვაშა-ვაშას  
გიძლვნიან, მეტადრე „პჩელაში“  
დაბჭიდილი წერილის შემდეგო.

სოლომონ დოდაშვილის პირვე-  
ნებისადმი ინტერესი განსაკუთ-  
რებით აღიძრა 60-70-იან წლებში,  
ქართული საზოგადოებრივი ცხო-  
ვრებისა და ეროვნულ-განმათა-  
ვისუფლებელი მოძრაობის აღმა-  
ვლობის პერიოდში „დროების“  
რედაქტორი ს. მესხი „თავისი გა-  
ზეთის ფურცლებზე აღნიშნავდა  
სოლომონ დოდაშვილის ბიოგრა-  
ფიული ცნობების სიმცირეზე და  
პირველი ქართული ურნალის-  
ტის ცოცხალ თანამედროვებს  
მოუწოდებდა, რომ ს. დოდაშვი-  
ლის მოღვაწეობის შესახებ მასა-  
ლები მიეწოდებინათ ახალი თაო-  
ბისთვის. „ახლაც ცხოვრობენ, უე-  
ჭველია, — წერდა „დროების“ რე-  
დაქტორი, — ბევრი ისეთნი პირ-  
ნი, რომელთაც კარგად უნდა ახ-  
სოვდეთ ჩვენი გონებითი ლიტე-  
რატურული მოძრაობა და სხვა  
ყოველგვარი შესანიშნავი მოვლე-  
ნა ამ საუკუნის პირველი ნახევრი-  
სა. რატომ არ გვიამბობენ მაშინ-  
დელი ქართველების ცხოვრებას?  
მამების ცხოვრებასა და საზოგა-  
დო მოქმედებას რატომ შვილებს  
არ გვაცნობენ? ვინ იცის, იმათ  
მოქმედებაში რამდენი საინტერე-  
სო მასალა მოიპოვება ჩვენი ახ-

ლანდელი ცხოვრებისა და მდგო-  
მარების გასაგებად“.

**მართლაც, ს. დოდაშვილმა,**  
**როგორც XIX საუკუნის პირველი**  
**ნახევრის საქართველოს დიდმა**  
**განმანათლებელმა, შეიძლება**  
**ითქვას, დვრიტა დაუდო 60-იანი**  
**წლების ქართველი განმანათ-  
ლებლების — თერგდალეულების**  
**იდეურ მოძრაობას.**

მართალია, ქართველ მესამო-  
ციანელთა მოძრაობა პრიხციპუ-  
ლად ახალ, რადიკალურ-დემოკ-  
რატიულ ხასიათს ატარებდა, მაგ-  
რამ ახალი თაობა ბევრ რასმელე-  
ბულობდა მემკვიდრეობით პირ-  
ველი ქართველი განმანათლებ-  
ლის — სოლომონ დოდაშვილის  
მოღვაწეობიდან და გენიალური  
პოეტისა და მოაზროვნის — ნი-  
კოლოზ ბარათაშვილის მემკვიდ-  
რეობიდან. ამ მემკვიდრეობითი  
კავშირის აზრი კარგად ესმოდა  
ილია ჭავჭავაძეს, როცა „დროე-  
ბის“ ათი წლის თავის აღსანიშნა-  
ვად გამართულ ქართველ მწე-  
რალთა და მოღვაწეთა შეკრებაზე  
ამბობდა: „...სამართალი ითხოვს,  
რომ ყველას თავისი მიეზღოს.  
თუმცა იმ დროშაზედ, რომელზე-  
დაც უფ. ს. მესხმა მოიხსენა, ებ-  
ლანდელთა „დროების“ მოღვაწე-  
თა თავისი მიმართულებაზე და-  
ანერეს, მაგრამ თვით დროშა კი  
მემკვიდრეობით გვაქვს გადმო-  
ცემული განსვენებულის სოლო-  
მონ დოდაშვილისაგან, გიორგი  
ერისთავისგან. საუკუნოდ იყოს  
ხსენება მათი ჩვენში“.

პირველი რაზნოჩინელისა და  
განმანათლებლის — სოლომონ  
დოდაშვილისგან ნაანდერძევი  
დროშა მაღლა ასწიეს ჩვენმა სა-  
მოციანელებმა ილია ჭავჭავაძის  
მეთაურობით და ამ დროშას ახა-  
ლი დროის შესაფერი საპროგრა-  
მო იდები წაანერეს.

სოლომონ დოდაშვილმა ადრევე  
გამოამჟღავნა ფილოსოფიისადმი  
და, საერთოდ, მეცნიერებისადმი  
მიდრევილება, მაგრამ ამ მხრივ  
მისთვის განსაკუთრებით ნაყო-  
ფიერი იყო პეტერბურგში სწავ-  
ლის პერიოდი. მიუხედავად ავად-  
მყოფობისა, იგი ენერგიით დასწა-  
ფებია მეცნიერების შესწავლას,



რაც ნათლად ჩანს მისი გულითადი მოამაგის იონა ხელაშვილი სადმი მიწერილი ბარათებიდან.

სოლომონ დოდაშვილს ერთადერთი მიზანი ამოქმედებდა: დაუფლებოდა მეცნიერებას და ფილოსოფიას და მიღებული ცოდნა გამოყენებინა სამშობლოს საკეთილდღეოდ. „ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის“, — წერს იგი ერთ-ერთ წერილში. პეტერბურგში გამგზავრების გამოს. დოდაშვილი იმავე წერილში აღნიშნავს: „...მეცა შემეძლო საქართველოსა შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმაღვიძა, რათა სარგებლად ამისა თდესმე ნებითა განმემულისათა ვიქმნა სწავლისა გამო“.

მართალია, აქ, უნივერსიტეტში, წმინდა თეორიულ ცოდნას ვლებულობ, — განაცრძობს იგი, — მაგრამ ამ თეორიულ განათლებას პრაქტიკულად ხორცს შევასხამ ჩემს სამშობლოში.

ჭაბუკი მოაზროვნის დაძაბული ინტელექტუალურ შრომასა და ძიებებს ამაოდ არ ჩაუვლია: უნივერსიტეტის დასრულებისას, 1827 წელს, მან რუსულ და ქართულ ენებზე, როგორც ზემოთაც აღვინიშეთ, დაწერა და რუსულად გამოაქვეყნა სერიოზული ფილოსოფიური ნაშრომი, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰქოვა.

პეტერბურგში ყოფნის დროს ს. დოდაშვილმა ახლო ურთიერთობა და ამყარა იქ მცხოვრებ ქართველებთან. კარგად ცნობილია, რომ ამ დროს პეტერბურგის ქართველთაგან მრავალი იღვწოდა სამშობლო კულტურის გამდიდრებისთვის. აქ იყვნენ ქართული სტამბის მუშაკებიც. ამ წრებებში აღძრული გონიერივი ინტერესები უთუოდ ალაფრთოვანებდა ს. დოდაშვილს. აქ შემუშავებული მრავალი აზრი მან შემდგომსამშობლოში დაბრუნებისას განახორციელა.

საქართველოსკენ გამომგზავრებისას, 1827 წლის ივნისის დასაწყისში ს. დოდაშვილი შეჩერებულა მოსკოვში, სადაც მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებია იქაურ ფილოსოფოსებთან და ლიტერატურულ მოღვაწეებთან, აღუ-

თქვამს მათთვის წერილების მიწოდება საქართველოს შესახებ. ერთი თვის შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ ხარკოვში, სადაც ახალგაზრდა სწავლული დიდი პატივისცემით მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა, რომელსაც იმ დროს თბილისის სასწავლებლები ექვემდებარებოდა.

1826 წლის ივლისში სოლომონ დოდაშვილი სამშობლოშია. იგი დანიშნეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლად. ს. დოდაშვილი აქ ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას, რიტორიკას, ლოგიკას და გეოგრაფიას.

იგი სულ მაღე გახდა პედაგოგიური განათლების მგზნებარე, პროპაგანდისტი. ს. დოდაშვილი ერთ წერილში აღწერს რა სწავლა-აღზრდის ვითარებას იმდროინდელ საქართველოში, გადმოგვცემს თავის გეგმებს განათლების გასავლცელებლად: „ხოლო მე ჯერეთ დადუმებული გახლავარ, — წერს იგი, — სხუა და სხუათა ნარმოებათათვის და განხსნათა სასწავლოთა ადგილთა, ვეძიებ ლონესა და ვსჭურეტ მდგომარეობათა. არ უწყი ვითარითა ხატითა განარმოო საგანი ჩემი აქაური სასწავლებელი, თბილისისაც ჯერეთ უნდესოებასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირე, არავინ მიაქცეს ყურადღებასა და არცა სჭვრეტენ, სწავლათა, გარნა ამის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათუს სწავლათა, ვინათგან ინებალმერთმან მშვიდობისა მონიფება, მტერნი განივლტნენ ძალისა გამო მხედრობათა ჩუცნთა და საჭურველთა. ასან ხანი ერევნისა დღეს მოიყუანეს ოკტომბრის 23-სა თბილისის ციხეში და სხუანიცა თბილი ათასი კაცი სპარსთა, მადლობა ლმერთსა“.

1828 წლის ივლისში სოლომონ დოდაშვილი დაქორწინდა ინჟინერ-არქიტექტორ ბარიშკინის ნაშვილებ ელენე კობიაშვილის (დედით ჯავახიშვილის) ქალზე. მან თავის ოჯახში გამოზარდა და სწავლა მიაღებინა არა ერთსა და

ორ ახალგაზრდას. როგორც რაზნოჩინელი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდების აღზრდას.

დაუღალავი ზრუნვა სწავლა-განათლების გავრცელებისათვის სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის ერთი მხარე იყო. მას, როგორც განმანათლებელს, საქართველოს კულტურული გარდაქმნის ფართო გეგმა ჰქონდა დასახული: ბიბლიოთეკებისა და სტამბის დაარსება, ჟურნალ-გაზეთებისა და ნიგნების ბეჭდვა-გავრცელება. ამ ღონისძიებით იგი ცდილობდა, ხელი შეეწყო თავისი ქვეყნის კულტურული აყვავებისთვის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და მეცნიერების დარგების განვითარებისთვის. ს. დოდაშვილი მაშინდელი საზოგადოებრივი პირებს მოუწოდებდა, შეეკრიბათ შემოწირულობა სტამბის საყიდლად, განათლების საქმისა და ქართული ლიტერატურის წარმატების მიზნით.

ძველი ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის პარგი მცოდნე ს. ღოდაშვილი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის პროპაგანდას ეცოდა და გაპედულად იცავდა მას ყველა ჯურის ფალისი მიკატორობათაგან. ეროვნული კულტურის ტრადიციების აღზრდასთან ერთად იგი ჩვენში ნერგავდა რუსულ-ევროპული ინტელექტუალური ცხოვრების მიღწევებს, განმანათლებლობის და დამასახულის მიზნით.

თუ რა ინტენსიურ მეცნიერული ტერატურულ მუშაობას ეწეოდა ს. დოდაშვილი, ეს კარგად ჩანს იონა ხელაშვილისადმი მიწერილ ბარათებში. აი ერთი ადგილი ამ წერილებიდან:

1) შევადგინე ქართული ლრა-მატიკა სასწავლებლისათვის, 2) სრულვაკ რიტორიკა ქართულ-სავე ენას ზედა, 3) ვპსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისი, 4) ვსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხე-



ნის სრბოლისათვის წიგნი, 5) შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე: ვისგან სადა და ოდეს და თითოეული რას იპყრობს თვის შორის, 6) შევადგინე სხუადასხუანი ზნეობითი წანყვეტობანი (ოტრივე), შესხმანი, ავთრათნი და სხუანი, 7) შევადგინე მოკლედ ფილოსოფისა ძალი საზღვრეობითა და განყოფილებითა მისითა, 8) ისტორიული აღნერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ. ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი, ნარსულისა დროისანი და მომავალი ღმერთმან უწყის“.

კიდევ უფრო გაფართოვდა ს. დოდაშვილის მოღვაწეობის ასპარეზი, როცა იგი გაზეთ „ტფილის უწყებანის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი შეიქნა. ამ გაზეთმა, როგორც ცნობილია, 1828 წელს დაიწყო გამოსვლა რუსულ და ქართულ ენებზე. მართალია, იგი ოფიციოზი იყო და პირველ ხანებში იქ ს. დოდაშვილი მთარგმნელად მიიჩნევის, მაგრამ სულ მალე ქართველი მეცნიერი ამ გაზეთის აქტიური თანამშრომელი გახდა, ხოლო 1829 წელს უკვე გაზეთის რედაქტორია, 1830 წლიდან — გამომცემელიც.

როგორც ვთქვით, ს. დოდაშვილი ადრევე იყო დაინტერესებული უურნალისტიკის საკითხებით. მას ჯერ კიდევ 1827 წელს დაუმყარებია კავშირი მოსკოვის პერიოდულ გამოცემათა რედაქციებთან და შეპეირებია მათ სტატიების გაგზავნას საქართველოს შესახებ. მითუმეტეს, ქართული პერიოდული ორგანო ს. დოდაშვილის წინაშე დიდ პერსპექტივებს შელიდა.

ქართული მოაზროვნე ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა ქართული გაზეთის დაარსებას და, როდესაც გაზეთის გამოცემა შეფერხდებოდა, ქართული საზოგადოების მოწინავე ძალები ყოველთვის ზურგს უმაგრებდნენ გაზეთის რედაქტორს. როდესაც 1830 წლის დეკემბერში ამ გაზეთის გამოცემა ხელისმომწერთა სიმცირის გამო შეწყდა, ს. დოდაშვილთან მისულან მაშინდელი ცნობი-



სოლომონ დოდაშვილის  
ძაგლი სიღნალი

ლი მოღვაწეები — ალექსანდრე თრბელიანი და ელიზბარ ერის-თავი და მისთვის დახმარება შეუთავაზებიათ გაზეთის ალდგენის მიზნით. ქართული გაზეთის საქმეს დიდად თანაუგრძნობდნენ, აგრეთვე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ ახალ ქართულ პერიოდულ გამოცემებში პირველად დაიბეჭდა მათი ნაწერები.

რამდენად დამოკიდებული იყო ს. დოდაშვილზე „ტფილის უწყებანის“ არსებობა, ეს ჩანს ერთი წერილიდან: „ორი მრთელი კვირა მოუთმენელთა სიცხეთა შინა გახლდი ფრიად ავად... საქმენი დაშთომილნი მის დროსა შინა არიან გარემოს ჩემსა და „ტფილის უწყებანიცა“ დარჩნეთ ორ კვირას გამოუცემლად და ამის მიზეზისა გამომათს უგანათლებულესობას ბაგრატ ბატონის შვილს დაუგვიანდა და არ მიერთო.

„ტფილის უწყებანი“ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული უურნალისტიკის ისტორიაში. მართალია, იგი მეტად შეზღუდული იყო მეფის ხელისუფლების მიერ და მის ფურცლებზე უმთავრესად

ოფიციალური მასალა ქვეყნდებოდა, მაგრამ გაზეთი მაინც ძვირფას ცნობებს გვაწვდის მაშინდელი საქართველოს ცხოვრების შესახებ, მასში ბევრი მასალა საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების დასახასიათებლად რად ლირს, თუ გნებავთ, „ტფილის უწყებანის“ ფურცლებზე მოცემული აღნერა თბილისში 1828 წლის სექტემბერში გახსნილი ბაზრობისა (იარმარკის), ეს ხომ მაშინდელი ვაჭრობის ძირითადი ფორმა იყო.

გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა პირველად პუშკინის ლექსების ალ. ჭავჭავაძის ესული თარგმანები, ნერილი ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ, საქართველოს ეთნოგრაფიისა და სწავლა-აღზრდის მასალები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია — თურქების, ირანელებისა და, აგრეთვე, ლეკთა თავდამსხმელი ბრძოლების წინააღმდეგ ქართველებისა და რუსების საერთო გმირული ბრძოლების აღნერები, რომლებიც ამ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა.

1832 წელს სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა უურნალმა „სალიტერატურონი ნაწილი ტფილის უწყებათანი“. რედაქტორთან ერთად ამ უურნალის ინიციატირები და ხელისშემწყობნი იყვნენ ელიზბარ ერისთავი, ალ. ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე.

უურნალი დაარსდა, როგორც ნათევამია სარედაქციო განცხადებაში, „შესანევნებლად განათლებისა, განვრცელებისათვის, ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიახლოებისათვის განბრძობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“. პირველი ქართული უურნალის მთავარი მიზანი იყო, როგორც აცხადებს ს. დოდაშვილი, გაეღვიძებინა ქართველთა შორის „სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა“. ამავე დროს, უურნალს უნდა დაენერგა საზოგადოებაში „თავისუფალი



აზრები”, დაებეჭდა „თავისუფლების მოყვარეობით აღბეჭდილი თხზულებანი“.

ეს მიზნები ს. დოდაშვილმა უურნალში სულ მალე განახორციელა. საკმარისია დავასახელოთ უურნალში დაბეჭდილი ცნობილი დეკაბრისტის რილევის „ნალივაიოს ალსარების“ თარგმანი და გიორგი ერისთავის პატრიოტული ნანარმოები „ოსური მოთხოვნა“, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ გამოამჟღავნა უურნალმა თავისუფლების მოყვარეობის სულისკეთება.

მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულის გადვიძებას ემსახურება სოლ. დოდაშვილის შესანიშნავი ნარკვევი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც ნანილ-ნანილად უურნალის ნომრებში დაიბეჭდა. ნარკვევში ზოგადად მიმოხილულია მშობლიური ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხები და ხაზი აქვს გასმული ქართული ენის სიმდიდრეს და ქართული სიტყვიერი სელოვნების უდიდეს მნიშვნელობას. ამავე მიზანს ემსახურება ს. დოდაშვილის სტატია „რაიმე რუსთაველისათვის“, რომელშიც ავტორი რუსთაველის თხზულებას სამართლიანად თვლის პოეტური გენის უბადლო ნიმუშად.

ს. დოდაშვილი გაბეჭდულად ილაშქრებდა ქართული ისტორიის გამყალებლების ნინააღმდეგ. უურნალის მესამე ნომერში მან მოათავსა კრიტიკული სტატია, რომელშიც მზის სინათლეზეა გამოტანილი უურნალისტ გორდევის შეცდომები, დაშვებული საქართველოს ისტორიის შესახებ რუსულ ენაზე დაწერილ ნარკვევში. „სალიტერატურო ნანილნის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ისტორიული მასალებიდან ლირსმესანიშნავია, აგრეთვე, ნაშრომი მეფობა ერეკლე მეორისა“.

ეს მხატვრული თუ ისტორიული თხზულებები აღვიძებდნენ ქართული საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებას, სტიმულს აძლევდნენ ქართული ლიტერატურის განვითარებას.

მხატვრული ლიტერატურიდან უურნალში, გარდა რილევისა და გ. ერისთავის თხზულებებისა, აღსანიშნავია პუშკინის ქართული თარგმანები, ს. დოდაშვილის ორიგინალური და თარგმნილი მოთხოვნები და ალექსანდრე ორბელიანის, თადეოზ გურამიშვილისა და დავით მაჩაბლის ლექსები.

სოლ. დოდაშვილის ლიტერატურულმა უურნალმა დიდხანს ვერ იარსება (გამოვიდა სულ ხუთი ხომერი), მაგრამ მან უთუოდ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ის იყო მაუნყებელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოლვიძებისა. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ უურნალის მთელი რიგი მასალებისა ხელნაწერ ორგანოში მოათავსეს ნიკოლოზ პარათაშვილმა და მისმა მეგობრებმა. უურნალმა ფართო გამოხმაურება პპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველთა წრეებშიც.

1832 წლის შეთქმულებამ უდროოდ შეწყვიტა ს. დოდაშვილის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

**როგორი შეფასება შეიძლება მივთვით დღეს 1832 წლის შეთქმულების სოციალ-პოლიტიკურ ხასიათს?**

ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს ი. ბ. სტალინის უდიდესი მნიშვნელობის მითითება. **სტალინი** თავის ნერილში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შექმნილ სოციალურ ვითარებას და წერს: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთ წოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“. როცა „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობაში“ ყოფნა და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლე-

ბა“. ამით მას უნდოდა, „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედილბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობაში“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო, ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას“, რომ ძირიანად დაენგრია იგი.

ი. სტალინი 1832 წლის შეთქმულების ტიპის ნაციონალიზმს საქართველოს ახალ ისტორიაში უწოდებს „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს“. ესაა 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური შინაარსი. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი თავადაზნაურობის ცნობილი ნარმომადეგნები, შეთქმულთა მცირე ნანილს, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მესვეურობდა, გახანდა რესპუბლიკურ-კონსტიტუციური პრინციპები, რამდენადაც ახალგაზრდა ქართველი მოაზროვნე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმყოფებოდა რუსული დეკაბრიზმის გამათავისუფლებელი იდეების გავლენის ქვეშ.

მეფის მთავრობა შეთქმულთა შორის ყველაზე მკაცრად და შეუბრალებლად სოლომონ დოდაშვილს მოექცა. მას მიუსაჯეს ვიატეაში გადასახლება და სამუდამოდ აუკრძალეს სამშობლოში დაბრუნება. ს. დოდაშვილისათვის, რომელიც ისედაც სუსტი იყო ფეიზიურად, აუტანელი შეიქნა ჩრდილოეთის მკაცრი პავა, იგი დაავადდა ჭლექით. 1836 წელს შედგენილ საექიმო შემოწმების ოქმში ვკითხულობთ: „თვალები ამღვრეული და ღრმად ჩაცვენილი, სახე გაყვითლებული... ხმა მიღეული, სიტყვის გამოთქმა უჭირის, ხველას, საუბარსა და მოძრა-



ობას თან სდევს გულის წასვლა; ამგვარი ნიშნები აშკარად მოწმობენ ფილტვების დაჩირქებაზე ან მათ ჩირქოვან ჭლებზე და აგრეთვე იმაზე, რომ მედიცინას არ გააჩნია არავითარი უტყუარი საშუალება ასეთი რთული და ხანდაზმული სენის განსაკურნავად, განსაკუთრებით აქაურ ჩრდილოეთის ჰავის პირობებში“.

ს. დოდაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე და შემაძრნუნებელი ყოფილა, რომ თვით ვიატკის გუბერნატორის გულიც კი გაულდვია და 1835 წლის 10 ივნისს მას შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ, რათა დოდაშვილი სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში გადაეყვანათ. მაგრამ იმპერატორმა ტირანული გულქვაობა გამოიჩინა და სულთობრძავს არ შეუმსუბუქა მდგომარეობა. ს. დოდაშვილის თხოვნის შესახებ სათანადო დოკუმენტში აღნიშნულია: „...დოდაშვილის ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება მისი უზენაესობამ ხელმწიფე იმპერატორმა არ ინება“.

1836 წლის 20 აგვისტოს სოლომონ დოდაშვილი გარდაიცვალა. „მისი ქვრივი მწუხარებისგან მიმკვდარებული“, როგორც ერთ მაშინდელ ოფიციალურ დოკუმენტში შია ნათევამი, ორი მცირენლოვანი შვილით საქართველოში გამოისტუმრეს.

სიკვდილთან მებრძოლი, მაგრამ მაინც იმედიანი ს. დოდაშვი-

ლი, ვიატკაში ინახულა იქ გადასახლებულმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატმა გერცენმა. გერცენის სიტყვით, დოდაშვილი სულსა ლაფავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით ლაპარაკობდა სიცოცხლეზე.

ს. დოდაშვილს საზოგადოებრივ-იდეური ძიების რთული გზა აქვს გავლილი. ახალგაზრდა ქართველ მოაზროვნეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სენატის მოედანზე მოხხდარმა ისტორიულმა აქტმა (1825 წლის დეკემბერში იგი პეტერბურგში იმყოფებოდა). ამაში ჩვენ გვარნმუნებს არა მხოლოდ შემდეგში გამომჟღვნებულირესპუბლიკური პრინციპები, არამედ დოდაშვილის ბიოგრაფიის უფრო ადრეული მომენტიც. დეკაპრისტთა აჯანყების ერთი წლის შემდეგ მას პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის იაკობ კრუპსკი-საგან გადმოუწერია ასლი ცნობილი დეკაპრისტის რილევის ბარათისა ცოლისადმი. ეს აკრძალული დოკუმენტი მას საქართველოში ჩამოუტანია და გაჩერების დროს მის ქალალდებში უპოვნიათ. დაკითხვისას ს. დოდაშვილმა აღიარა: „Письмо Рылеева я переписал в Петербурге у студента Крупского в 1826 году“.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ ს. დოდაშვილი დაინტერესებულა იაკობ კრუპსკის ბედით, საფრანგეთში მისი გამგზავრებით და სხვ. ყიყვადილთან მებრძოლი, მაგრამ მაინც იმედიანი ს. დოდაშვი-

აირას ვეიტხულობთ ს. დოდაშვილის ერთ კერძო წერილში:

„ადამ ლირსიევს მოვიკითხავ დიდი სიყვარულით და ვსთხოვ უმდაბლესად, რათა შეიტყოს უნივერსიტეტში იაკობ კრუპსკი, რომელიც იყო სტუდენტგად, სადარს, ვითარ ცხორებს და რატომ წიგნს არა მწერს? ხომ არ მიდის ფრანციაში? და ვითარება მისი წვრილად მომწეროს, რომელსაცა ფრიად დაუმადლებ...“

ახალგაზრდა მოაზროვნის მსოფლიმხედველობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა იწყება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როცა ის უშუალოდ გაეცნო თავისი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას. სამშობლო ქვეყნის ისტორიულმა ვითარებამ, სოციალურ ძალთა ბრძოლის სურათებმა დიდი გავლენა იქონიეს სოლომონ დოდაშვილზე, რომელიც თვითონ გამოსული იყო დაბალი ფენიდან, გლეხთა ნრიდან. როგორც პირველი ქართველი რაზონჩინელი, ს. დოდაშვილი სისხლ-ხორცეულ ნათესაობას გრძნობდა გლეხობასთან, რომელიც იმ დროს კაბალურ ჩაგვრას განიცდიდა ქართველი თავადაზნაურებისა და რუსი ჩინოვნიკების მიერ. იგი შეძრწუნებულია მშრომელი გლეხობის გაღატაკების მძიმე სურათით. ერთ წერილში დოდაშვილი გულისტკივილით შენიშნავს: „განა ერი მის მაზრისა (იგულისხმება კახეთი. გ.ა.) ფრიად მწუხარედა მტირალი ვინილება, ნახევარი მცხოვრები არღა იპოება, რომელნიცა გარდაეგნენ სხუა და სხუასა მხარესა ანუ კერძოსა ამას ქუეყანის ნანილისასა შიმშილისა გამო, მრავალი არ მოვიდა, ახალი არა რა და ძველი ხომ არღა იყო: კოდი ფქვილი ღირს ოთხ მანეთათ თეთრ ფულად კახეთში და მადლობა ღმერთსა ქალაქში უფრო იაფია, გლეხთა ვინ მისცათ, რათა მოივაჭრონ ფასითა ამით“.

ცხადია, ეს სტრიქონები, რომელიც გლეხობის უმძიმეს სოციალ-ეკონომიურ ვითარებას გვიხატავენ, გამთბარია გლეხეაცობისადმი დიდი თანაგრძნობით. ასევე საინტერესოა ს. დოდაშვილის

## სოლომონ დოდაშვილი:

**ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვდა  
თავისი საკათარი მდგრმარეობა, აქვდა თვისი  
სჯული, თვისი სარმარენება, თვისი ენა და  
თვისი ჩვეულება... ნე უკვე ჩვენ არა ვართ  
შვილი მამა-კაპათა ჩვეთანი? ნე უკვე ჩვენ  
არა გვაკვის სიმარტი და ჟაფრონი,  
აროდენის ჩვენ მამათა ანა სევათა მსგავსთა  
კამთა?! მაშ არისათვის ვეოცხებართ?!**



ბარათი, მინერლილ თავის ძმასთან  
(სტეფანესთან). აქ ს. დოდაშვილი  
ექომაგება გლეხობას და აღნერს  
მკაცრი მემამულის — შ. აფხაზის  
მიერ გლეხობის შევიწროებას.

ს. დოდაშვილი დღითიდე ეცნობოდა თავისი ქვეყნის სოციალურ ვითარებას და გარკვეული დასკვნებიც გამოჰქონდა. ქართველი მოაზროვნე მშრომელი მასების ინტერესებით იმსჭვალებოდა. ამ დემოკრატიულ პრინციპებს იგი მჭიდროდ უკავშირებდა ეროვნულ ინტერესებს, რომლებსაც, დეკაბრისტული მოძრაობის გავლენით, რესპუბლიკანიზმის იდეას უმორჩილებდა.

ერთ-ერთი ჩვენების დროს მან  
დიდი გამძლეობით ჩამოაყალიბა  
თავისი შეხედულება სოციალურ-  
პოლიტიკურ ჩაგვრაზე, რომელ-  
საც მშრომელი გლეხობა განიც-  
დიდა.

ერთის მხრით, გლეხობის სიღა-  
რიბე, რაც გამოწვეული იყო ბა-  
ტონებური ყვლეფით და, მეორე  
მხრით, გლეხობის ჩაგვრა-შევიწ-  
როება ცარიზმის მოხელეებისაგან  
— აი, ს. დოდაშვილის აზრით, ხალ-  
ხის მიმართ ჩადენილი დანაშაუ-  
ლის მთავარი არსი. ამ ვრცელი  
დოკუმენტიდან მოვიყვანით რამ-  
დენიმე შემოკლებულ ამონანერს:

„სახელმწიფო დაწესებულებებში, — წერს ს. დოდაშვილი, — საქ-მეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზენე-ჩვეულებებს. კანონს უკულმართი აზრით ხსნიან და საქ-მეები ფრინად არასწორად მთავრდება... მომჩინვართაგან, როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე თვითონ საქმე ღირს, თორებმ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოს-მენილი და არც არასოდეს დამ-თავრდება... ყველაზე პატიოსან და ყველას მიერ პატივცემულ ადა-მიანს სჯიან ხოლმე, თუ კი მან ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რაც ძალიან ხშირად ხდე-ბა გულწრფელობით, კანონის უკოდინარობით...“

ამის შემდეგ ს. დოდაშვილი ჩა-  
მოთვლის უკანონო მოქმედებათა  
კონკრეტულ მაგალითებს, უმ-

თავრესად გლეხობის მიმართ და დაასკვნის: „ამგვარი საქმეები უამრავია, ეს ძალიან ამძიმებს მცხოვრებლებს და ისინი ხშირა-დაც ჩივიან, სიღარიბის ან ენისა თუ კანონების უცოდინარობისა გამო სრულიად ხელს იღებენ თა-ვიანთ უფლებებზე“.

ბოლოს დღიდაშვილი აყენებს თავის წინადადებას, რომლის ცენტრალური პუნქტია: „მართვისათვის საჭიროა შერჩეული იქნეს ადამიანები, რომლებიც ხალხის საკისებით მცოდნენი იქნებიან“.

ვის შეეძლოა ასეთი ენით ელაპარაკა 30-იანი წლების საქართველოში, ვის შეეძლო დაეცვა გლეხობის ინტერესები თავად აფხაზის ჩაგრისაგან, თუ არა ჭეშმარიტად დემოკრატიული მსოფლმხედველობის ადამიანს!

ичей не царствовать, а присутствовать и входить в дела Грузии по гражданской части, кажется, в заключении сказал: тогда бы вышло республиканское правленис".

შმობელი ხალხის ცხოვრება  
მძიმე სოციალური და ეროვნული  
ჩაგვრის პირობებში, თანამედრო-  
ვე საქართველოს ისტორიული ვი-  
თარება ს. დოდაშვილისთვის შე-  
იქნა პოლიტიკური აღზრდის დი-  
დი სკოლა. აღსანიშნავია, რომ დე-  
კაბრიზმის პოლიტიკური თავი-  
სუფლების პროგრესული იდეალი  
გარკვევით არის გამოხატული  
გრიგოლ ორბელიანის ცნობილ  
„მოგზაურობაში“ და ნიკოლოზ  
ბარათაშვილის გენიალურ პოემა-  
ში „ბედი ქართლისა“. ყოველივე  
ეს მონმობს, რომ გასული საუკუ-  
ნის 30-40-იანი წლების საქართვე-  
ლოს ცხოვრებაში არსებობდა რა-  
დიკალური აზროვნების სახელო-  
ვანი ტრადიციები, რომლებიც  
შემდგომ განაგრძეს და ახალ  
პრინციპულ სამაღლებზე აიყვანეს  
ქართველმა მესამოციანელებმა.

ს. დოდაშვილი XIX საუკუნის მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პირველი მედროშება. მისი პატრიოტული თავდადება, ხალხისთვის ზრუნვა და დაუცხრომელი მოღვაწეობა ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებისთვის თაობიდან თაობებს გადაეცემა. ონდა ხელაშვილი ერთ წერილში დოდაშვილს წერდა: „სახელი შენია აღიცერების წიგნსა შინა, ხოლო სამარხოსა შენსა ზედა აღიმართვიან ჩაგლი, მძაფაგებელი შენის სიბრძნისა და ღვაწლისა, ხოლო პილიოთეაგრძა შინა ივერიისასა სახელი შენი შთაინერებიან აღგაძვებად სიბრძნითა მოყვარეთა“.

ქართველი მოაზროვნის საფლავი დაკარგულია, რომ იქ აღმართულიყო ძეგლი, მქადაგებელი მისი სიბრძნისა და ღვაწლისა, მაგრამ ქართველმა ხალხმა თავის გულში, დიდი ხანია, აუგო სოლომონ დოდაშვილს ხელთუქმნელი ძეგლი.

გიორგი აბზიანიძე

50

# «ՃԵԿ ԿՐՎԱՀՐԱՐՈՒՅԻՆ ՅԱՐԱՑՄԱՆ ՅՈՒՂԵՐԵՐՈՒ»

ჩვენი ერის დიდი მოქმინახულე ილია ჭავჭავაძე  
1893 წლის 25 იანვარს გაზირ „ივერიის“ მონინავეში წერდა:  
„...ქართველთა განათლებული რაზმი ყოველ წელს მატულობს.  
წელსაც ჩვენმა გიმნაზიებმა ორმოცამდე ქართველს  
დაასრულებინეს კურსი, უმრავლესობა ამ ახალგაზრდების,  
რასაკვირველია, არ კმაყოფილდება გიმნაზიის ატესტატით  
და უნივერსიტეტის დიპლომის აღებასაც მოისურვებს.“

ამ სასიამოვნო ფაქტს ბრძენება-ცი მიესალმებოდა და იქვე გონივ-რულ რჩევას აძლევდა ახალგაზ-რდებს: „....სანამდის ერთს რაიმეს გადაწყვეტილებას დაადგებოდ-ნენ შემდეგის განათლების შესა-ხებ, ჩვენი ნორფელი რჩევაა, კარ-გად ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რო-გორი ცოდნის და განვითარების კაცები ესაჭიროება ჩვენს ქვეყა-ნას ამჟამად“.

დიდი ილიას ეს რჩევა თუ გაფრთხილება იმ დროისათვის არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან XIX საუკუნის 90-იან წლებში საგრძნობი გახდა, რომ ქართველი ახალგაზრდობა უმთავრესად პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით მიისწრაფვოდა იურიდიული მეცნიერების დაუფლებისკენ. ილია კი მათ სწრაფვას მშობლიური ქეყნის საზიანოდ თვლიდა, არნებუნებდა ახალგაზრდებს — „ეს დიდი გამოუსწორებელი შეცდომაა“.

ଓଲିବା ଆଶାଲୁଗାଠିର୍ଦ୍ଦେହିସିଗାନ ମନ-  
ିତକୁଳପଦା, ରାମ ଇସିନୀ ଉମତାବର୍ଣ୍ଣ-  
ଶାଦ ଇଶେତ ଫାରଗ୍ବେହି ଫାକ୍ଷେଲୋବନ୍ଦେ-  
ଶ୍ଯୁଲ୍ଲିପବନ୍ଦେ, ରାମଭେଲିତ ଉତ୍ତରକ ଶା-  
କିରନ ପୁଣ ଶାଜାରତବେଲିନ୍ଦ୍ରିସିବିଲି.

ილიას იმხანად ქართველი ხალ-  
ხის ცხოვრების აღორძინება ვერ-  
ნარმოედგინა განვითარებული  
სოფლის მეურნეობის გარეშე და  
ამიტომაც სრულიად შეგნებულად  
აყენებდა საკითხს — **ქართველი**  
**ახალგაზრდობა დაუფლებო-**  
**და სასოფლო-სამეურნეო გა-**  
**ნათლებას.** ეს მოსაზრება მან სა-  
ჯაროდ განავითარა 1893 წელს  
თელავში მოწვეულ კახელ მევენა-  
ხეთა კრებაზე. ამ გამოსვლით მან

ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ  
რა შესანიშნავად ერკვევოდა იგი  
მევენახეობის საკითხებში და სო-  
ფლის მეურნეობის წინა პლანზე  
ნამონევა მიზანშეწონილად მიაჩ-  
ნდა: „...მე იმ აზრისა ვარ, რომ სა-  
სოფლო-სამეურნეო სკოლებს მე-  
ტი სარგებლობის მოტანა შეუძ-  
ლიან, ვიდრე ახლანდელს სათავა-  
დაზნაურო სკოლებს“.<sup>1</sup> ამას იმი-  
ტომ ამბობდა, რომ იმ ხანად მი-  
ნათმოქმედება საქართველოში სა-  
უკუნეებით ჩამორჩებოდა მთელი  
რიგი მონინავი ქვეყნებისას.

ଓ. ফুওফ্তাবাদে শ্রেষ্ঠাৰণ্ডা ৰিনাৰ্ম-  
দলৱৰিবান্তকাৰিস সাৰ্বত্রিল-সাৰ্ম-  
জুৰ্ণেৰ স্বৰূপাস, রমেল্লসাচ পুণ্ড-  
নিস ৰিনাৰ্ম-  
দলান্ব উচ্চৰণ্ডেৰডা, দা  
ডাৰ্ভেজিৰেৰীত মৰিতকৰণ্ডা, রমে  
মাস পুৰাধলেৰা আৰ মৰিক্ষুল্লেৰীণ্ডা.  
ৰিনাৰ্ম-  
দলৱৰিবান্তকাৰিস স্বৰূপাস  
সাৰ্ম-  
জুৰ্ণেৰ সাৰ্বত্রিল-সাৰ্ম-  
জুৰ্ণেৰ মৰিহৰ্ণেৰীডা দা সাৰ্বত্রিল-  
সাৰ্ম-  
জুৰ্ণেৰ দান্বিদণ দাৰ্ভেজিৰেৰাৰ পুণ্ড-  
নিস।

ვინ მოთვლის, რამდენ ახალ-გაზრდას გაუღვიძა მწერალმა ინ-ტერესი, რომ სამეურნეო სკოლაში ესწავლა და შემდეგ თავისი ცოდნით გამოიდგომოდა სამშობლოს. როცა კი რომელიმე გაზეთში ან ჟურნალში შეხვდებოდა მა-სალებს, რომლებიც სოფლის მე-ურნეობაში ახალი ტექნიკური სა-შუალებების გამოყენებას ეხებო-და, ცდილობდა, რომ საქართვე-ლოშიც შეეძინათ და ქართველი მეურნე დაუფლებოდა მას.

ილია ჭავჭავაძე დიდად იყო და-  
ინტერესებული, რომ თავის „თვა-  
ლის სინათლე“ საქართველოს  
ყველა დარგში ჰყოლოდა საკუთა-  
რი კადრი, ისეთი მცოდნება უნა-

რიანი ინტელიგენცია, რომელიც უთუოდ პირადულზე მაღლა საქ-ვებუნო ინტერესებს დააყენებდა.

საქართველოს დღევანდველმა  
ხელისუფლებამ სოფლის მეურნე-  
ობა პრიორიტეტულ დარგად გა-  
მოაცხადა და გარკვეული ღონის-  
ძიებები დასახა მის ასაღორძინებ-  
ლად, მაგრამ მარტო გლეხის დახ-  
მარება, მისი წახალისება როდია  
საკმარისი ქართული სოფლის ფე-  
ხზე დასაყენებლად. „არც უნიგნო-  
ბა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ  
გამოხედვა. უნიგნოდ თვალთა-  
ხედვის ისარი მოკლეა და არც  
მარტო წიგნითაა საკმაოდ გრძე-  
ლი“, — ბრძანებდა დიდი ილია.

ରା କ୍ଷେତ୍ରଫଳୀ ଦଲେ କାରତ୍ଵେଲୀ  
ଆଶାଲ୍ଗାଥିରଫେବିଲ୍ ସାସନ୍ତ୍ରଳମ୍-ସାମଜି-  
ୟରନ୍ଧ୍ରୀ ଗାନ୍ଧାତଲ୍ଲେବିଲ୍ ଦ୍ୟାୟତଲ୍ଲେବିଲ୍ ଯି  
ମିଠିନୋତ, ଝୁଇରନ୍ଦ୍ରି ବିନମ୍ରେ, „ରାଗର-  
ରି ପ୍ରକଳ୍ପିନୀଲା ଦା ଗାନ୍ଧିତାରକ୍ଷେବିଲ୍ କା-  
ପ୍ରେବି ଗ୍ରାଫିରନ୍ଗେବା ହିତେବି କ୍ଷେତ୍ରାନାଲ  
ଅମ୍ଭାମାଲ“ — ଏହି ଦା ଲ୍ଲେବା ସାକିତ୍ତେ-  
ଦିନେ ଗାନ୍ଧାଲ୍ଗାଥିରଫେବିଲ୍ ସାକ୍ଷାରତ୍ଵେଲୀ  
ସାମନ୍ତ୍ରଳିଲ୍ ମେଧାରନ୍ଧ୍ରୀବିଲ୍ ମେଧିନୀରକ୍ଷେ-  
ବାତା ଆକାଶମିଳିଲ୍ କରେଥିବିଲ୍ ତାହାର ଭାବୀ  
ଲ୍ଲେବା କାମିକିଲ୍ ପିଲ୍ :

— ბატონონ გურამ, თავის დრო-  
ზე ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ამ-  
ბობდა, რომ საქართველოს მი-  
ნათმოქმედება საუკუნეებით ჩა-  
მორჩებოდა მსოფლიოს მონინა-  
ვე ქვეყნებისას. მიზეზად კი სოფ-  
ლის მეურნეობის კვალიფიციუ-  
რი სპეციალისტების ნაკლებო-  
ბას მიიჩნევდა. დღეს რა მდგომა-  
რეობა გვაქვს ამ მხრივ?

— ძალიან მოკლედ, ორი სიტყვა ვით რომ ვთქვათ, არის რამდენიმე ინსტიტუტი, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მთლიანობაში საქართველოში დაახლოებით 4000-მდე სოფელია და თითოეულში ერთი აგრონომი რომ მაინც იყოს, საქმეს ეშველებოდა. საერთოდ, აგრონომების დიდი დეფიციტია. ამ 20-წლიან პერიოდში, საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ ვერ



მოხერხდა ახლის აშენება, ამიტომ ეს პერიოდი, ფაქტობრივად, დაკარგულია. სოფლის მეურნეობასა და ფერმერებს დღეს ცოდნა სჭირდებათ, მაგრამ როგორ უნდა მიიღონ მათ ეს ცოდნა, თუ ამას რაიმე სისტემა არ უზრუნველყოფს? მხედველობაში მაქეს საუნივერსიტეტო განათლება და შემდგომ კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ერთიანი მთლიანი უწყვეტი პროცესია. ადრე აგრარულ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ასეთი მომზადება. ამჯერადაც, პირველ რიგში, სწორედ ამის აღდგენა უნდა მოხდეს. მერე შეიძლება ვიფიქროთ ისეთ ამბიციურ პროექტებზე, რომელთაც ევროპის, და არა მარტო ევროპის, წამყვანი სახელმწიფოები ახორციელებენ; თუმცა მსგავსი პროექტები დიდ თანხებსა და მატერიალურ უზრუნველყოფას მოითხოვს.

— კადრების მომზადება ახსენეთ, რა გამოცლილება გვაქვს ამ მხრივ და რამდენად კონკურენტულები იყვნენ იმავე საპფორტა პერიოდში მომზადებული სპეციალისტები?

— ადრე მუშაობდა აპრობირებული სისტემა, რომლითაც ხდებოდა ცოდნის გადაცემა. ერთის მხრივ, მზადდებოდა კვალიფიციური აგრონომები, რომლებიც მუშაობდნენ სოფლებში და მეორე მხრივ, სახელმწიფო ზრუნავდა მათი კვალიფიკაციის დონის მუდმივ ამაღლებაზე. დღეს ეს არ ხდება, ამიტომ უნდა ვეძებოთ ახალი გზები. რაც შეეხება კითხვას, კონკურენტულები რამდენად იყვნენ ჩვენი აგრონომები, უნდა მოგახსენოთ, რომ გვყავდა მაღალი დონის სპეციალისტები, რომელთაც შეეძლოთ მრავალი თეორიული თუ პრაქტიკული დონის ღონისძიებების წარმატებით გადაწყვეტა, თუმცა შემდეგ ამ დონემ, სამწუხაოდ, დაბლა დაინია.

— მიუხედავად ეკონომიკური  
სიძნელეებისა, 90-იან წლებშიც კი  
აგრძარულ უნივერსიტეტს მუშაო-  
ბა არ შეუწყვეტია. წინა ხელი-  
სუფლებამ პრიორიტეტადაც გა-  
მოაცხადა სასოფლო-სამეურნეო  
მიმართულებები. რატომ მოხდა,

რომ, ამ ყველაფრის მიუხედავად, კვალიფიციური კადრების დეფიციტი ისევ არსებობს? ისევ უცხო-ელი სპეციალისტების ჩამოყალიბების ზე რატომაა საუბარი?

— საქმე ისაა, რომ პრიორიტეტების დასახვა მარტო დეკლარირების დონეზე არ უნდა ხდებოდეს. კონკრეტული, ხელშესახები გეგმა უნდა მომზადდეს, ახალმა მთავრობამ ძალიან კარგი ნაბიჯი გადადგა — აგრონომიულ მიმართულებებზე სწავლა იქნება 100%-ით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული. ბათუმის უნივერსიტეტი და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი უკვე მიმდინარე წელს მიიღებენ 100%-იანი გრანტით დაფინანსებულ სტუდენტებს. ასე რომ, პოზიტიურ შედეგებასაც მაღლე ვიხილავთ.

— მარტო სწავლის დაფინანსება არის საკმარისი?

— ამავე დროს მიმდინარეობს  
ძლიერი მატერიალურ-ტექნიკუ-  
რი ბაზის შექმნა, სადაც სტუდენ-  
ტმა უნდა გაიაროს არა მარტო  
თეორიული სწავლება, არამედ  
პრატიკულიც, ანუ მათ უნდა შე-  
ისწავლონ ახალი მიმართულებე-  
ბი, აგრეთვე, ჩვევები, თუ როგორ  
უნდა ანარმონონ კვლევა. ეს ერთი-  
ანი პროცესია და ამას სერიოზუ-  
ლი მუშაობა სჭირდება, ამასთან,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერე-  
ბათა აკადემიას განზრახული  
აქვს, შექმნას ფერმერთა კვალი-  
ფიკაციის ამაღლების კურსები,  
სადაც ფერმერებს მიეცემათ სა-  
შუალება, აითვისონ ახალი ტექ-  
ნილოგიები, ტექნიკა და სხვ.

— თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხიც მუდმივად აქტუალურია. ამ მხრივ რა მდგრამართობა გვაძლევს?

— ტექნოლოგიების დანერგვა,  
რასაკვირველია, მიმდინარეობს,  
ეს შეუქცევადიპროცესია, მაგრამ  
ჩამორჩენა მაინც დიდია. ამის აღ-  
მოთხვრაზე ბერძნები მსჯალობაა და

არაერთი მოსაზრება გამოითქვა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მიზანშეწონილად მიაჩნდათ სპეციალისტების მხოლოდ უცხოეთიდან ჩამოყვანა. მე ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები; რატომ

— დასაწყისში თქვენ თქვით,  
რომ უნდა შეიქმნას სოფლის მე-  
ურნეობის განვითარების ახალი  
სისტემა. უცხოელ სპეციალის-  
ტებთან თანამშრომლობის გარე-  
შე მარტინ საბჭოთა პერიოდში  
მომზადებული კადრები შეძლე-  
ბენ ამის შემუშავებას?

— თანამშრომლობა, რასაკვირველია, უნდა იყოს, მაგრამ მთლიანად უცხოელ სპეციალისტებს არ უნდა ჩაბარდეს ეს საქმე. ვიმეორებ: საქართველოში არის ყველა პირობა იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენ თვითონ განვაკითაროთ, გვაქვს უნიკალური ჯიშები (ჰიბრიდები), რომლებიც ქართველი სელექციონერების მიერაა გამოყვანილი და ა. შ. რაჭომ უდია შემოვიტანოთ აგრძიკიდან, ვთქვათ, სიმინდის თესლი, როცა შეგვიძლია ჩვენის, ადგილობრივის გამრავლება-გავრცელება ადგილზე? როგორ შეიძლება, დღეს სოფლის მეურნეობაზე ვილაპარაკოთ, თუ მთესლეობა არ გვაძვს განვითარებული, კარგად აწყობილი ჯიშთა გამოცდის სისტემა არ გუშავდს და სხვ. აი, ამას უნდა შეკუნის ხელი, ეს უნდა

განვითარდეს და შემდეგ სხვა მი-  
მართულებებიც განვითარდება.  
მე მოხარული ვარ, რომ ახალი ხე-  
ლისუფლება უკვე ფიქრობს ამა-  
ზე და კონკრეტულ ნაბიჯებიც გა-  
თავმოიყო.

— მიზეზებზეც ვისაუბროთ:  
რატომ ხდება დღემდე ჯიშების  
შემოტანა უცხოოთიდან, თუ ად-  
გილობრივი გვაქვს?

— კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: თუ არ განვავითარეთ სე-

80

— ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა, 1 მილიარდიც კი ჩადეს ამ დარგში, მაგრამ მოდით იმაზე ვისაუბროთ, რა კეთდება რეალურად, რაში იხარჯება ამხელა თანხა? პირველ ეტაპზე ვაუჩერები დარიგდა. თქვენი აზრით, რამდენად გონივრულია ეს პროგრამა?

— ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. აქამდე, როგორც გითხარით, გლეხი, ფერმერი აბსოლუტურად მიტოვებული იყო. მას არ ჰქონდა არავითარი დახმარება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. მეტიც, იყვნენ ადამიანები, რომელებიც ავითარებდნენ იმ აზრს, რომ სოფელს არ სჭირდება მხარში დგომა, რომ ის თვითონ მონახავს გამოსავალს. ეს არასწორი დამოკიდებულებაა. სოფელს უნდა დაეხმარო არა მარტო ფინანსურად, არამედ პოლიტიკურადაც. პოლიტიკურად დახმარებაში ვგულისხმობ საბაზრო გზების გახსნას, რომ მისი პროდუქცია გასაღდეს. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, აქ დახმარების იდენტის განსაზღვრა, ცხადია, უნდა მოხდეს იმის შესაბამისად, თუ რა რესურსები გააჩნია მთლიანობაში სახელმწიფოს.

— ნინა ხელისუფლების რიგებ-  
ში იყვნენ ადამიანები, რომლებიც  
თვლიდნენ და დღესაც თვლიან,  
რომ საქართველოში სოფლის მე-  
ურნეობა არ არის კონკურენტუ-  
ლი, რომ მას მომავალი არ აქვს...

— აბსოლუტურად არასწორი  
მიდგომაა. არ არის აუცილებელი,  
რომ სოფლის მეურნეობა კონკუ-  
რენტული იყოს. **საერთაშორისო**  
**რთულობის** შემთხვევაში არის გა-

ରୁଦ୍ରେଶ୍ୟାଳୀ ମିଥାକତୁଲ୍ଲାପାରୀ,  
ପୁଣ୍ୟତୁରାପର, ରମଣ୍ୟାପିତ ଏକା-  
ନୀରାଜ ମନ୍ତ୍ରପାଦିନ ଏକାବୀର,  
ମାଧ୍ୟମ ସାହେଲାପଣେଷମ ଆଶିନ୍ଦା-  
ନେତ୍ରାଶ, ମନୀତିମା, ରମା ମାତ୍ର ଶତିର-  
ଙ୍ଗକା ମିଶି ଏକସାକରଣକା, ରମା ଉପ-  
ରେତ୍ୟାନାଶିପି ଶର୍ମିଲାଦ ମୋହନ୍ତେମ-  
ନୀରାଜ ତୁଳିଶୁରାକାଶ ଉଚ୍ଚପରାଶ  
ପ୍ରେସ. ଶର୍ମିଲାଦ ମୋହନ୍ତେମନୀରା-  
ଜେଇ ମାନ୍ଦେବିତାକଣ୍ଠକା ଧ୍ୟାନମାନୀ-  
କିଲେ ଧୀରାଶୀ. ଆଶ୍ରୀ ପ୍ରତ୍ୟେକିନୀ ଏବଂ  
ମାତ୍ର ପରାମରିତ ସାକାରତତ୍ତ୍ଵାଲାପିତ  
ଏବଂ ଶୁଦ୍ଧା ଉପରେ.

— ეს ყველაფერი გასაგებია,  
მაგრამ, ნმინდა პრაგმატული  
თვალსაზრისით, რა მიზანი აქვს  
ამ დოტაციას?

— გასაგებია, რასაც მეკითხებ-ით. ავიღოთ თუნდაც ევროპის მასშტაბით ჩვენი სოფლის მეურ-ნეობის როლი. რა შეგვიძლია შევთავაზოთ მომხმარებ-ელს: ჩვენ შეგვიძლია ვაწარ-მოოთ ნებისმიერი კულტურა, მაგრამ უდია ვანერმოოთ ეკოლოგიურად სუჟოთა. ესაა განსხვავებასხვა ქვეყნის-გან. მხოლოდ ასე შეიძლება გავიღოთ ევროპის გაზარჩევ, სხვანაირად ქართული პრო-დუქტის საბაზიზება უცხო-ეთში გაძლიერება.

— დასასარულს, მიწის გასხვისების ფაქტებზეც გკითხავთ, ბოლო დროს ქართლსა და კახეთში მოსახლეობა აქციებს მართავს, უკამაყოფილებას მიწის უცხოელებზე

გაყიდვა ინვენტარის, თქვენი აზრით, ეს  
რამდენად აფერხებს სოფლის მე-  
ურნეობის განვითარებას?

— საქართველო ისედაც მცირე-  
მიწიანი ქვეყანაა, უცხოელებზე  
მიწის გასხვისება სოფლის მეურ-  
ნეობას ზიანს აყენებს თუნდაც  
იმით, რომ უცხოელი არაა დაინ-  
ტერესებული, შეინარჩუნოს მი-  
წის ნაყოფიერება, მას ის უყურებს  
მომხმარებლის პოზიციით და არ  
დაგიდევს იმას, თუ რა იქნება მო-  
მავალში. ამიტომ მიწაზე ქართვ-  
ელმა გლეხმა უნდა იზრუნოს, ეს  
მისი მამაპაპური სიმდიდრეა, რო-  
მელიც შთამომავლობას უნდა და-  
უტოვოს. ამიტომ ჯობია, შენს  
გლეხს, შენს ფერმერს შეუწყოხე-  
ლი და ის არა ნაკლებად გააკეთ-  
ებს თავის საქმეს.

— ეს მინები იურიდიულად კანონის სრული დაცვითაა უცხო-ელებზე გაყიდული. როგორ ფიქ-რობთ, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნდეს კუთვნილი ფარ-თობები?

— იურიდიულად ამის გაკეთება  
ძალზედ ძნელი იქნება, რადგან ის  
კანონით დაცულია; მეორეც, იმ  
უცხოელს მიღიონება აქვს გადახ-  
დილი, რასაც, ბუნებრივია, უკან-  
ვე მოითხოვს. ჩემი აზრით, თავის  
დროზე ეს იყო დიდი დანაშაული,  
რაც წინა ხელისუფლების დროს  
მოხდა, ჩვენ ახლა ამის გამოსწო-  
რებაზე უნდა ვიუიქროთ. ყოველ  
შემთხვევაში, მინის გასხვისე-  
ბა უცხო ქვეყნის მოქალაქე-  
ებზე უდია გენდერს. სხვანა-  
ირად ადგილობრივ ფინანსებს  
ყოველთვის გაუჭირდება  
უცხოელ პიზნესმენთან კონ-  
კურენცია და საპოლიტოდ მი-  
ვალთ იმ მდგრადარეობამდე,  
რომ მინის უდიდესი, საუკე-  
თესო ნაიდუ აღმოჩნდება  
მათ ხელში, ხოლო ერთოველი  
გლობუ — მათი მოსამსახური.

ესაუბრა პაბა ჭვანია



# ნინი ნავარებით თუ ეკან?

აი, რას წერდა 1987 წლის გაზაფხულზე  
გაზეთი „სოფლის ცხოვრება“:

## 1987 წლის მოსავალს — მტკიცე საფუძვლი!

ემზადებიან საგაზაფხულო  
თესვისთვის უამინდობის გამო  
დასავლეთ საქართველოს კოლხე-  
თის ზონის მეურნეობებს წელს  
განსაკუთრებულ ექსტრემალურ  
პირობებში უხდებათ სამუშაოთა  
შესრულება. ნიადაგში ტენის დი-  
დი რაოდენობა დაგროვდა, ბევრ  
ადგილას ჭირს ტექნიკის შეყვანა.  
ვერ დასრულდა საგაზაფხულო  
ხვნა. არადა, ახლა მისი დაგვიანე-  
ბა და მეტად გადადება შეუძლე-  
ბელია. თესვის აგროვადებიც  
კარს მოგვადგა. დარჩენილ დრო-  
ში ფოსფორითა და კალიუმით გა-  
ნოყიერებულმა, მოხნულმა ნია-  
დაგმა მომწიფებაც უნდა მოასწ-  
როს, რათა მზად იყოს მისათვის,  
რომ მიიბაროს თესლი. თუ რო-  
გორ მიმდინარეობს საგაზაფხუ-  
ლო თესვისთვის მზადება, ამ მიზ-  
ნით ტელეფონით დაუკავშირ-  
დით აბაშისა და ლანჩხუთის რაი-  
ონების აგროსამრენველო გაერ-  
თიანებებს. აი, რა გვიპასუხეს:

**3. ფირცხალავა, აბაშის რაი-  
ონის აგროსამრენველო გაერთი-  
ანების საბჭოს თავმჯდომარე:**

— წლევანდელი გაზაფხული ნამ-  
დვილ სიმტკიცეს და შეუპოვრობას  
მოითხოვს რაიონის მშრომელები-  
საგან. ჩვენ ახლა არა მარტო სტიქი-  
ით მიყენებული ჭრილობები უნდა  
მოვიშულოთ, არამედ, როგორც  
არასდროს, ისე დავირაზმოთ და  
მხარი-მხარს მივცეთ, რომ საგა-  
ზაფხულო სამუშაოები დროულად  
დავამთავროთ, არც ერთი უბანი არ  
ჩამოგვირჩეს. მინდვრის ყველა სა-  
მუშაო თავის დროზე და მაღალხა-  
რის ხოვნად შევასრულოთ.

რაიონში საგაზაფხულო ხვნა  
შესრულდა 6033 ჰექტარზე, მინე-  
რალური სასუქებით განოყიერე-  
ბულია 4985 ჰექტარი. სასუქების

შეტანა და ხვნა რაიონში პირვე-  
ლებმა დამთავრებას ნორიოს სტა-  
ლინის სახელობის, ენერის ორ-  
ჯონიკიძის, პირველი მაისის, ლე-  
ნინის, ძველი აბაშის მეცხოველე-  
ობის სანარმოო გაერთიანების და  
აბაშის ეთერზეთების საზოგადო-  
ებრივმა მეურნეობებმა.

ჩვენ ვიცით, მარცვლეულის ნა-  
რმოების გადიდების რა დიდი რე-  
ზერვია სიმინდი. გეგმით სათეს-  
ლედ უნდა მოგვემზადებინა 2.000  
ჰექტარი სიმინდის მარცვალი,  
დავალება რაიონში დროულად  
შესრულდა — გაინმინდა და მომ-  
ზადდა დასათესად გამოყოფილი  
თესლი, რომელიც მთლიანად პი-  
რველი კლასისაა.

უხვი მოსავლის მისაღებად რაი-  
ონში ფართოდ ინერგება ინტენსი-  
ური ტექნოლოგია, წელს ასეთი წე-  
სით დაითესება და დამუშავდება  
3.000 ჰექტარი ფართობი, ამისათ-  
ვის მომარაგებულია სიმინდის  
მარტივი ჰიბრიდის „ენგურის“  
თესლი. სულ რაიონში 10000 ჰექ-  
ტარი დაითესება, 4000 ჰექტარამ-  
დე ნიადაგი გადაიხნა შემოდგო-  
მით. უკვე დავთესეთ ერთნლიანი  
ბალახები 245 ჰექტარზე, ერთ კვი-  
რაში კი მთლიანად დავამთავრებთ  
ერთნლიანი ბალახების თესვას.

შემართული შრომითა და სიძნე-  
ლეებთან შეუპოვრობით შევძლ-  
ებთ ყოველი სამუშაოს თავის  
დროზე და მაღალხარისხოვნად  
შესრულებას.

**3. აზხაზავა, ლანჩხუთის რა-  
იონის აგროსამრენველო გაერ-  
თიანების საბჭოს თავმჯდომა-  
რის პირველი მოადგილე:**

— სტიქიამ არც ლანჩხუთელე-  
ბი დაინდო. გვარიანი ზარალი მი-  
აყენა ჩვენს სათეს ფართობებს —  
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა  
მეურნეობების სავარგულებს.  
ნებალმა დატბორა სავარგულების  
დიდი ნანილი. ამის მიზეზია, რომ

7184 ჰექტარიდან დღეისათვის  
მოხნულია 4100 ჰექტარი. ეს სა-  
მუშაო ძირითადად დამთავრებუ-  
ლი აქვს აკეთის კოლმეურნეობას  
— 254 ჰექტარიდან მოხნულია  
230, ლრმაღელის — 200-დან —  
130, ნიგვზიანის კოლმეურნეო-  
ბაში 710 ჰექტარიდან მოხნულია  
500 ჰექტარი.

ამინდები თანდათან უმჯობეს-  
დება, ასე რომ, იმედი გვაქვს, რამ-  
დენიმე დღეში ტექნიკა ყველა  
ფართობში მოახერხებს ხვნას და  
ის ჩამორჩენა და ხარვეზები, რომ-  
ლებიც გააჩნია მუშაობაში ლან-  
ჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეო-  
ბას (712 ჰექტარიდან მოხნული  
აქვს 330), ნიგოითის (939-500), ჩი-  
ბათის (605-249), შუხუთის (285-  
80) კოლმეურნეობებს, მაღე გა-  
მოსწორდება. დავიწყეთ ერთნ-  
ლიანი ბალახების თესვაც.

რაიონში გამოყოფილია 150 ტო-  
ნა სათესლე სიმინდი 110 ტონის  
ნაცვლად, საიდანაც ყველა პირ-  
ველი კლასისაა, 85 ტონა სოია 80  
ტონის ნაცვლად, შემოტანილია  
30 ტონა სიმინდის მარტივი ჰიბ-  
რიდის „ენგურის“ სათესლე ასა-  
ლა. ინტენსიური ტექნოლოგიით  
წელს რაიონში დაითესება 1000  
ჰექტარი სიმინდი.

რაიონში ყველაფერი კეთდება  
იმისათვის, რომ ყოველდღიურად  
რაც შეიძლება მეტი მშრომელი მო-  
ნანილეობდეს მინდვრის სამუშაო-  
ებში, ყველა საგაზაფხულო სამუ-  
შაო აგრონესების ზუსტი დაცვით  
და დროულად შესრულდეს.

რაიონში საგაზაფხულო ხვნა-  
თესვასთან ერთად მიმდინარეობს  
ჩაის პლანტაციების შპალერული  
და მძიმე სხვლა, უკვე შპალერუ-  
ლად გასხლულია 2000 ჰექტარი.  
დარჩენილია გასასხლავი მხო-  
ლოდ 143 ჰექტარი. მძიმედ გაის-  
ხლა 60 ჰექტარი.

დამთავრდა უხეში ჩაის დამზა-  
დება. საგაზაფხულო დავალება  
ითვალისწინებდა 450 ტონას, რა-  
იონში კი დამზადდა 1180 ტონა,  
ანუ წლიური გეგმის 94 პროცენტი.

80

ანგარიშს აპარებს პირველი კვარტალი

# ა ე ს ხ ო ვ ა ლ ე რ ბ ი ს პ რ ი დ უ ა ტ ე პ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ა

საკართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგეგმო დოკუმენტი

କୋର୍ଟୁଟ୍ସ୍ୱର୍ଗ ଓ ଉତ୍ତରିନ୍ଦ୍ରିୟଙ୍କ

50

కృష్ణాజీ

1

სულ	ხედის მიხედვით	მიზანი	დროის	შემოწმებული		შემოწმებული		შემოწმებული		მიზანი	დროის	სულ
				კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის			
ხედის მიხედვით	მიზანი	დროის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	კავშირის	დროის	სულ
108	108	+ 1.001	108	107	+ 8.781	107	101	+ 8.079				
აფხაზების ასამ	102	+ 104	107	110	+ 319	87	80	+ 4.641				
აქციას ასამ	116	+ 161	104	108	+ 162	108	108	+ 524				
სამხროთ იუსტიციას ამ	93	+ 17	99,9	104	+ 86	114	114	+ 340				
აძარები	102	+ 119	117	114	+ 190	—	—					
აღიყვანი	80	64	148	114	85	—	—					
ამირალური	148	84	— 33	100	49	120	83	12				
ასინია	100,9	149	+ 75	111	49	—	16	85				
ახალგაზაქ	115	124	+ 222	107	112	+ 329	129	124	+ 241			
ახალგორი	100,6	104	+ 19	100,1	105	+ 46	108	108	+ 42			
აზერები	105	103	+ 17	100	102	+ 25	120	114	+ 43			
ბოკანიკები	89	142	+ 291	101	106	+ 201	—	—				
ბოკანისი	155	106	+ 41	100	102	+ 21	103	102	+ 335			
ბორიგომი	112	103	+ 11	111	114	+ 75	—	—				
ვარი	111	104	+ 116	100,5	101	+ 6	126	282	+ 407			
გარდაბანი	106	101	+ 55	100,3	107	+ 246	105	100,1	+ 37			
გაგეპერი	101	103	+ 13	100,8	101	+ 6	102	102	+ 15			
გრივი	82	83	— 142	103	107	+ 98	110	109	+ 1.066			
გურჯაანი	106	113	+ 63	101	105	+ 53	190	102	+ 19			
დაბაისი	104	87	— 92	100	127	+ 312	—	—				
ლეიტო	71	74	— 172	101	102	+ 19	102	48	...			
ზემოული	105	102	+ 7	129	116	+ 70	100,9	101	+ 17			
ზემოული	101	102	+ 23	100,2	102	+ 21	5,4-306	84	...			
ყაზეგი	100	98	— 5	—	—	—	—	—				
ჭირი	120	104	+ 19	99	100,2	+ 2	50	63	+ 507			
ქიბი	73	152	+ 316	97	101	+ 8	91	68	+ 477			
კავკავი	103	110	+ 39	100	102	+ 14	116	85	+ 206			
ლავოდები	105	101	+ 5	106	109	+ 91	—	6	+ 308			
ლონგისო	229	104	+ 19	104	106	+ 33	109	110	+ 85			
ლონტები	41	56	— 52	37	38	— 187	—	—				
მახარაძე	112	87	— 78	113	128	+ 188	103	101	+ 6			
მარნეული	99,7	102	+ 13	96	100,1	+ 1	—	—				
მათევესი	106	105	+ 12	104	107	+ 31	100,8	103	+ 27			
მესტია	37	38	— 99	17	17	— 291	—	—				
მტკერია	112	103	+ 7	111	115	+ 93	149	135	+ 142			
ონი	102	72	— 68	85	87	— 43	—	—				
ორგონიტი	114	102	+ 5	119	120	+ 62	—	—				
საგარეონ	119	100,2	+ 4	105	112	+ 79	130	132	+ 3.917			
სამარინებლი	114	100,4	+ 3	104	105	+ 43	102	100,7	+ 19			
სამხერი	107	101	+ 5	105	107	+ 46	114	113	+ 465			
სილნალი	104	127	+ 226	101	116	+ 262	101	107	+ 180			
თელავი	100,2	104	+ 17	106	109	+ 74	126	120	+ 209			
თერჯოლა	110	115	+ 51	116	118	+ 86	104	106	+ 80			
თერი წყარო	89	85	— 255	113	119	+ 260	295	164	+ 462			
თანეგოთ	89	106	+ 19	117	118	+ 82	95	96	+ 12			
თაშერი	110	101	+ 6	98	100,6	+ 6	109	97	+ 158			
ხიბი	109	105	+ 33	94	103	+ 20	—	—				
წ. ლ. ი.	92	91	— 62	93	102	+ 29	—	—				
წაგრი	101	95	— 10	100,3	102	+ 6	89	77	+ 70			
წალენჯიხა	107	104	+ 12	107	109	+ 62	—	—				
წილილიწყარო	105	124	+ 216	100,2	104	+ 143	104	104	+ 187			
წულებები	104	104	+ 13	104	103	+ 13	—	—				
ცხადისა	104	103	+ 25	104	105	+ 664	221	167	+ 1.325			
ჩხორიწყუ	101	101	+ 2	100,9	102	+ 8	102	100,2	+ 1			
ჭ. წყალტუბოს ზ.	128	110	+ 52	108	110	+ 85	105	111	+ 102			
ჭ. წილავის ზ.	93	99	— 3	100	102	+ 6	—	—				
ჭ. ტყიბულის ზ.	104	100,3	+ 1	103	104	+ 18	105	100,1	+ 1			

## სორაფალ, ხარისხებიანად!

არამდგრადმა ამინდებმა შეა-  
ფერხა საგაზაფქულო სამუშაოე-  
ბი, კერძოდ, შარშანდელთან შე-  
დარებით ჩამორჩა თესვა. თუ  
შარშან 30 მარტისთვის 70481 ჰექ-  
ტარი იყო დათესილი, წელს ამავე  
თარიღისათვის მხოლოდ 54180  
ჰექტარია დათესილი. მოწინავე  
საზოგადოებრივი მეურნეობები  
ყველაფერს აკეთებენ იმისათვის,  
რომ მაქსიმალურად გამოიყენონ  
ხელსაყრელი ამინდები.

# თესვის ტემპი ძლიერდება

გარდაპნის რაიონის კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა. საგაზაფხულო კულტურები მეურნეობაში 441 ჰექტარზე აქვთ დასათესი. უკვე დათესილია 250 ჰექტარი, აქედან 150 ჰექტარი შევრია უკვე დაითესა, საიდანაც 135 ჰექტარს საკვებად გამოიყენებენ, დანარჩენს კი მარცვლად. 150 ჰექტარი დაეთმობა სიმინდს, აქედან 20 ჰექტარზე ინდუსტრიული ტექნოლოგია დაინერგება და საშუალოდ ჰექტარზე 50-55 ცენტნერს მიიღებენ. გარდა ამისა 20 ჰექტარზე დაითესება საკვები ჭარხალი, ხოლო 71 ჰექტარზე სუთანური ბალახი და მზისაუმზირა.

თესვაზე საუკეთესოდ შრომობენ მონინავე მექანიზატორები პ. გულიევი, ვანო წილაური და ორუჯლებმა 50 ჰექტარზე უნდა დარგონ კარტოფილი. უკვე დარგულია 20 ჰექტარი. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ იმ ბრიგადის მეკარტოფილები, რომლებსაც გ. კარკაძე და თ. გორგოძე ხელმძღვანელობენ. ვარხნელ მეკარტოფილეთა მიზანია საშუალოდ ჰექტარზე 120-125 ცენტნერი კარტოფილი მოიწიონ. ახლა მეურნეობის მუშები ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ კარტოფილი აგროვადებმი და საუკეთესოდ მომზადებულ ნიადაგში დარგონ.

## დ. მასხამა.



სასოფლო სამეურნეო სამუშაოების შესრულების მაღალი ხარისხით  
გამოირჩევა ამ დღეებში ქარელის რაიონის ხელისურეთის მეცხოველე-  
ობის კომპლექსის მექანიზატორის, საქართველოს ალკუ **XXXIII** ყრი-  
ლობის დელეგატ ჯამბულ ახალკაცის შრომა. საკავშირო ალკუ **XX** ყრი-  
ლობის დელეგატი მალე გაემგზავრება მოსკოვში ჩვენი ქვეყნის ახალ-  
გაზრდობის რჩეულთა დათ აღორძინება.

**სურათზე:** (მარცხნიდან) კომპუაშირის ქარელის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე დავით თურმანიძე, საკავშირო ალკე XX ყრილობის დელეგატი ჯამბულ ახალკაცი და კომპლექსის დირექტორი ფილიმონ ედილაშვილი სახხავ ნაკვეთში.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

ბეჭნისელთა  
ბაზებში  
შრომის  
ფერხულია

მისურადავად იისაა, რომ  
მიმღინარე ცელი სტიპიდის  
სიმაკრიტ სასიათლება, გა-  
ზაფხულის პირველი თვეც  
შეინარჩუნი იყო. ჩემისის სა-  
ხელები მაურნეობის მორომა-  
ლებია აგრძოლებითი გათ-  
ვალისცინებული სამუშაოე-  
ბის შესრულება მარცხ შემ-  
შიდროებულ ვაჭები მოასც-  
რეს.

გასული წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ბებნისელებმა: დაგეგმილი 2822 ტონის ნაცვლად მოიწიეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 3326 ტონა ხილი. წელს ბებნისელები დაამზადებენ 3500 ტონა ხილს და აწარმოებენ 400 000 ძირ ნერგს. უხვ მოსავალს დროულად ჩაეყარა საფუძველი, 342 ჰექტარი ხეხილის ბალი განოყიერებულია მინერალური და ორგანული სასუქებით. მოხნულია ხარისხიანად, რაც ტრაქტორის-ტების: ლაზარე ბალახაძის, შოთა მიქელაძის, ილია თიბილაშვილის, ივანე ნაზარაჩოვის და სხვების დამსახურება.

№84 (10949), 10 ապրիլի,  
1987 նվազ.

# მეზოსტრუქტურული ცარისატიკა

გარდაპის რაიონის მარ-  
ტყოცის მეზოსტეოპის საპ-  
ტოთა მეურნეობის მპროე-  
ლები გაჯითად შრომობენ  
იმისათვის, რომ მრავალფე-  
როვანი პოსტერულით მოაგა-  
რაგონ თშილისის მშროებე-  
ბი. ამ ამოცანის შესრულებას  
ისინი ჯერ კიდევ პარშან შე-  
მოგდომაზე მეუღლენენ.

ახლა მეურნეობის მშრომელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საშუალო საადრეო

და საგვიანო კომბოსტოს მოვლა-პატრონობას. ჯერ იყო და საუკეთესო ხარისხის ჩითილები გამოიყვანეს, ახლა კი ჩითილები ლია გრუნტში გადააქვთ. მთავარი და საყურადღებო ამ საქმეში კი ის არის, რომ ლია გრუნტში ჩითილები მანქანით ორგვება, რომელსაც ტრაქტორისტი და ოთხი მუშა ემ-სახურება.

მეურნეობაში კომპოსტო 75 ჰექტარზე უნდა დაირგას, დარგვა ამ დღეებში დამთავრდება. მა-

ରତାଳୀବା, ମେଉରନ୍ଧେବାଶି ନୋଡାଗୁଲେ  
ମନମିଥାଦେବା, ଡାରଗ୍ବା ଡା କ୍ଷୁଲ୍ଲତିକାଵା-  
ତ୍ରିବା ତ୍ରୈକଣ୍ଠିକିଲେ ସାମ୍ଭୁଲ୍ଲେବିତ ବେର-  
ତ୍ରୀଏଲ୍ଲେବା, ମାଗରାମ କ୍ରମମ୍ବାନେତିଲେ  
ନାରଗାଵେବିଲେ 80 କେନ୍ଦ୍ରପ୍ରେନ୍ତିଲେ ମୋହ-  
ଲା-ମୋହିବାନା ଅଜାତ୍ମୁରି ନିଜାରିତ  
ଆରିଲେ ଗାତ୍ରାଲ୍ଲିବେନ୍ଦ୍ରୀଶ୍ଵରି. ରାତ୍ରା  
ମାନ୍ଦ୍ରାନା କେଲାର ଶ୍ରେଵା ନାରଗାଵେବିଶି,  
ମେରା ପ୍ରସ୍ତରା ସାମ୍ଭାନ ଅଜାତ୍ମୁରି  
ନିଜାରିଲେ ଶ୍ରେଵର୍ଗେବମ ଉନ୍ଦା ଶ୍ରେବାରନ୍ଧୁ-  
ଲାନ୍ଦି, ବେଶେ, ରାତ୍ରମାତିବାଶୁକିମଗ୍ରେବ-  
ଲାନ୍ଦା ମେକାନିଥାତ୍ରନ୍ଧେବିତାନ ଏରତାଦ  
ଦାଲ୍ଲୀଥେ ଫିଲ୍ଡା.



# თაყაიგვილები და კარია

ქართველი საზოგადოება დიდი პატივით აღნიშნავს უდიდესი ქართველი მცნიერისა და მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953 წ.), ლვანლს. მან საფრანგეთში ემიგრაციაში გაატარა 1921-დან 1945 წლამდე პერიოდი. იქ მეთვალყურეობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულობას. მისი ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგი იყო ამ საგანძუროს დაცვა მეტად ძნელ პირობებში, მაგრამ სწორედ ამ საგანძურთან ერთად დაბრუნდა ის მშობლიურ საქართველოში. დღემდე სამაგალითოდ რჩება მისი უანგარო სამსახური სამშობლოსა და ქართველი ერისადმი.

ცნობილია, რომ 1921 წლის 11 მარტს ბათუმიდან წალებული საქართველოს განძეულობა გემით საფრანგეთს ჩაიტანეს, სულ 249 ყუთი. მათგან 175 ყუთი და 12 ტომარა ქუთაისის საზინდან იყო, 61 — ბორჯომიდან, 1 — ხობი-სენა-კიდან და ა. შ.

დიდთოვლობის გამო რაჭალებულების ძვირფასეულობის ქუთაისში დროზე ჩამოტანა ვერ მოხერხდა. დაგვიანებული ტვირთი მონასტრის ეზოში ჩაფლეს, მაგრამ „ჩეკამ“ „დაყნოსა“. მღვდლები წვერით ათრიეს, სამარხს მიაგნეს და სიმდიდრე გაიტაცეს. კვლევის საგანია, რა ბედი ენია აფხაზეთისა და გურიის სამთავროებისა და საერთოდ საქართველოს სხვა კუთხის ძვირფასეულობას.

იმავე წლის 26 მაისს მარსელის ბანკში შესანახად ჩააბარეს სამუზეუმო განძეულობა 39 ყუთი, სხვა ყუთები ზ. ავალიშვილმა მიაბარა პარიზის „გარდ-მებლ“-ში.

განძეულობის პატრონობა ემიგრირებულმა მთავრობამ ე. თაყაიშვილს დააკისრა.

ჩვენს ყოფაში, სამწუხაროდ, არის ისეთი წუთები, რომელიც ადამიანს მიწამდე ხრის, სულიერად ასუსტებს და აწვრილმანებს, მაგრამ ე. თაყაიშვილი, ნებისმიერი პირობების მიუხედავად, გაუტეხელი დარჩა. დიდი ჯეფა დაადგა მაშინ, როცა ნიუ იორკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ცდილობდა, მოლაპარაკებოდა ემიგრირებულ მთავრობას მინანქრიანი ხატებისა და მედალიონე-

ბის შესყიდვაზე. თითქმის დაიყოლია კიდეც, მაგრამ ექვთიმეს პრინციპულობამ გაჭრა.

ასევე დიდი ბრძოლა გადახდა ექვთიმეს საფრანგეთში მცხოვრებ გრაფ ობლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის — ნიკო დადიანის ასულ სალომესთან. ლვთის რისხვასავით თავზე დამტყდარი ეს გამოცდაც მან ბრწყინვალედ ჩააბარა — შვიდწლიანი სასამართლო დავამოიგო.

თუმცა სასამართლომ გაამტყუნა დადიანის ასული, მაგრამ საქართველოს ემიგრირებული მთავრობა არარსებულად გამოაცხადა და ეროვნული განძი უპატრონოდ დატოვა. ამის შემდეგ, მისი ვარაუდით, „მგელ-ტურები“ კიდევ უფრო გააფთრდებოდნენ, შეექმნებოდა საფრთხე ეროვნულ სიმდიდრეს. ამიტომ ე. თაყაიშვილმა დაინიჭო აქტიური მოქმედება განძეულის საქართველოში დასაბრუნებლად.

სამუზეუმო ექსპონატების სიათბილისში პირველად 1935 წელს

გამოვეყნდა, ანუ გატანიდან 14 წლის შემდეგ, ფაშისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციამ ხელი შეუშალა დაბრუნების პირველს. უფრო მეტიც, საფრთხე შეუქმნა მათ შენარჩუნებას. ექვთიმეს დიდი ოფლისლვრა მოუნია მათ გადასარჩენად და საფრანგეთის მეთაურის — დეგოლისა და სტალინის ნებართვის მიღების შემდეგ 1945 წელს განძეულობა, მის საიმედო გუშა-

გებთან ერთად, საქართველოში დაბრუნდა.

ამ ოფიციალური ფაქტების მიღმა საინტერესო მოვლენები ვითარდებოდა.

ე. თაყაიშვილს 3 და-ძმა ჰყავდა. ახლო ნათესავებმა კარგად იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ კომუნისტური რეჟიმი სასტიკად კრძალავდა რაიმე კავშირის დამყარებას უცხოეთში მცხოვრებლებთან. საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ხელისუფალთ კარგად უწყოდნენ ე. თაყაიშვილის ერისადმი სამაგალითო თავდადებისა და მაღლი ზნეობის თაობაზე, ამიტომ 1933 წელს, უშუალოდ ბერიას ინიციატივით, ექვთიმეს ღვიძლი ძმის, ერმილეს, ქალიშვილი — თამარი მოსკოვში წაიყვანეს და კრემლში საერთაშორისო კავშირის ოპერატორად დანიშნეს. ეს იყო საკმაოდ საპასუხისმგებლო სამუშაო, სადაც უცხო ენების ცოდნასთან ერთად საჭირო იყო დიდი ერუდიცია და არისტოკრატიული ჩვევები, რაც თაყაიშვილთა გვარს მუდამ ამშვენებდა.

ოფიციალური მასალებით დაფიქსირებული არ არის ბიძისა და ძმისშვილის ახლო ურთიერთობა, მაგრამ ღირსეული ბიძისადმი თამარის თანადგომა და პატივისცემა ცხადია. იგი სტალინს ვერას გაუბედავდა, მაგრამ საგარეო და უშიშროების სამინისტროებში, საფრანგეთის საელჩოში მომუშავეებთან მის ურთიერთობას ფაქტები ადასტურებენ.

1949 წელს, როცა სტალინი



წყალტუბოში ისვენებდა, თამარ თაყაიშვილს შვერულება მისცეს და იგი სიამოვნებით გამოეშურა საქართველოსკენ და თავის დასთან, დარეჯანთან, სენაკში ჩავიდა. დარეჯანი ექიმი იყო, მეუღლე ჯონდი კაკუბერი ასევე განთქმული მკურნალი გახლდათ. თამარის სენაკში ჩამოსვლის მოწმე ბატონი ამირან შენგელია იგონებს: „თამარი საშუალო სიმაღლის, პირმშვენიერი ქალბატონი იყო. დინჯად მოუბარი და საოცრად თავშეკავებული, სტალინის მოსკოვში დაბრუნებამდე სამი დღით ადრე სენაკში ლავრენტი ბერია ჩამოვიდა რუს გენერალთან და ქართველ პოლკოვნიკებთან ერთად, მათ რაიონის ლირაშესანიშნაობანი დაათვალიერეს, შემდეგ ჯ. კაკუბერთან პური ჭამეს და საღამოს კი ბერიამ საკუთარი მანქანით თამარი თან წაიყვანა“.

თამარ თაყაიშვილსა და ლავრენტი ბერიას ამგვარი სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ სახელოვან მინისტრთან თამარს აუცილებლად ექნებოდა საუბარი და სთხოვა, განძეულობის დაბრუნების დაჩქარებასთან ერთად მხცოვანი ბიძისთვის ჩამოსვლის ნებართვა დაერთო. ბერიამ, ცხადია, სტალინი დაარცხუნა, რადგან ცხოგილია, ექვთიმე საქართველოში დაპრუნებისა და ხელშეკრულების გარანტია მიიღო.

თამარის ძმა, სევერიანი, წყალტუბოს მთავარი ექიმი იყო, სადაც



სტალინი ისვენებდა, ესეც შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს.

1945 წელს, როცა ბატონი ექვთიმე საქართველოში ჩამობრძანდა, იგი განსაკუთრებული დაცვისა და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ცხადია, მას ბერიას ხალხი იცავდა. დიდი ხნის ემიგრანტთან მოსახლეობის ურთიერთობა შეზღუდული იყო, პირველ ხანებში — თითქმის შეუძლებელი. ამას კომუნისტური იდეოლოგია მოითხოვდა და ბერია სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. დარეჯან თაყაიშვილმა და ახლო ნათესავებმა, როცა მხცოვანი და სახელოვანი წინაპარი მოინახულეს, ბატონ ექვთიმეს დარეჯანისთვის უთქვაშს: შენს ქმარ-შვილთან შემახვედრე, სიკვდილის წინ მსურს, ყველა გნახოთო, ძალიან მენატ-

რებითო, მაგრამ სპეციალური ნებართვის გარეშე ამ შეხვედრის მოწყობა ვერ მოხერხდა. მაშინ დარეჯანმა მოსკოვში თამარს დაურეკა და სთხოვა ბიძასთან ოჯახში შეხვედრის ხელშეწყობა. მოკლე ხანში კაკუბერების ოჯახის წევრებს ნება დართეს, სწვეოდნენ სახელოვან მამულიშვილს. სიაში შეუტანით დარეჯანი, მისი მეუღლე და ოთხი შვილი, მაგრამ ერთი ვაჟი მაშინ ლენინგრადში სწავლობდა და მისი ჩამოყვანა ვერ მოხერხდა, მის ნაცვლად თან იახლეს ახლობელი ამირან შენგელია.

ბატონი ამირანი იგონებს: „უკვე ლრმა მოხუცმა ექვთიმემ საოცრად გაიხარა მონაბრებული ნათესავების ხილვით, თვალნამიანმა წაიჩურჩულა: გმადლობთ, სული და გული როგორ გამითბეთ; როცა ძმისშვილის ქმარი იხილა, თქვა: ნამდვილი კოლხიაო, მოზარდებს თავზე ხელის გადასმით მოგვეფერა და დაგვლოცა“. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ თამარი ბერიას გარეშე ვერას გახდებოდა.

ასევე ცნობილია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნოე უორდანიას, საფლავის ქვაზე ანერია ეპიტაფიად შესანიშნავი სიტყვები:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავლით, მსურს, გავიხარო,

თავარ თაყაიშვილსა და ლავრეტი ბერიას  
 აგვარი სიახლოვა გვაფიქრებითებს,  
 რომ სახელოვან მინისტრთან თავარს  
 აუზილებლად ეპებორდა საუბარი და სოლვა,  
 გაცეულობის დაბარების დაჩქარებასთან  
 ერთად მხცოვანი ბერიასთან გარანტია მიიღო.  
 თამარის ძმა, სევერიანი, წყალტუბოს მთავარი ექიმი იყო, სადაც



თუ საქართველო არ იქნება  
თავისუფალი,  
დე, მტვრად ქცეული დამენახოს  
მთელი სამყარო!“

ეს შესანიშნავი ბწყარბი ეკუთ-  
ვნის სიმონ (სიმონიკო) ბერეჟიანს.  
გარკვეული ხანი ფართო საზოგა-  
დოებისთვის ცნობილი არ იყო მი-  
სი წარმომავლობა, შემდეგ გაირ-  
კვა, რომ იგი ერმილე თაყაიშვილის  
ვაჟია (გ. შარაძე „უცხოეთის ცის  
ქვეშ“ ტ. მე-3, გვ. 197), ახუ ექვთი-  
მეს მისისული. ერმილეს ხუთიშვი-  
ლი ჰყავდა: სიმონი, სევერიანი, კო-  
კულა და ორი ქალი. ასეა წყარო-  
ებში ცნობილი. ეს ორი ქალი ჩვენ-  
თვის უკვე ცნობილი თამარი და  
დარეჯან თაყაიშვილებია, ხოლო  
მათი ძმა, სევერიანი, როგორც აღ-  
ვნიშნეთ, წყალტუბოში მთავარ  
ექიმად მუშაობდა.

მშობლებმა სიმონი დეიდას მი-  
აშვილეს, რომელიც ცოლად ჰყავდა  
და ვინმე სიმონიკო ბერეჟიანს.  
აღმზრდელმა საკუთარი გვარ-სა-  
ხელი მიაკუთვნა ბიჭს, თავად სი-  
მონას კარგა ხანი არ ცოდნია მი-  
სი წარმომავლობის შესახებ, რო-  
ცა თბილისში სასწავლებლად ჩა-  
მოყანეს, გაუგია, ვისი ძეც იყო,  
რასაც საკმაოდ გაუღიზიანებია  
სიმონი და შემდგომ ამ თემაზე სა-  
უბარს თავს არიდებდა. თურმე  
როცა მასთან ღვიძლი და — და-  
რეჯანი მივიდა და ესაუბრა, მას  
უთქამს: „თუ მშობლებმა ოთხი  
შვილის აღზრდა შეძლეს, მესუ-  
თეს აღზრდა არ უნდა გასჭირვე-  
ბოდათო“.

როცა სიმონიკა 1923 წელს პა-



რიზში ჩავიდა, ბიძა, ექვთიმე, უკ-  
ვე აქ იყო, აქტიურ სამეცნიერო და  
საზოგადოებრივ საქმიანობას  
ეწეოდა. იცოდა რა სიმონიკამ სა-  
კუთარი წარმომავლობის შესა-  
ხებ, სავარაუდოა, რომ ღვიძლ ბი-  
ძასთან კეთილი დამოკიდებულე-  
ბა ექნებოდა და შესაძლოა, მისი  
საკმაო გავლენაც განიცადა,  
რადგან სიმონიკას შემოქმედება  
„ერის პოლიტიკური უბედურების  
მძაფრი ანარეკლია“. მას ტრფო-  
ბაზე და ადამიანურ სისუსტეებზე  
ფაქტობრივად არ უწერია. სამ-  
შობლო, მისი ბრწყინვალე წარსუ-  
ლი და ბედუკულმართი ანმყო —  
აი თემები, რომლებსაც მოახმარა  
ახალგაზრდული ენერგია და უშ-  
რეტი ფანტაზია. იგი აქტიური  
წევრი იყო „თეთრი ლეგიონის“  
ორგანიზაციისა, რომლის წევრე-  
ბი ექვთიმე თაყაიშვილთან მე-  
გობრობდნენ.

ბატონი ამირან შენგელია იგო-

ნებს, რომ „დარეჯანი მუდამ ახ-  
სენებდა ძმის სახელს და იმედი  
ჰქონდა, იგი ცოცხალი იყო და,  
როცა ექვთიმესგან გაიგო, მისი  
კვალი მეორე მსოფლიო ომის  
დროს დაიკარგა, ცხარედ ატ-  
ირდა“.

ცხადია, გამოცდილი და საოც-  
რად გონებაგახსნილი ბერია  
კრემლში მეტად საპასუხისმგებ-  
ლო თანამდებობაზე არ დანიშნავ-  
და და არ ენდობოდა ქალს, რო-  
მელსაც ღვიძლი ძმა და ბიძა ემიგ-  
რაციაში ჰყავდა. უნდა ვივარაუ-  
დოთ, რომ საქართველოს განძე-  
ულობაზე და ემიგრაციაში მყოფ  
თაყაიშვილთა შესახებ და არა  
მხოლოდ მათზე, ბერიამ ყველა-  
ფერი იცოდა. მის სხარტ აზროვ-  
ნებას არ გამოეპარებოდა ერის  
საგანძურის უდიდესი მნიშვნე-  
ლობა, ამიტომ წონადი როლი  
ითამაშა მის დაბრუნებაში.

სტალინის სიკვდილისა და ბე-  
რიას დაპატიმრების შემდეგ თა-  
მარ თაყაიშვილი მოსკოვიდან გა-  
მოდევნეს, იგი საქართველოში ჩა-  
მოვიდა, სენაკში დას ესტუმრა და  
სიცოცხლის ბოლომდე მასთან  
დარჩა. იგი დიდი მონდომებით  
რუსულსა და უცხოენსას ასწავლი-  
და მოზარდებს, კრემლში გატა-  
რებული ხანგრძლივი წლების  
განმავლობაში ნანახ-განცდილის  
მოგონებაში კი მეტად ძუნნობდა.

თამარი და დარეჯანი ერთმანე-  
თის გვერდით „ძმათა სასაფლაო-  
ზე“ არიან და კრძალულნი. თამა-  
რის ქვაზე არაფერია წარწერილი,  
გავა ჟამი, ქალბატონის სამარადი-  
სო სასუფეველს მილიონთა მსგავ-  
სად მიწა დაფარავს და შეუმჩნევე-  
ლი გახდება, მაგრამ ყოველ ადამი-  
ანს გააჩნია რაიმე ძვირფასი და  
მნიშვნელოვანი, რაც მის სულს  
ზოგჯერ ცაში გააელვებს.

საქართველო ამაყობდა და ამა-  
ყობს მამული შვილებით. სწორედ  
ბობიქარმა სულმა და ერისადმი  
ჭეშმარიტმა თავდადებამ ატარა  
ექვთიმე თაყაიშვილი ასე ძნელად  
გასავლელ გზაზე.

ქვეყნის სამსახური ადვილი არ  
არის, ზოგჯერ გზა ვიწრო და  
კლდოვანი ცდის ადამიანს.

ბორის დავითაძე

**საქართველოს განეულობაზე და  
ემიგრაციაში მყოფ თაყაიშვილთა  
შესახებ და არა მხობლობ მათზე,  
ბატონი უცელავისა რიცხვისა, რომლის წევრები  
აზროვნებას არ გამოეპარებოდა ერის  
საგანძურის უდიდესი მნიშვნელობა,  
ამიტომ წონადი რობლი ითამაში.  
მის დაბრუნებაში.**



გოგი დოლიძე:

# პირველი რიგში ქართველი ხარ და მარე, ვინც გიცდა, ის იყავი

გოგი დოლიძე — ადამიანი, რომელიც არასოდეს იღლება, არასოდეს ყრის ფარ-ხმალს და საქმე, რომელსაც ხელს ჰქიდებს, ნებისმიერ ფასად ბოლომდე მიჰყავს. პროფესორი, ჩვენი დროის უდიდესი კინომცოდნე, ქართული კინოს მემატიანე, საზოგადო მოღვაწე, ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელი დღეს ყველაზე მეტად იმით ამაყობს, რომ საკუთარ სოფელში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ამაღლებაში, თავის სკოლას უვლის და იქაურ ბავშვებს ცხოვრებას უხალისებს.

80 წელს მიღწეული პროფესორი ბავშვივით აღტკინებული და გა- ხარებულია საკუთარი წამოწყე- ბით და დიდი სიხარულით ელო- დება იმ დღეებს, როდესაც სო- ფელში ბავშვების გასახარად ნივ- თებს შეიძენს.

ვინც გოგი დოლიძეს კარგად იცნობს, იცის, რომ მას ასეთი კე- თილი საქმე ახალქალაქშიც გაუ- კეთებია, ამბობს, რომ როგორ ცუდადაც არ უნდა ვგრძნობდე თავს, ჩიტივით ვხდები, როდესაც ვიცი, რომ ჩემს სოფელში უნდა ჩავიდეო. უკვირს ისიც, რომ მას ასეთ კეთილ საქმეში ყოველთვის უანგაროდ ეხმარებიან. უკვე გა- უკეთებია წიგნის მოვარულთა კლუბი, სადაც უნიკალური გამო- ცემები ჩაუტანია. კლუბში ჩაი, ყა-


ვა და ნამცხვრები ახალგაზრდებს უფასოდ აქვთ.

90-იან წლებში, როდესაც კინო- თი და მისი ბედით არავინ ინტე- რესდებოდა, ბატონმა გოგიმ ტრა- დიციად აქცია და აგერ უკვე წლე- ბია, დღესასწაულად იქცა აკაკი ხორავას ხსოვნის დღე. ამ დღეს მას სენაკიდანაც, აკაკი ხორავას რაიონიდანაც ჩამოჰყავს მსახიო- ბები. მადლიერმა სენაკელებმა კი ბატონი გოგი სენაკის საპატიო მო- ქალაქედ დაასახელეს.

გოგი დოლიძე ყოველწლიურად ატარებს მოსწავლეთა კონფერენ- ციის თემაზე „მამულს გული უბი- რველეს ყოვლისა“, ბავშვებს გუ- ლდასმით აცნობს გამოჩენილი ადამიანების, ქართველი მეფეე- ბის ცხოვრებისა და მოღვაწეობის



დეტალებს და ამას ყველაფერს დიდი სიყვარულითა და ხალისით აკეთებს. 30 წლიწადია, იხსენებს ლადო მესხიშვილს, იუნკრებს, დიდ დღესასწაულად აქცია მა- რაბდობა; რამდენიმე წლიწადია, სილნალში სოლომონ დოდაშვი- ლის გასახსენებლად ჩადის, იხსე- ნებს მიხა ხელაშვილს, ქაქუცა ჩო- ლოყაშვილს, ამაყობს იმით, რომ საქართველოს ასეთი შეილები ჰყავდა. თვლის, რომ მისი პირდა- პირი მოვალეობაა, მომავალ თა- ობებს დიდებული ადამიანების ცხოვრება გააცნოს, მათი სიყვა- რული ასწავლოს. პატრიარქს უთ- ქვამს: „შენ გურული კაცი ხარ და ჩოხის ჩაცმა ხანჯლის ტრიალი არ გეგონოს, ჩოხა ადამიანების გვერდით დგომას ნიშნავს, შენ ეს უნდა გააკეთოო“. „ქართული კი- ნოს პატრიონი და პრეცინვალე მა- მულიშვილი“ — ასე უნოდებს მას ჩვენი დროის უდიდესი მნერალი, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, რამე- თუ გოგი დოლიძეს ადამიანების დახმარება უპირველეს საქმედ აქვს ქცეული.



ვალენინ- ლეგორიან  
ერთად

20

„პირველ რიგში, ქართველი ხარ და მერე, ვინც გინდა, ის იყავი!“ — ეს მისი დევიზია.

2012 წლის 21 ივნისს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია; როდესაც აკაკი წერეთლის მიერ ასი წლის წინ გავლილი გზა ხელმეორედ გაიარა და დაანგრია მითი იმის შესახებ, რომ არავისთვის 1200-მეტრიანი დოკუმენტური ფილმი არსად, არც ერთ ქვეყანაში არ მიუძღვნიათ, როგორც ამას ფრანგი კინომცოდნე ჟორუსადული ამტკიცებდა, რითაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია.

რამდენიმე წელიწადია, უძველესი ფილმების აღდგენით არის დაკავებული, ფილმები მოსკოვიდან არის წამოსალები, რაც პრობლემებს ქმნის. „სულ ვამბობდი ფილმების დედნები შევიძინოთ და მოსკოვიდან წამოვიღოთ, მაგრამ არავინ მისმენდა, ახლა ეს ჩვენთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, „ჭრიჭინას“ ასლის გადაღება 7 ათასი ლარი ჯდება, „გიორგი სააკაძის“ ასლის გადაღება კი — 12 ათასი ლარი. 18 ფილმი აღვადგინება და ახლა ხანდახან, როგორც რეჟისორს, ისე მაცხადებენ ხოლმე, ერთხელ თენგიზ აბულაძეს ვუთხარი, შენი სახელი შვიდ ფილმს აწერია,



მედეა ჩახავას 80 წლის იუპილეზე, 2001 წ.

ჩემი კი თვრამეტს-თქო, ვეხუმ-რებოდი“.

კინომცოდნე გოგი დოლიძე არის უმრავისაინტერესო წიგნის ავტორი. გენერალ მაზნიაშვილის მონოგრაფიის წერა რომ დაუსრულებია, ისტორიკოსებს აღფრთოვენაბა ვერ დაუფარავთ, უნაკლო და შესანიშნავი ნამუშევრის გამო. წერს ლექსებსაც და არც თუ ურიგოს.

გოგი დოლიძე მსოფლიო პრესისთვის, მისი ღვაწლის გარდა, თამადობითაც საინტერესო აღ-

მოჩნდა. „ვაშინგტონ პოსტი“ მასზე, როგორც უდიდეს თამადაზე, ისე წერს, 11-გვერდიან პუბლიკაციაში, პირველი ჭიქიდან სუფრის ბოლომდე დეტალურადაა აღწერილი და გადმოცემული გოგი დოლიძის თამადობის ხელოვნება.

ქართული კონცერტი დიდი მოამაგე და მემატიანე ძალიან ამაყობს მამით — გალაქტიონ დოლიძით: „მამა ძალიან მეამაყება, ის ქუთაისის პროკურორი იყო. ოთხი თვე ეხვეწებოდა ხელმძღვანელობას, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ და იცით რატომ, იმიტომ, რომ 37 წელი იყო. ეს ფაქტი ჩემში დიდ სიამაყეს იწვევს. ვიცი, როგორი ადამიანის შვილი ვარ, მარტო მისი ხსოვნა არ მომცემს იმის უფლებას, რომ, რასაც ვაკეთებ, დიდი სიყვარულით არ ვაკეთო“.

ბატონ გოგის კეთილი საქმეის წამონებაში მეგობრები უწყობენ ხელს.

„მეხალისება საქმის კეთება, — ამბობს იგი, — სულ რაღაცას ვეძებ, რაღაცას ვკითხულობ, ვსწავლობ. არ მინდა, რამე გამომრჩეს. ყოველი წლის ბოლოს, 15 დეკემბერს, ჩოხატაურის რაიონის მთელი წლის ნამოლგანარს ვაჯამებთ და ამ დროს ძალიან ბედნიერი ვარ, მიხარია, რომ კიდევ ერთ წელიწადს ჩემს ცხოვრებაში ამაოდ არ ჩაუვლია“.

ეკა ნასყიდაშვილი



ომარ მხეიძესთან ერთად

# მოყვარისთვის განიკული სისტემა

ვინც ომში გმირულად დაცემულ კაპიტან პავლე შარაშენიძის ფერგამ კრთალ, გაყვითლებულ-გაცრეცილ ფრონტულ ბარათებს იხილავს უთუოდ თხემით ტერფამდე შეძრავს, აალელვებს, ააფორიაქებს. ეს ბარათები უნებურად იმ მრისხანე დღეებში გადაგახდებს, ომის მთელ საშინელებას დაგანახებს, დაგანახებს მტრის რისხვად აღმდგარ საბჭოთა ადამიანს, მგზნებარე პატრიოტს, რომელშიც მომხვდურისადმი ზიზღი, მისი შემუსევრის წადილი, შურისგება იმდენად მძაფრი, იმდენად ულმობელია, რამდენადაც ძნელი, მტკიცნეული და სინანულის მომგვრელია განშორება მოყვასთან, მცირენლოვან შვილებთან, ცოლთან... მას ლრმადა აქვს შეგნებული ფაშიზმის სისაძაგლე, მთელი ის უბედურება, რაც კაცობრიობის ამ უბოროტეს მტერს მოაქვს ადამიანებისათვის და ხელში იარაღით თავგანწირვით ებრძვის მას.

„ძნელია იმის ნახვა და განცდა, რასაც აქაური მცხოვრებლები განიცდიან ფაშისტი ურდოებისა-გან. არავითარ ლონეს და ძალას არ დავიშურებ, არ დავზოგავ, რომ ეს უბედურება თქვენ აგაც-დინოთ“ — ასე წერდა მეუღლესა და მცირენლოვან შვილებს პავლე შარაშენიძე ომის პირველ მრისხა-ნე დღეებში და ეს ლიტონი სიტყ-ვები, ფუჭი დაპირება როდი იყო. ეს იყო მოყვასისადმი, სამშობლო-სადმი, მომავლისადმი მიცემული მხედრული სიტყვა ვაჟკაცისა, რომელსაც თავდავიწყებით უყ-ვარდა სიცოცხლე, ოცნებობდა მშვიდობიან მომავალზე, შინ გა-მარჯვებით დაბრუნებაზე.

„ნარმოუდგენლად მენატრე-ბით. როდის იქნება ეს სანატრე-ლი დღერომ გულმკერდში ჩაგიკ-რათ ჩემო ცინარიკო, ჩემო შოთი-კო...“ — წერდა 1944 წლის თებერ-ვალში პავლე შარაშენიძე ცოლ-შვილს და, ბუნებრივია, მამაცი კა-პიტანი გრძნობდა მოახლოებულ გამარჯვებას, სასოებით ელოდა იმ ნეტარ წუთს, როდესაც შინ გა-მარჯვებული დაბრუნდებოდა, მაგრამ ძალგულოვან ვაჟკაცს, რომელმაც გმირული ბრძოლით განვლო გრძელი, მეტად სახიფა-თო ფრონტული გზები და მთელი სამი წელიწადი მამაცურად ურ-ტყამდა საძულველ მტერს, ომის

მიწურულს ბედმა უმუხტლა, მტერთან ერთ-ერთი შერკინების უამს გმირულად დაეცა.

ეს მოხდა 1944 წლის 21 ივნისს. ბუნებრივია, ნანილის სარდლობამ ეს თავზარდამცემი ამბავი აცნო-ბეს პავლე შარაშენიძის მეუღლეს ზინაიდა მაქსიმელაშვილს. ნანი-ლის სარდლობამ მწუხარე ჭირი-სუფალს გასამხნევებლად, ჭირის შესამსუბუქებლად ისიც აცნობეს, რომ პრესტის ოლეის, ბელსკის რა-იონის, დაბა მელეიჩიცაში გმირუ-

ლად დაცემულის საფლავზე დად-გმულია ძეგლი წარწერით: სამა-რადისო ხსოვნა სამშობლოსათ-ვის დალუპულ სამამულო ომის ორდენის კავალერის, ვეტსამისახუ-რის გვარდიის კაპიტანს პავლე ნიკოლოზის ძე შარაშენიძეს.

ნანილის სარდლობისგან გამოგ-ზავნილ იმ წერილში, რომლითაც ზინაიდა მაქსიმელაშვილს მეუღ-ლის გმირულად დალუპვის ამბავი აცნობეს, არის ასეთი სტრიქონე-ბი: „მძიმედ დაჭრის მომენტიდან სიკედლიმდე პავლე ნიკოლოზის ძე სრულ გრძნობაზე იყო და იგო-ნებდა თავის ოჯახს“. ალბათ, წარ-

სოდეს ნახავდა თავის სანუკვარ, სათაყვანო პატარებს, ცოლს, ვე-ღარ იჯერებდა გულს მათი ფერე-ბით. ვინ იცის, რა მწარე ნაღველი ჩაიყოლა, რა ვეება სევდად დაან-ვა გულს, რომ ობლად დატოვა ორი პატარა...

გამოხდა დრო, გმირულად და-ცემული კაპიტნის პატარა ობლე-ბი გაიზარდნენ, გაიზარდნენ სწო-რედ ისეთები, როგორიც მოსიყვა-რულე, ფრონტზე დალუპულ მა-მას სურდა.

მათ ყოველთვის დიდი სიამაყი-თა და სინანულით შეუძლიათ გა-იხსენონ სახელოვანი, მომავალი თაობების ბედნიერებისთვის და-ლუპული მამა, პაპა, რომელიც ბრესტიდან თბილისში გადმოას-ვენეს და რომლის საფლავსაც ასეთი წარწერა აქვს: „საყვარელ-მა მხარემ ვერ დაგთმო უცხო მო-ყვრისას და ან მარადის ენაცვა-ლე ჩვენს ცივ, მაგრამ მშობლიურ მინას“.

ხედავთ, რა კარგად დაუწერიათ — მან თავისი სიცოცხლე სწორედ სამშობლოს, მოყვასს, მომავალ თაობათა ბედნიერებას ანაცვალა და ეს კი მომავალ თაობებს ყო-ველთვის სიამაყესა და სინანულს მოჰკვრის, დიდი მადლიერების სიამაყესა და სინანულს!

**3. საყვარელი, აპრილი, 1987 წელი**



# შესრულდა — მჩვალებელი, ბაგრატ!

1987 წელს, როცა ცნობილ აფხაზ მწერალს — ბაგრატ შინქუბას 70 წელი შეუსრულდა, მას იუბილე მთელმა საქართველომ მიულოცა. იმ მეგობრობისა და სიყვარულის არდანახვა, რომელიც აფხაზი ხალხის ამ ღირსეულ შვილს თავის ქართველ მეგობრებთან აკავშირებდა, ყოველთვის შეუძლებელი იქნება ორი მოძმე ერის — ქართველებისა და აფხაზების ერთობის მონინაალმდეგეთა ძალისხმევის მიუხედავად. მწერლის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართული კულტურისადმი ნათლად ჩანს მის შემოქმედებაში.

მრავლისმეტყველია აფხაზური ანდაზა: „სამშობლოს დამკარგველი ყველაფერს დაკარგავს!“ — ეს აფხაზური ანდაზა ეპიგრაფად წარუმდვარა ბაგრატ შინქუბამ თავის საყოველთაოდ ცნობილ რომანს „უკანასკნელი უბისი“. იგი ავტორის რწმენაა და გამოხატავს არამხოლოდ დასახელებული ნაწარმოების იდეას, არამედ საზოგადოდ მწერლის მთელი შემოქმედების ლაიტმოტივს.

ბ. შინქუბა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1935 წელს და მის ლირიკაში მთავარი ადგილი იმთავითვე დაიკავა მშობლიურმა სოფელმა ჭლოუმ (ოჩამჩირის რაიონი), მაგრამ პოეტის პატრიოტიზმიარ არ არის „კუთხური“, შეზღუდული, როგორც მწერალინტერნაციონალისტს ფართოდ ესმის სამშობლოს თემა და სიყვარულით წერს შოთა რუსთაველზე, რუსთაველის პროსპექტზე... პოეტი ადიდებს „სიმღერის მეუფეს“: „სადაც ძმობაა უმინივლო, სად მოიდა სიყვარულია, იგი ყოველთვის იქაა, სინათლედ აღმართულია“.

ქართული თემა შემთხვევითი არ არის აფხაზი პოეტისთვის. მან სოხუმის ჰედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში და 1945 წელს აქვე მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხი. თბილისში სწავლის პერიოდში იგი მეგობრობს ქართველ მწერლებთან, ბევრს კითხულობს საქართველოს წარსულზე, ეზიარება ქართულ კლასიკურ მწერლობას, თანამედროვეობას; ორგანულად განიცდის ქართველი ერის ისტორიას, ახლოს ეცნობა ჩვენს ეროვნულ ბუნებას, ხასიათს და თითქმის ყველა მის მნიშვნელოვან ქმნილებებში, პოემებსა თურმანებში („ჩემი თანამემამულენი“, „უკანასკნელი უბისი“ და სხვ.) სიყვარულით ხატავს ქართველ კაცს.

ბაგრატ შინქუბას შემოქმედება (ლირიკა, ეპოსი) თვისებრივად ახალ ნაკადს ნარმოადგენს აფხაზურ მწერლობაში. ფართოა მისი სამწერლო დიაპაზონი, თემატიკურ-უანრული ბუნება. ცნობილი აფხაზი მეცნიერის — შალვა ინალ-იფას სიტყვით, „პაგრატ შინქუბას პოეზია ერთ-ერთი უმინივლოვანესი ეტაპი აფხაზურ ლიტერატურაში“. 40-იანი წლებიდან ლირიკოსი პო-

ეტის შემოქმედებაში თავი იჩინა ეპიკურმა საწყისმა. იგი წერს რომან-ლექსს „ჩემი თანამემამულენი“, რომლის გმირები იბრძვიან მმართველობის ძველი ფორმების, ხელმძღვანელის უმოქმედობის წინააღმდეგ და იმარჯვებენ. ამ თვალსაზრისით ეს რომანი-პოემა დღესაც გვეხმარება ჩვენი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნებში...

50-იანი წლებიდან ბაგრატ შინქუბა ქმნის აფხაზური პოეზიის ლირიკულ შედევრებს, რომლებიც ინტერესს აღძრავენ ფილოსოფიური გაზრდაში.

1905 წლის რევოლუციურ წარსულს მიუძღვნა პოეტმა გმირულ-ეპიკური პოემა „კლდის სიმღერა“ (1965), რომელშიც „პარმონიულად შერწყმულია ისტორიული სინამდვილე, რევოლუციური რომანტიკა, პოეტური ფანტაზია და მკაცრი რეალიზმი: ზოგადკაცობრიული და ეროვნული განსაკუთრებულობა, ეპოსი და ლირიკა, დრამატული და ტრაგიკული, სატირა და იუმორი, იორნიული





სტილი და ღრმა ფილოსოფიური აზროვნება (შ. ინალ-იფა).

საინტერესოა მოთხოვობა „ჩანთა დაბრუნდა“ (1969). ნანარმოების ცენტრში დგას მოხუცი აფხაზი გლეხი ჩანთა, რომელიც სოფელში ცხროვრობდა და დაქვრივების შემდეგ ქალიშვილმა ქალაქში ჩამოიყვანა. საუკეთესო პირობების (კომუნალური ბინა, გათბობა, თბილი წყალი და სხვა კომფორტი) მიუხედავად, იგი თავის სოფელს დაუბრუნდება და ძველი მეზობლები (კოლმეურნეობა) მას სახლს უშენებენ... მოთხოვობა საინტერესოა კრიტიკული პათოსით....

განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ავტორს რომანმა „უკანასკნელი უბისი“ (1974), რომელიც ახლახან მეორედ გამოიცა ქართულ ენაზე (თ. ჩიჯავაძის თარგმანი). იგი ზედიზედ რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა რუსულ ენაზე, ითარგმნა სომხურ, ბულგარულ, უნგრულ და სხვა ენებზე.

„ეს არის მეტად დიდმნიშვნელოვანი და სარიოზული ნიგნი, — განაცხადა მოსკოვში ამ ნიგნის განხილვაზე გ. აპაშიძემ. — იგი მკითხველს გაიძულებს იციქორო, იციქორო ნარსულზე, აცხოყსა და საკუთარი ხალხის პედზე. ზემოქმედების ასეთი ქალა მიღეულია იმით, რომ ნიგნი დაწერილია დიდად გამოცდილი მსთაცის მიერ.“

„უკანასკნელი უბისი“ ეძღვნება კავკასიის ერთ-ერთი, ან ფიზიკურად განადგურებული უბისი ხალხის ტრაგედიას. ისტორიულად ცნობილია, რომ ეს ხალხი ცარიზმის დიდმპყრობელური, თურქეთის-ისლამური რელიგიისა და ადგილობრივ ფეოდალთა გამცემლური პოლიტიკის შედეგად იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო და გადასახლებულიყო თურქეთში, სადაც ტანჯვა-ნამებაში განადგურდა ან გაითქვითა ადგილობრივ ტომებში. ავტორი ამ გმირი ხალხის უკანასკნელი წარმომადგენლის, 100 წლის ზაურყან ზოლაკის სახით გვიხატავს მთელი ერის ტრაგიკულ ბედს. ავტორი რომანის სიუჟეტში ორგა-



ჩაგრატ შინქუბა, კონსალტინგ სიმონოვი და ლევან დუმბაძე

ნულად აქსოვს ფართო სოციალურ-პოლიტიკურ კონფლიქტებს და რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი საუკუნის გარიურავზე რუსეთის მთელი იმპერიისავის, ასევე ორგანულია რომანისათვის უგისი და აფხაზი ხალხების გედის შეინიჭისაირება. აგხორებით ავტორი გაუზირდ გამოხატავს რომანის იდეურ საზრისს: უბისი ხალხი თავის მშობლიურ მინას მოსწყდა და „უცხო მინაზე“ ფიზიკურად განადგურდა ან ასიმილაციამ შთანთეა, აფხაზი ხალხი კი სამშობლოში დარჩება (თუმცა ისტორიულად აფხაზთა ერთმა ნაწილმაც გაიზიარა უბისთა ბედი) და მოძმე ხალხებთან ერთად ახალ ცხოვრებას აშენებს.

1983 წელს მწერალმა ახალი რომანით „გაპობილი ქვა“ გაამდიდრა მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობა. ნანარმოებში მოქმედება გამლილია ოციანი წლების საბჭოთა აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ფონზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბაგრატ შინქუბას მეცნიერულ-ფოლკლორული და ლინგვისტუ-

რი, ასევე მთარგმნელობითი მუშაობა.

განსაკუთრებული სიყვარული პოეტს ბარათაშვილის პოეზიის თარგმანებში ჩაუქსოვია: „დიდმა ქართველმა კომიტატი, — წერს იგი, — მე გამიტაცა ჯერ კიდევ მოაღდე, როცა მე თგილისში ენათმეოდების ინსტიტუტის ასაკირანეურაში ვსწავლობდი... მთელს შემდგომ ცლებში გარათაშვილს „ხელჩაჭიდებული ვყავდი“. თავის მხრივ, აფხაზი პოეტი ქართველ მკითხველს გააცნეს საუკეთესო თანამედროვე ქართველმა პოეტებმა: ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, რევაზ მარგიანმა, არჩილ სულაკაურმა, შოთა ნიშნიანიძემ.

ბაგრატ შინქუბას მთელი შემოქმედება და ცხოვრება მაგალითია მაღალი შეგნების, ჰუმანიზმის, ერთგულებისა და პატრიოტიზმის.

**შართა ამთა — მრავალზამინი, ბაგრატ!**

**დავით თევზაძე,**  
პროფესორი  
გაზ. „სოფლის ცხოვრება“,  
1987 წელი, აპრილი

ზ

# «მე დავისაძე აკადემის თვეში, ვაგლაბის გაუღილ უვავილებიდან»

ტიციან ტაბიძე — „წითელი მიხაკის“ პოეტი, ცისფერყანწელთა პოეტური ორდენის წარმომადგენელი, სიმბოლისტი —  
დაიბადა 1895 წლის 2 აპრილს დასავლეთ საქართველოში,  
სოფელ შუამთაში, ორპირის მახლობლად.

ტიციანის მამა — იუსტინე ტაბიძე (1860-1919წ.წ.) თავისი  
დროისათვის ფრიად წიგნიერი და განათლებულული პიროვნება  
ყოფილა. იგი კარგად იცნობდა ქართული კულტურის ისტორიას.  
იუსტინე ტაბიძეს ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი  
დაუმთავრებია, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში  
გაუგრძელებია სწავლა. ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ  
პირებს დაკავშირებია და ჩაბმულა არალეგალურ საქმიანობაში.  
სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის, მკვლელობასთან  
დაკავშირებით კი გამორიცხეს სემინარიიდან.

სოფელში ბრუნებული 1891 წელს მღვდლად ეკურთხა.

ტიციანის მამა ძალზე ჰუმანიური, ჭკვიანი და  
კეთილი კაცი ყოფილა. თავად მნიგნობარი და ფრიად  
განათლებული იუსტინე ცდილობდა თანასოფლელებში  
სწავლისადმი ინტერესის გაღვივებას.

ტიციანის დედა — ელისაბედ ფხაპაძე (1865-1951წ.წ.)

სოფელ ფაცხანაყანებიდან იყო. ელისაბედის ორ ძმას სასულიერო  
აკადემია ჰქონია დამთავრებული, სამს — სემინარია, ერთი ძმა კი  
სტავროპოლის სასულიერო აკადემიის რექტორი ყოფილა.

ელისაბედი ძალზე შრომისმოყვარე და დაკვირვებული ქალი  
ყოფილა, ქმრისა და შვილების ერთგული.

სოფელში თურმე „ოთარაანთ ქვრივს“ ეძახდნენ.

„მე არ მახსოვს, როგორ ვი-  
სწავლე ცერა-კითხება, ოთხი  
წლისა ვიყავი, როცა ჩვენსა-  
ვე შენობაში მოწყობილ სკო-  
ლაში დავდიოდი და ადვი-  
ლად ვერავეოდი ანგაში. ეს  
ძალიან ახარებდა დედა-  
ჩიას“, — წერდა ტიციანი ავტო-  
ბიოგრაფიაში.

1901 წელს მშობლებმა მომავა-  
ლი პოეტი სასწავლებლად ქუთა-  
ისის სასულიერო სასწავლებელში  
მიაბარეს, სადაც 1901-1905 წლებ-  
ში სწავლობდა თავის ბიძაშვილ-

თან — გალაკტიონთან ერთად.  
ტიციანი ერთი კლასით ჩამორჩე-  
ბოდა გალაკტიონს. 1902-1903  
სასწავლო წელს, როგორც ეს არ-  
ქივში დაცული დოკუმენტებიდან  
დგინდება, გალაკტიონს არადა-  
მაკაცია ყოფილებით შეფასება მი-  
ულია არითმეტიკაში და მისთვის  
საშემოდგომო გამოცდა გამოუ-  
ყოლებით, მაგრამ, ეტყობა, ვერც  
გამოცდაზე გამოამჟღავნა პოეტ-  
მა საგნის სასურველი ცოდნა და  
იგი დაუტოვებით იმავე კლასში.  
ტიციანმა კი, რომელიც თავის ბი-



ძაშვილს მხოლოდ ერთი კლასით  
ჩამორჩებოდა, წარმატებით ჩაა-  
ბარა გამოცდები და მომდევნო  
ჯგუფში გადავიდა. ასე რომ,  
1903-1906 წ.წ. ტიციანი და გალაკ-  
ტიონი თანაკლასელები ხდებიან  
და ერთად სწავლობენ.

1906 წლის 12 იანვარს ტიციანმა  
განცხადებით მიმართა ქუთაისის  
კლასიკური გიმნაზიის დირექტორ  
ჩებიშ და სთხოვა გიმნაზიის პირ-  
ველ კლასში ჩარიცხვა. ტიციანმა  
წარმატებით ჩააბარა მისაღები  
საგნები და 1906 წლის 6 თებერ-

**დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა  
და საქართველოს მედგას უღელი.  
მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,  
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!**



ვალს იგი ჩაირიცხა ქუთაისის ვაჭა გიმნაზიის პირველ კლასში. იმდონინდელი ქუთაისი ქართული კულტურის მძღვანელი კერას ნარმო-ადგენდა. ამ გარემოში გამოიჭედა ტიციანისა და მისი მეგობრების მისწრაფებანი და ინტერესები.

ლექსების წერა ტიციანმა ბავშვობიდანვე, მონაფეობის დროიდან დაინტერესობოდა კულტურული გიმნაზიის მეცნიერებების კლასის მოსწავლე ვიყავი, პირველი ლექსი რომ დავტეჭდეო, — იგონებს პოეტი. ამ დროიდანვე წერდა და ბეჭდავდა პროზაულ მინიატურებს, ჩანახატებს, ესკიზებსა და ნოველებს. 1911 წლიდან მისი ადრეული ლექსები, ნოველები და მინიატურები აქტიურად იქცევდებოდა პერიოდიკაში: „კოლხიდაში“, „სახალხო გაზეთში“, „თემში“, „ერში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“.

„იტყვიან ასე: იყო საწყალი, ორპირის ფშანზე

გაზრდილი ბიჭი.

ლექსები იყო მისი საგზაული, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი“.

1913 წელს ტიციანმა სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, ფილოლოგის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში ტ. ტაბიძე აქტიურ საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1917 წელს, ტიციანი მცირე ხანს თბილისში, გაზიეთ „საქართველოს“ რედაციაში მუშაობდა. გაზიეთის ფურცლებზე მან მრავალი კორესპონდენცია და პუბლიცისტური სტატია გამოაქვეყნა, რომლებშიც თავისებურად



და მნიშვნელოვანი კულტურულ-ლიტერატურული პრობლემების გადაჭრაში. 1920 წლიდან რედაქტორობდა „რუბიკონსა“ და „ბარიკადს“ ...

იმდროინდელი ქუთაისისა და თბილისის ლიტერატურული ცხოვრება გაჯერებული იყო ცისფერყანწელთა ხმებით, მათი ლექსებით, მათი სასიყვარულო ისტორიებით, მათი სიცოცხლის სიყვარულით. პოეტების თავშეყრის ადგილი, კაფე „ქიმერიონი“ თითქმის ყოველ საღამოს მასპინძლობდა მათ პოეტურ თავყრილობებს. ასეთი თავყრილობების ერთოთი სულისჩამდგმელი სწორედ

სამჯერ ვარ დაბადებული,  
მონათლულიც ვარ სამჯერა,  
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,  
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა...

აანალიზებდა მაშინდელ რთულ პოლიტიკურ, ეროვნულ და სოციალურ მოვლენებს. სტუდენტობის წლებშივე ტიციანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო „ცისფერი ყანების“ ლიტერატურული ჯგუფის დაფუძნებასა და ამავე სახელწოდების უურნალის გამოცემაში. ქართული სიმბოლიზმის დამფუძნებელი მწერლები მისი ახლო მეგობრები იყვნენ და პოეტი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში მონაცემების წლებში გაეცნო და დაუმეგობრდა თითქმის ყოველ მათგანს. იგი აქტიურად მონაწილეობ

ტიციან ტაბიძე იყო. „ალბათ, მთელს ძველაზე არ არის კავე, რომელიც იჰივდეს იმდენ მთაგრენებას და შემოქმედებას, რომორც „ქიმერიონი“, — წერდა იგი. სწორედ ეს კავე იყო მოწმე ტიციან ტაბიძის და მისი მშვენიერი კოლომბინას, „ნითელი ქალიშვილის“, მუზისა და ცოლის — ნინა მაყაშვილის სიყვარულის მოწმე.

**ნინა მაყაშვილის მოგონებიან:** „ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ მიხაკების თაიგული მაჩიქა. ყვავილები შინ წავიდე. ერთი მიხაკი კი ჰალსტუხში გავირჭე და ქართულ ჩაიხანაში წავედი, სადაც თავს იყრიდა მთელი ტფილისის ინტელიგენცია. მაგიდას რომ ვუახლოვდებოდი, მარტა ბერიშვილმა (მაჩაბელმა), რომელიც ტიციან ტაბიძის გვერდით იჯდა, მიხაკი გამომტაცა. მინდოდა, მარტასთვის მიხაკი წამერთმია, მაგრამ ქალი გაჯიუტდა, მაშინ ტიციანმა ყვავილი თავისი სალილედან ამოაძრო და მე გამომინდოდა. ჯერ ვიუარე, ის-ის იყო უნდა დამეტუქსა, მაგრამ სიტყვა პირზე შემატოვა: —უარს ნუ მეტყ

## ნიკოლოზ ტიქონოვის:

„დიახ, ლექსეპი იყო მისი საგზაული  
პოეზიაში. ორაირის ნაკირებიდან მოსულ  
უცნაურ ზაბუქს უზარმაზარი პოეტური  
ნიშის მადლი ეცხო. მისი ლირიკული  
ლექსეპი ისათი გულწრფელი და ღრმაა,  
სიცოცხლისა და ადამიანების იმგვარი  
სიყვარულითაა სავსე, რომ მათი ხმა პოეტის  
სამშობლოსგან ძალზე შორსაც კი გაისმა.  
ტიციანი ზემარტიად სახალხო პოეტია.“



ვით. მე თქვენ გიცნობთ. ნინა მა-  
ყაშვილი ბრძანდებითო.

მადლობა გადავუხადე. ყვავილი  
გამოვართვი და შინ დავბრუნდი. კონსტანტინე გამსახურდიაც უკან  
გამომყვა. გზაში გამომიტყდა: დი-  
ლით შენთვის თაიგულს რომ ვყი-  
დულობდი, თაიგულიდან ერთი მი-  
ხავი ციტიანმა ამოილო, გულზე და-  
იბნია და მითხრა: – ამ ერთადერთ  
ყვავილს ვუბოძებ „ნითელ ქალიშ-  
ვილს“, მაგრამ მისთვის ეს თაი-  
გულზე ძვირფასი იქნებაო.

იმსანად „ნითელ ქალიშვილს“  
მეძახდნენ, რადგანაც მუდამ წით-  
ლებში გამოწყობილი დავდიოდი.  
იმ დღიდან მე და ტიციანი ძალიან  
ხშირად ვხდებოდით ერთმანეთს“.

„ტიციან ტაბიძის პოეტური გე-  
ნეალოგიის ორი შტო უსათუოდ  
გრიგოლ ორბელიანსა და ფიროს-  
მანს ეკუთვნოდა. მის ლექსებში  
ხანდახან ორბელიანის ხმა გალი-  
აში მომწყვდეული ლომივით ბუ-  
სუნებდა და ნარსული პოეზიის  
დაჯერებული ტონით ამაგრებდა  
მის მელოდიურ საყრდენებს. ტი-  
ციან ტაბიძე გრიგოლ ორბელია-



ნივით გულგახსნილი პოეტი იყო.  
ბეჭანი მკერვალისა და დიმიტრი  
ონიკაშვილის დარდიმანდული,  
მსუბუქი იუმორით შეფერილი აღ-  
სარებანი აქა-იქ გამოძახილს პო-  
ულობენ მის ლექსებში.

ტიციან ტაბიძე განცდილსა და

ჟილიან ტაბიძე ქალიშვილთან ერთად

ნახულს თითქმის შეულამაზებ-  
ლად და უცებ ჰყვებოდა და ინტი-  
მური განდობის დროსაც დიდ  
აუდიტორიას გულისხმობდა. მი-  
სი პოეტური განდობის დროსაც  
დიდ აუდიტორიას გულისხმობდა.

მისი პოეტური ფრაზაც, გრი-  
გოლ ორბელიანის სტრიქონის  
მსგავსად, უმთავრესად ინტო-  
ნაციაზე იყო დაყრდნობილი.  
მას თითქოს მუდამ სადღაც ეჩ-  
ქარებოდა და მის ლექსებში აჩ-  
ქარებული კაცის გულისცემა  
ისმის“ (თ. ჭილაძე).

ტიციანის კალამს ეკუთვნის წე-  
რილები ლიტერატურისა და ხე-  
ლოვნების მოღვაწეებზე. საყუ-  
რადლებოა მისი წერილი გალაკ-  
ტიონ ტაბიძეზე, რომელშიც მან  
პოეტს „მარტობის კავალერი“  
უწოდა, ერთ-ერთი ყველაზე ზუს-  
ტი ეპითეტი. წერილები ილია ჭა-  
ვაჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე და  
სხვა ქართველ თუ არაქართველ  
მწერლებსა და პოეტებზე — ამ  
ლიტერატურულ წერილებში იკ-  
ვეთება ტიციან ტაბიძე, როგორც  
განათლებული, ზუსტი და ობიექ-  
ტური კრიტიკოსი, ლიტერატორი,  
მკითხველი და ავტორი.

მანვე თარგმნა ა. პუშკინის, ი.  
ბუნინის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ისააკი-  
ანის, ლ. არაგონისა და სხვათა  
თხზულებანი. მისი ლექსები თარ-  
გმნილია რუსულ, ფრანგულ, ინგ-  
ლისურ, იტალიურ და სხვა ენებზე.



ტიციანი  
ერთობლივ და  
ჟალიშვილთან  
ერთად



სამწუხაროდ, საბჭოთა რეპრე-  
სიებს, სხვა მრავალი გამოჩენილი  
შემოქმედის მსგავსად, ვერც ტი-  
ციან ტაბიძე გადაურჩა. დიდი  
ხნის მანძილზე იგეგმებოდა მისი  
თავიდან მოშორება, მზადდებოდა

მისი სანინალმდეგო აბსურდუ-  
ლი ბრალდებები, რაც იმით დამ-  
თავრდა, რომ 1937 წელს დააპა-  
ტიმრეს და დახვრიტეს.

არსებობს სხვა ვერსიაც, რომ-  
ლის მიხედვითაც პოეტი ციმბირის

ტრამალზე ჩამოსვეს და თოვლიან  
ქარბუქში მიატოვეს. პოეტის საფ-  
ლავი, ისევე როგორც მისი გარ-  
დაცვალების შესახებ ზუსტი ინ-  
ფორმაცია, ცნობილი არ არის.

**დეა სვანიძე**

## ლექსი მეტყერი

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.  
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

მე დავიბადე აპრილის თვეში,  
ვაშლების ვაშლილ ყვავილებიდან,  
მანვიმს სითეთრე და წვიმის თექში  
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან.

აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,  
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,  
ერთ პოეტს მაიც გულზე მოხვდება  
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

იტყვიან ასე: იყო საწყალი,  
ორპირის ფშაზე გაზრდილი ბიჭი.  
ლექსები იყო მისი საგზალი,  
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

და აწვალებდა მას სიკვდილამდე  
ქართული მზე და ქართული მიწა,  
ბედნიერებას მას უმალავდენ,  
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.  
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

## მეტყერი მეტყერს

გაელავს, დაჰკრავს მეხი მეხს მწვერვალს,  
მთა ტიტველია, არ აქვს საფარი,  
თვითონ მეხია და თვითონ ელავს,  
როგორც შამილის თეთრი ფაფარი.

ნეტა თუ სადმე ხარ ძე კაცისა,  
ამ უკვდავებას ქედს არ უხრიდე.

თუ გაწყდა ძარღვი სიმამაცისა,  
მე ცოცხალი ვარ ერთი მ?ურიდი.

ვარ დაფრენილი ორბისგან გნოლი  
და არ იკარებს გული სალავათს,  
ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი -  
ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს.

ვარ გათელილი ლეკის ნაბადი,  
ყველა სახსარი მაქვს დალეწილი,  
მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე  
და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი.

რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა  
და კალმად კიდე მინა რხეული,  
თუ ამ სიბრაზით გული გაგითბა,  
თუ ამ ურუანტელს იგრძნობს სხეული.  
მეწყერი მეწყერს, ლანქერი ლანქერს,  
კლდე კლდეს ასკდება, ზვავს ღუპავს ზვავი.  
ცა მოწყალებით თავზე დამცეკერის,  
არ მემეტება მოვიკლა თავი.

## აპტოპორტონი

უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები,  
სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა.  
იღლის დაკოცნით მალე ვიღალები,  
მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფანტა.  
მასსენეს ელოდნენ დათლილი თითები,  
ჯირითს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები,  
სხვანაირ მუსიკის დღეს მბანენ ზვირთები,  
ძვირფასად ვინთები ლექსების ხსენებით.

აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი,  
ვოცნებობ ბალდათზე მოღლილი დენდი,  
ვფურცლავ მალარმეს „ივიგატიონ“-ს.

იყავ რაც გინდა, შავი, საცოდავი,  
ცხოვრება, ხელში მაქვს მე შენი სადავე,  
რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ გაქციო.

ჩ

# თემურ აფაქიძე — ავიაციის გენერალ-მაიორი

თემურ ავთანდილის ძე აფაქიძე თბილისში დაიბადა 1954 წლის 4 მარტს. საშუალო სკოლაში ლენინგრადში სწავლობდა. რვა კლასის დამთავრების შემდეგ, ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში ჩაირიცხა, 1986 წელს დაამთავრა ა. ა. გრეჩკოს სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემია, გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია — 2000 წელს.

თ. აფაქიძემ 1986 წელს რუსი საზღვაო მფრინავებიდან პირველმა შეასრულა დაჯდომა მძიმე ავიამზიდ კრეისერ საბჭოთა კავშირის ფლოტის „ადმირალ კუზნეცოვის“ გემბაზზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გადამწყვეტი როლი შეასრულა „ადმირალ კუზნეცოვის“ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში შენარჩუნებაში. უკრაინის მხრიდან არსებული პრეტენზიების პირობებში, 1991 წლის 1 დეკემბერს კრეისერი ექსტრენად და საიდუმლოდ იქნა გამოყვანილი სევასტოპოლიდან და გადაყვანილი ჩრდილოეთის ფლოტში. მასთან ერთად, ჩრდილოეთში გადავიდა 18 მფრინავი და მეასეპოლების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ასეული.

კოლეგა-მფრინავების მოგონებით, „აფაქიძეს ჰიანაფიქრი, მთელი პოლკი სრულად გადაეყვანა რუსეთში, მაგრამ, როდესაც უნახავს ტელევიზიონით იალტაში ერთმანეთს გადახვეული ელცინი და კრავჩუკი, მიხვედრილა, რომ არ ღირდა ადამიანების ბედის სასწორზე შეგდება გამყიდველი პოლიტიკოსების მძევლობის პირობებში; მაგრამ რუსეთისათვის თავისი ერთგულება მაინც დაუმტკიცებია იმით, რომ, როდესაც დამდგარა უამი ფიცის მიცემისა ახალი ქვეყნის — უკრაინისათვის, ის გამოსულა მწყობრიდან და განუცხადებია: მეჩემას სამშობლოს დიდი ხანია მივეცი ფიცი. სამხედროები ხელმოწერად არ დებენ ფიცი!“

როგორც კოლეგები იგონებდნენ, სული მას ჰქონდა ჭეშმარიტი

რუსი ოფიცირისა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებას შეუთავაზებია მისთვის, გაძლილოდა ქართულ სამხედრო საპარავო ძალებს, თემურს ზრდილობიანად უთქამს უარი. განუმარტავს კიდეც, რომ, თუმც კი მამით ქართველია, რუსეთშია გაზრდილი და რუსეთია მის გულში!

2002 წელს, გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, გენერალ-მაიორი აფაქიძე დაინიშნა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის მეთაურის მოადგილედ. 3 ათასი საათი ჰქონდა ნაფრენი თვითმფრინავების 13 სახეობაზე. აფაქიძის ანგარიშზეა 300 დაჯდომა კრეისერის გემბაზზე შავსა და ხმელთაშუა ზღვებზე, ატ-



ლანტიკასა და ჩრდილოეთში. შედიოდა იმ პილოტების ხუთეულში, რომელებიც დაუფლებიან „პუგაჩივის კობრას“ და „კოლოკოლს“. იყო ერთ-ერთი პირველი, ჩრდილოზღვის ავიატორთა შორის, ვინც გახდა ღირსი რუსეთის ფედერაციის გმირის სახელისა (1995 წლის 17 აგვისტოს).

აფაქიძე დაიღუპა 2001 წლის 17 ივნისს, სამხედრო-საზღვაო ავიაციის 85-ე წლის სადღესასწაულო საჩვენებელი გამოსვლებისას, ფსკოვის მახლობლად. მფრინავმა შეასრულა უმაღლესი პილოტაჟის ყველა ფიგურა და საფრენ ზოლს უახლოვდებოდა დასაჯდომად, როდესაც მისმა თვითმფრინავმა დაიწყო რყევა.

გვიანდელი რეტროსპექტული მონაცემებით, მას არ შეუსრულებია კატაპულტირების ბრძანება და თვითმფრინავის მინაზე დაცემამდე დარჩენილა კაბინაში, თვითმფრინავის გადარჩენის მცდელობით. სახელმწიფო მისის დასკვნა მეომრულად მკაცრი და ლაკონური იყო: აფაქიძე დაიღუპა ფსიქო-ფიზიკური გადატვირთვის შედეგად.






ბუნებრივია, ბოლომდე გამოცანად რჩება ამ ადამიანების ნაადრევი აღსასრულის ჭეშმარიტი მიზეზი.

სიკვდილისშემდგომი პატივი კი არ მოაკლდა რუსეთის ეროვნულ გმირს — ავიაგამანადგურებელ „Су-33“-ის დაცემის ადგილზე დაიდგა სამახსოვრო ნიშანი და ჩაეყარა საძირკველი სამრეკლოს; მურმანსკის ოლქის ქალაქ სევერომორსკში, საფონოვის მოედანზე, დაიდგა რუსეთის გმირის — აფაქიძის ბიუსტი.

**დეა სვანიძე**



## ცოდარ დუგაძის დაბადებიდან 85-წლისთავიან დაკავშირებით საერთაშორისო კულტურულ-საგანგაო და საფონო კულტურული კავშირი «რუსული კლუბი» აცხადებს



### გავათა ნახების კონკურსის «მე ვეღავ გზას»

კონკურსის მიზანია ახალგაზრდებს შორის ნოდარ დუმბაძის შემოქმედების პოპულარიზაცია, ნიჭიერ ბავშვთა და მოზარდთა მხარდაჭერა.

**კონკურსის პირობები:**

1. საკონკურსო ნამუშევრები უნდა იყოს შესრულებული ნოდარ დუმბაძის ნანარმოებების მიხედვით.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს და მოზარდებს **5-დან 17 წლამდე**, რომლებიც ცხოვრობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან სამ-ასაკობრივ ჯგუფში:

- I ჯგუფი – 5-დან 8 წლამდე;
  - II ჯგუფი – 9-დან 13 წლამდე;
  - III ჯგუფი – 14-დან 17 წლამდე.
3. თითოეულ ავტორს შეუძლია ნარმოადგინოს არაუმეტეს 3 ნამუშევრისა.

4. საკონკურსო ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული ნებისმიერ ტექნიკური A4 ფორმატის ფურცელზე.

5. საკონკურსო ნაშრომის უკანა მხარეს უნდა იყოს მითითებული შემდეგი ინფორმაცია:

**კონკურსის სახელი და გვარი**

**დაგადაბის თარიღი**  
საცხოვრებელი ადგილი  
სასწავლო დაცესაპულება  
**კონტაქტი:** ტელეფონი (მობილური და სახლის), ელექტრონული ფოსტის მისამართი

დაუსრულებული ნახატები კონკურსზე არ მიიღება.

6. საკონკურსო ნამუშევრები უკან არ ბრუნდება.

7. ნამუშევრები მიიღება შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, რუსთაველის გამზ., 2, ა.ს.ბრიბოედვის სახ. თბილისის სახელმიწოდო რუსული დრამათული თეატრი, მე-8 სართული, მთაწი 811.  
საკონკურსო ნამუშევრების მი-**

ღების ბოლო ვადა 2013 წლის 15 მაისი.

8. უიური გამოავლენს სამ-სამ გამარჯვებულს თითოეულ კატეგორიაში.

9. კონკურსის გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოება გაიმართება 2013 წლის ივლისში, როდესაც აღინიშნინება ნოდარ დუმბაძის იუბილე. დაჯილდოვების ცერემონიის ზუსტი თარიღი დამტებით იქნება დაანონსებული.

10. საუკეთესო საკონკურსო ნაშრომები წარმოდგენილი იქნება „რუსული კლუბის“ საიტზე ([www.russianclub.ge](http://www.russianclub.ge)), და VI საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

ყველა ყმანვილს ვიწვევთ მიიღონ მონაწილეობა ჩვენს კონკურსში და ვუსურვებთ წარმატებებს!

**ინფორმაციისთვის დარეკა:**

(+995 32) 2 93 43 36, (+995 32) 2 99 77 06

**საკონტაქტო პირი:** ნინო ნითლანაძე, ტელ.: 5 93 75 03 49

# ქართული ერისტიანული კულტურის კვალი ჩატილოვათ კავკასიის მთიანეთში

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში დღესაც შემონახულია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ტოპონიმები, ეთნოგრაფიული მასალა. ბალყარეთის, ყარაჩაისა და ყაბარდის ციხე-დარბაზები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სამარხები, ლეგენდა-გადმოცემები, საგვარეულო ისტორიები, ფოლკლორი ამტკიცებს ქართული ეთნიკური ელემენტის უძველესი დროიდანვე არსებობას ამ მხარეებში.

ეს ტერიტორიები ძველთაგანვე საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში იყო მოქცეული. ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კი ამ მხარეებზე გარკვეული გავლენა XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე შეინარჩუნეს სვანეთის სამთავრომ და ცალკეულმა ქართულმა თემებმა (მულახის თემი, მესტიის თემი...). ქვემოთ მოყვანილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები საგულისხმო ინფორმაციას იძლევა კავკასიონს გადაღმა არსებული ქართული სოფლების ტრადიციული ცხოვრების წესისა და მენტალობის შესახებ. მათმა მეცნიერულმა შესწავლამ დაადასტურა, რომ იგი ბევრი მახასიათებლით პირაქეთა საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) ყოფისა და კულტურის იდენტურია.

საისტორიო გამოკვლევებით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ბევრად შორს გადიოდა, ვიდრე დღესაა, და ქართველებს ეკუთვნოდათ კავკასიონის ქედს გადაღმა არსებული მიწებიც.

1834 წლამდე სვანეთის მთავრები აკონტროლებდნენ ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანი ნაწილის ზოგიერთ რაიონს, იქ ჯერ კიდევ ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა, არაქართველები კი ამ მიწებით სარგებლობისთვის გარკვეულ ბეგარას უხდიდნენ დადეშქელიანებს (იხ., გელოვანი ა., 2003).

ცნობილია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. სტრაბონის ცნობით, „სვანები... ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მნვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“ (ყაუხიშვილი თ., 1957);


მენანდრე პროტიქტორის ცნობით, ქართველები (სვანები) „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს,

ჰყავს მთავარი და მათ ქვეყანაზე სკვითები დადიან“.

ლეონტი მროველის თანახმად, „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე... არს სუანეთი“ (ქართლის ცხოვრება, 1955) და ა. შ.

საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგალითად, დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში ქართული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული, ბალყარეთის, ყარაჩაისა და ყაბარდის მთიანეთში კი ისინი განსაკუთრებით ბევრია, ვინაიდან ქართველები (სვანები) XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ცხოვრობდნენ ამ მხარეებში და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი (სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ბალსზემო თემები) 1834-1835 წლებამდე ინარჩუნებდა გარკვეულ გავლენას ყუბანისა და თერგის სათავეებში მდებარე ქართველთა ისტორიულ მიწებზე.

ბალყარელები და ყარაჩაელები ქართველების უშუალო მეზობელები მონაცემთა შემოსევების



შემდგომი პერიოდიდან გამხდარან. ქართული ენის სვანურ დიალექტებზე ბალყარელებს ამჟამადაც სვირებს უწოდებენ. ბალყარელები ყარაჩაელების მონაცესავე თურქულენოვანი ხალხია და ისინი იალბუზის მთის აღმოსავლეთით არიან განსახლებულნი. ქართულ წყაროებში ბალყარელის ბასიანს უწოდებენ. ყარაჩაელები ქართველთა მეზობლად, ცენტრალური კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. იალბუზის მთა ყარაჩაის გამოყოფს ბალყარეთისა და ყაბარდოსაგან. ყარაჩაელებს სვანები ყრჩოლს ეძახიან, გადმოცემით ცნობილია, ყარჩა ყარაჩაელთა ერთ-ერთი წინამდლოლი ყოფილა, რომელსაც ეს ხალხი ოქროს ურდოდან თუ ყირიმიდან გამოუყვანია და ჯერ ბაქსანში, შემდეგ კი ზემო ყუბანში დაუსახლებია (თოფჩიშვილი რ., 2007). ბალყარელები და ყარაჩაელები ქართველებს (სვანებს) ებზეს სახელით იცნობენ, ყაბარდოელები კი სონეს გვიწოდებენ.



XVI საუკუნის რუსული წყაროებით, ქართველები ჯერ კიდევ ვრცელ ტერიტორიაზე ჩანან განსახლებულნი.

XVII-XVIII საუკუნეებში კი თურქულენოვან ტომთა მოძალების-გან შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან იცლება ქართული ეთნოსისაგან. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დადიანთან მიმავალი რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარევის მიერ განვლილი მარშრუტიც: მათ „სონთა გზით“ მოაღწიეს „სონთა მიწამდე“ (დონდუზ ორუნის უდელტეხილი). მოსახლეობის ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოდის და თავისი მოგვარების გვერდით სახლდება სვანეთში. ნაწილიც ასიმილირდა ბალყარლებთან და ყარაჩაელებთან. ცნობილია, თანამედროვე ბალყარლთა და ყარაჩაელთა ეთნოგენეზისა და ეთნიკურ ისტორიაში ქართული ელემენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ბალყარლთა და ყარაჩაელთა შორის ასიმილირდნენ თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (ბალყარლთისა და ყარაჩაის მთიანეთში) დარჩენილი ქართველები. მაგალითად, ბალყარლი შახმურზაევები, ათმურზაევები და ტეეუევები ქართველი გუჯეჯიანების გვარის განაყრები არიან, გურჩალარ-ები — გურჩიანებისა, ოთარლარ-ები — დადეშქელიანებისა და ა. შ. საერთოდ კი ბალყარლთისა და ყარაჩაის საგვარეულოთა დიდ ნაწილს შემონახული აქვს ხსოვნა ქართული ნარმომავლობის შესახებ. ასეთი გადმოცემები დაცულია შემდეგ გვარებში: ათმურზალარ, მეჩიევლარ, ალმურ-



ზალარ, ებზელარ, ერისთავლარ, გეკილარ, ბოტტალარ, უაბოლარ, ქურდანლარ, შუანლარ, სოტალარ, ჩარკუიანლარ, ჯაფარლარ, უზდანლარ, ბეჩილარ, სუბილარ/სუბალარ, ცულუკიანლარ, გოჩიალარ და სხვ. (მიბრუანი, თ., 1987; გასვიანი გ., 1993; თოფჩიშვილი რ., 2007); ქართული წარმომავლობისაა ზოგიერთი საგვარეულო ყაბარდოშიც: შაგიროვები, სომგუროვები, ხოლაევები, ელუურკაევები, ტლეუჟევები, კადიროვები, მედალიევები, უიანოვები, ასევე, ყაბარდოელი ელმესოვები და ბალყარლი ოლმეზოვები და მახიევები თავიანთ წარმოშობას უკავშირებენ გელოვანებს და სხვა (Muscukae A., 2003).

წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ 1834 წლამდე საქართველოს (სვანეთის სამთავროს და ზოგიერთ სვანურ თემს) ეკუთვნოდა შედარებით ვრცელი

მიწები მდ. თერგის, ყუბანისა და ბაქანის სათავეებში. დადეშქელიანები თავიანთ საკუთრებად, სვანეთის სამთავროს უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტად ურუსბიევოს თვლიდნენ და სივრცეს იალბუზიდან მოყოლებული ვიდრე ჩეგმამდე საქართველოს (სვანეთის) ტერიტორიად მიიჩნევდნენ.

სვანეთის მთავრის ქვრივი დიგორხან დადეშქელიანი-გარდაფხაძის არქივში დაცულია მთავარმართებელ ბარონ როზენისადმი მიწერილი წერილი (1835 წლის 14 ივნისი), რომელშიც აღნერილია სვანეთის სამთავროსთვის ტერიტორიების ჩამოჭრის ისტორია: შახოვსკიმ „ყოვლისა მხრიდამ არა თუ შეავინროვა საზღვარი ჩუენნი, არამედ თვისისა აზრითა მისცა მამული ჩუენნი სხუათა, რომელიც გვქონია ჩუენ დღემდის. ამასთანავე მისცა ბრძანება, როგორც ყარაჩაელთა, აგრეთვე, ბახსანს მცხოვრებელთა, რათა დღეის იქით არღარა გვაძლევდნენ ჩუენ იგინი მამულის ჩუენისა შემოსავალს, რომლითაცა გვისარგებლნია და არს ჩუენი სამემკვიდრეო და მამულნიცა დასწერა მათ ზედ“. კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული დაყოფის დროს სვანეთის კუთვნილი მიწის ნაკვეთები გადავიდა სამეგრელოს, სოხუმის განყოფილების

**ყარაჩაისა და ბალყარლთის ერთი  
ნაწილის ტოპონიმების სოფლების,  
უკეთების, ციხეების, კოშკების, მთების,  
ხეობების, სატიბების... სახელები აისხება  
მეორედ ქართული სალიტერატური  
ენითა და მისი ღიალექტებით.**



(სამურზაყანოსა და აფხაზეთის), ყაბარდოსა (თერგის ოლქის) და ყარაჩაის (ყუბანის ოლქის) ფარგლებში.


ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობას ბალყარეთში, ყარაჩაისა და ყაბარდოში წერილობით წყაროებთან ერთად ადასტურებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალაც: ტოპონიმები, მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სასაფლაოები...), ფოლკლორი, საგვარეულო ისტორიები, რომლებიც დაფიქ-სირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული (სვანური) ნარმომავლობის შესახებ და ა.შ.

**ყარაჩაისა და ბალყარეთის ერთი ნაწილის ტოპონიმები** (სოფლების, უბნების, ციხეების, კოშკების, მთების, ხეობების, სათიხების... სახელები) აიხსნება მთვლოდ ერთული სალიტერატურო ენო-თა და მისი ღიალებით.

თ. მიბჩუანსა და გ. გასვიანს დაფიქსირებული აქვთ მრავალრიცხვანი ქართული ტოპონიმები, რომელთა ეტიმოლოგია აიხსნება მთვლოდ ქართული ენით (მისი სვანური დიალექტებით). მაგალითად: ბახსან, ბერი, ბერულ, ბოპუ/ბაჟუ, გეგიშ, გიდამ, თოთურ, ზიკარ, კოხჩარ, კიუმ ტობე, ლახრან, მურგვი, ლიბარდა, ლიალვერ, მარგიუშე, მისაკალანი უერლერი, ნაკრა, უაბოლანი, საკიალ ტიუბ, უსხურ, უჩკულან, ხულამი, ხუმარა, ცანა, ჩაბდარ და ა.შ.

ქართული ქრისტიანული კულ-

ფ. გიორგის სახელობის ეკლესია



ტურის კვალი ჩრდილოეთ კავკა-სიაში დღეს თითქმის გამქრალია, მაგრამ წერილობითი წყაროები

ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. **ა. ტურზო-ევის** ცნობით (1743 წ.), ჩეგემის ერთ ხეობაში 300 „სონის“ ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ქვის ეკლესია... ეკლე-სიებზე გამოსახულია ჯვრები. „სონები“ დიდმარხევის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგ-ჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარ-შავენ და ინანილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნებიც, რომ-ლებსაც თვალისჩინივით უფრ-თხილდებიან. მასალა თვალნათ-ლივ ავლენს ჩეგემში ქართველების კომპაქტური დასახლებების არსებობას. ასევე, სვანეთის ეთ-ნოგრაფიის ზერელე მცოდნეც კი ამ აღნერილობაში ადვილად ამო-იცნობს ქართველ მთიელთა (სვანთა) რელიგიურობას, კრძალვას

და მოწინებას ყოველივე საკრალურისა და საეკლესიო ქონებისადმი.

**ი. გიულდენშტედტის** ცნობების მიხედვით (1772 წ.), ბასიანელები ქველად იყვნენ ევეფერ-დომებისა და სამართლოს მმართველობისა, რომელთა ხელ-ვეითაც ისინი მართლგადი-დებილი ქრისტიანები გახდ-ნენ, რისი ნაშთია ახლაც არის შემონახული, ზოგი ძველი ეკლესიის, კვირა დღის უძმობის, დიდმარხევის შენახვისა და ღორის ხორ-ცის ჭამის სახით. მაგალითად, სამი საენი სიგრძის ქვის ეკლე-სია არის შემონახული ჩეგემის მხარეში ულუელთან (გულდენშტედტი, 1964). გიულდენშტედტი სხვაგანაც აფიქსირებს ეკლესიას: „ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის ალთი-ქესეკის კუთვნილი სოფელი ქე-ჩეია და მის მოპირდაპირე მხა-რეზე ქვის ძველი ეკლესია“ (გიულდენშტედტი, 1964). თ. მიბჩუანის დაკვირვებით, რომელმაც საგულდაგულოდ შემოიარა და შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის არქეოლოგია, ტო-პონიმიკა, ეთნოგრაფია, გიულ-დენშტედტისეული ულუელ-ის მხარე ამჟამინდელი ელტიუბე უნდა იყოს (ზემო ჩეგემი), ხოლო ს. ქეჩეია — დღევანდელი აული

**არის მოსაზრება, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში ფლობდენ სვანები კოშკების მსგავს ციხეებს, რომელებიც სვანების აგავული უდია იყოს და ეს მინებიც მათი კუთვნილია. აგრეთვე, სვანებისა იქ მდებარე ერისტიანული სასაფლაოები.**



ქართ-ჯურთია ან ლაბგვიარის  
(ულუ-კამის) მიდამოები, სადაც  
ძველთაგანვე ქართველები ცხო-  
ვრობდნენ.

1834 წელს ეს ადგილები ი. შახოვა-  
სკიმ შემოიარა და ვერც მან უარყო  
ჩეგმის მხარეში ქართული კულ-  
ტურის არსებობა. მაგალითად, ეკ-  
ლესის ნანგრევთან დაკავშირე-  
ბით ი. შახოვსკი წერს, „არქიტექ-  
ტურული ნიშნებით ეს ეკლესია  
სვანეთის ეკლესიების მსგავსია  
და იგი სვანებს და იმ დროს უნდა  
უკავშირდებოდეს, როდესაც იქ  
სვანები ცხოვრობდნენ“.

1849 წელს ა. ფირკოვიჩმა ბე-  
ზინგში ქართული ქრისტიანული  
ეკლესია აღნიერა. ტაძარი ქვით  
ნაგები და მოხატული ყოფილა.  
ფრესკებით შემკულ ტაძარზე  
ქართული წარწერებიც არსებუ-  
ლა. ამ წარწერებს ლ. ლავროვიც  
იხსენიებს. მისი აზრით, წარწერე-  
ბი ქართველი მშენებლების შეს-  
რულებული უნდა იყოს. ეს ეკლე-  
სია XX ს-ის 60-იან წლებში მთლი-  
ანად დაინგრა.

ლ. ლავროვის აზრით, მდ. ყუბანის სათავეებში ქართველები (სვანები) დასახლებულან XIV-XVII საუკუნეებში, პაქსანის ხეობაში კი — 1640-1743 წლებში და მათ ეს მხარე მიუტოვებით ყაბარდო-ელთა შემოტევების შედეგად, XVIII საუკუნის ბოლოს.

არის მოსაზრება, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში ფლობდნენ სვანური კოშკების მსგავს ციხეებს, რომლებიც სვანების აგებული უნდა იყოს და ეს მიწებიც მათი კუთვნილია. აგრეთვე, სვანებისაა იქ მდებარე ქრისტიანული სასაფლაოები; ხოლო მდინარეების — კიჩკენიკულისა და ყუ-

ბანის შესართავთან გვიჩვენებენ უძველესი ხიდის ნაგრევებს, როგორც საბუთს იმისა, რომ აქ ძველად მდებარეობდა მათი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, რომელიც დარაჯობდა საზოგარს.

ଏକଟୁଲିକ୍ ପାଇଁ ଦେବା ମଧ୍ୟରୀଙ୍କ  
ତଥା ମହାନ୍ ଶାଖାଗଭିତ୍, ସାବାରୀଶ-  
ଭାବିତ, ଲାଭପଦିତ ଶାଖାଗଭିତ୍ ସାବା-  
ଲାଭଗଭିତ୍, କାସାପ ଗିରାଫିକ୍ କାର୍ପି-  
କାର୍ପିକ୍ ଅନ୍ତରୀଳରେ ଯାଇଲାମାର୍କିଂ „କାର୍ପିକ୍“ ଦିନି  
ଓ ମାନିବାରେ ଶୁଣିଲାମାର୍କିଂ

ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები დაფიქსირებულია ყარაჩაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუანის მთაზე აღმართული ქრისტიანული ეკლესია („შუანა“), ქვედა არხიზის ეკლესია, თებერდის ხეობის სენტის მონასტერი. ეს ძეგლები X, XI, XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება. ცხადია, ყველა ეკლესია ქართულია, რაც დასტურდება არქიტექტურული სტილით და ტოპონიმიკით: „შუანა“ იგივე „სვანეთია“, „სენტი“, ბუნებრივია, ქართულ „სვეტ“-ს, სვეტ-


ცხოველს უკავშირდება. ამ სახელწოდების (“სვეტიცხოვლი-დან” მომდინარე) მონასტერი დგას მესტიაშიც — **სეტის წმ. გორგის მონასტერი**. ეს მონასტერი სვანეთის საერისთავოს სასულიერო ცენტრი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და იქვე მოღვაწეობდნენ ქორეპისკოპოსი სეტიელები (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1986).

ადგილობრივმა ფოლკლორმა  
და ტოპონიმეთა, ისევე, როგორც  
დანარჩენ ისტორიულ საქართვე-  
ლოში (ზაო, კლარჯეთი, შავშეთი,  
იმერხევი, ლაზეთი, ჰერეთი...), შე-  
მოინახა ხსოვნა საქართველოს

დიდი მეცნის — წმიდა თამარის შესახებ. ყარაჩაში, ყუბანის ხეობაში, ხურზუკის ახლოს დაფიქსირებული გადმოცემით, თამარ მეცნევა ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში. აქ შემონახულია ტოპონიმი თამარის „მოა“ მოაზა აიხა მოა-

„თამარის დება“. იქვე უკინებდება „თამარის ციხე“), დღეს იგი ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. იქვე შეინიშნება სხვა ნაგებობების კვალიც. „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს — 30 სენაკი. გადმოცემით, ამ სენაკებში თამარ მეფის ჯარი ბანაკდებოდა. **მთხოვნებს** თამარის საფლავი იქვე, ყუბანის ხეობის სათავეში ეგულებათ. ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული, მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა, მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე ნარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. **ხუმარშივე თ. მიბჩუანმა უზარმაზარი** ოთხეუთხა ლოდი დააფიქსირა, ე.ნ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს, იქვე აპამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედლებზე არსებულ ჩალრმავებებს.

ბალყარეთსა და ყარაჩაში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები, მაგ. ხუმარში, ნასოფლარ უაბოლარში (უაბოლარის ციხე-კომპლექსი დადემქელიანთა ერთშტოს „ოთარალარ“ - სუკავშირდება. გვარი „შუანალარ“ დღემდე ცხოვრობს ამ მხარეში, რაც ქართული ენის სვანური დიალექტით ახსნადია: „შუანალარ“, „სვანებისას“ ნიშანავს). საერთოდ, ჯვრების გამოსახულებები, სასაფლაოების გარდა, ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. გარდა ამისა, ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში შეინიშნება ქართული ქრისტიანული ტერმინების არსებობა: ეკლესიას კილისას / კლისას, ჯვარს კი ჯორს უნოდებენ. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანული სამარხი აღმოჩენილია





ყარაჩაიში, ყუბანის სათავეებში. იქ ნაპოვნია ადრეული შუა საუკუნეების, X-XIII საუკუნეების, ასევე გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები... ცნობილია, რომ ყაბარდოელთა რწმენა-ნარმოდგენებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქრისტიან წმინდანებს: ღვთისმშობლს, ელია წინასწარმეტყველს, წმიდა გიორგის, რაც ამ მხარეზე ქართული კულტურის გავლენითაა განპირობებული.

მკვლევართა დაკვირვებით, ბალყარეთსა და ყარაჩაიში გამოვლენილია ქართული ტიპის 40-მდე საფორტიფიკაციო ნაგებობა: უამრავი ციხე-კოშკი, ტოპოლოგიურად და ასევე, გადმოცემების თანახმად, ქართველთა აგეპუ-

**ლადა მიჩნეული.** მაგალითად, ყარაჩაიში არის ხუმარის ნაქალაქარი (X-XI სს.), შუანა, თამარის ციხე, გოშაიხ ყალა — გოშვანთა ციხე; ბასითშა ყალა — უორულიანების კოშკი; ბალყარეთში: ებზე ყალა, ბადიილშა ყალა — გოშტელიანების კოშკი. ცნობილია, ბეზინგი ჩერეკის მარჯვენა მხარეს იდგა ციხე-კომპლექსი „ჟაბოლარის ციხე“. იგი ერთ სვანური ტიპის კოშკს და სამ ქვის სახლს მოიცავდა. ციხე დადემჭელიანების განმტობის — ოთაროვების კუთვნილი იყო.



უღელტეხილებთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა, ვისაც შედარებით აქტიური მიმოსვლა ჰქონდა ბალყარეთთან და ყარაჩაისთან (მესტია, მულახი, ბეჩი, ნაკრა...) საბჭოთა კავშირის დაშლამდე ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა გადაღმა მხარეს მცხოვრებ ყარაჩალელთა და ბალყართა იმ ნანილთან, რომელიც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა; ამავე დროს, არსებობდა ჩრდილო კავკასიელ და ქართველ მთიელთა ძმადგაფიცვის ჩვეუ-

**ლებაც.** მას ხელს უწყობდა ხშირი სტუმრობა ერთმანეთთან, ერთმანეთის ენების ცოდნა. ბევრმა ხანდაზმულმა სვანმა იცოდა ბალყარული და ყარაჩაული, ასევე ჩრდილოეთ კავკასიელებს ესმოდათ სვანური.

ქართველ მთიელთა მენტალობაში დღემდე შემონახული ტკივილიანი მოგონება დაკარგული ქართული მიწების შესახებ. მითუმეტეს აქტუალური იქნებოდა ეს პრობლემა XIX საუკუნეში. პირიქითა ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული პროცესტის შესახებ მოთხოვილია 1872 წლის გაზეთ „დროებაში“: მულახის თემის მაცხოვრის ეკლესიას საეკლესიო მიწა ჰქონია ბალყარეთში.

თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (შემდგომ ბალყარეთად წოდებულ მხარეში) მცხოვრებმა ქართველებმა შესწირეს მულახის „მაცხოვარს“. მოგვიანებით ქართველთა ერთი ნანილი პირაქეთა საქართველოში გადმოვიდა, ნანილი კი ასიმილირდა ბალყარებთან, მაგრამ დარჩა ხსოვნა საეკლესიო მიწის არსებობის შესახებ. ყოველივე საეკლესიო ქონება კი, იქნება ეს რელიგიური სიწმინდე, სარიტუალო ჭურჭელი, საეკლესიო მიწა და სხვ., ქართველ მთიელთა განსაკუთრებული კრძალვისა და საგულდაგული დაცვის ობიექტია.



# სტეპანაძე ავთადილ მიქაელის

დღევანდელი ჩვენი სტუმარი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ავთადილ მიქაელი გახლავთ. მისი ძეველი ფოტოალბომი საინტერესო ადამიანებს და მათთან დაკავშირებულ ისტორიებს დღემდე ინახავს. პირველივე გვერდზე ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძის ფოტო გვხვდება. ის ბრწყინვალე მსახიობი იყო, იხსენებს ბატონი ავთო, მაგრამ მას არა მხოლოდ სახიობობა ხელენიფებოდა, არამედ შესანიშნავი და ერთგული მეგობარიც გახლდათ, რომელიც ყველას უყვარდა და უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა მარტო თეატრის კი არა, მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.



კორეიცების „ხსოვნა გულისა“, რეჟისორი დოდო ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და ავთო მიქაელი (ანთონიშვილის როლში)

ბატონი ავთო ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის 3-ე კურსის სტუდენტი იყო, როცა უკრაინიდან ახლად დაბრუნებულმა დიმიტრი (დოდო) ალექსიძემ შეამჩნია. მას ბატონი ავთოს საკურსო სპექტაკლი „კიდევ ერთხელ სიყვარულზე“ უნახავს.

„სპექტაკლის მეორე დღეს ბატონმა დიმიტრიმ დამიპარა, — იხსენებს ბატონი ავთო. — ძალიან მეშინოდა, არ ვიცოდი, რას მეტყოდა... მან კი განცხადება დამანერინა და სრულიად მოულოდნელად სტუდენტი ახალგაზრდა მსახიობად მიმიღო მარჯანიშვილის თეატრში“.

ამის შემდეგ ბატონმა დიმიტრიმ დადგა სპექტაკლი „ხსოვნა გულისა“, სადაც მთავარ როლებში ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე, კოტე მახარაძე, შესანიშნავი მარინა თბილელი და ქართული სცენის სხვა კორიფეები თამაშობდნენ. მათ შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა დამწყები მსახიობი ავთანდილ მიქაძეც, რომელსაც წილად ხვდა ქალბატონი ვერიკოს შვილიშვილის როლი. „უდიდესი გავლენა მოახდინა ამ სპექტაკლმა ჩემზე, — აღნიშნავს ბატონი ავთო. — ასეთი ბედნიერი შემთხვევები იშვიათად ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში და აუცილებლად ბედის საჩუქრად უნდა მივიღოთ“. ქალბატონ ვერიკოს მართლა შვილიშვილივით ყვარებია ბატონი ავთო. ამას მათ ფოტოზე ვერიკოს მიერ გაკეთებული დაუვინყარი წარწერაც მოწმობს. უდიდესი მოწინებითა და პატივისცემით იხსენებს ბატონი ავთანდილი ქალბატონ სესილია თაყაიშვილს. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ფირფიტაზე ჩავნერეთ, — იხსენებს ბატონი ავთო. — საოცარი ქალბატონი გახლდათ სესილია. მოსიყვარულე, კეთილი, მაგრამ ამავე დროს საოცრად პირდაპირი. ასეთი გენიალური ადამიანები აღარც იბადებიან.



„ლურჯი ურჩეული“  
 (რეჟისორი: გ. კუშუბეძე).  
 ავთონ მიქაელი  
 (ტრუფალდონი) და  
 გურანდა გაბუნია



ისინი თითქოს რაღაც შინაგან სინათლეს ასხივებდნენ. ერთხელ გახმოვანებაზე ჩემი უმცროსი შვილი მივიყვანე, თუ გახსოვთ, იქ არის მომენტი, როცა პატარა ბიჭუნას წერილი მიაქვს ილარიონთან, ის კი ყურს აუწევს. ეს საპა-

სუხისმგებლო საქმე, ჩემს უმცროს ვაჟს ერგო წილად. (ილიმის) ასე მიიღო მან თავისი პირველი ჰონორარი“.

საქართველო ძალიან მდიდარია გენიალური მსახიობებით, რეჟისორებით დრამატურგებით, მწე-

რლებით. დიდი ბედნიერება კი ის არის, რომ ჩვენ, ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს და ერთმანეთის მეგობრები ვართ.

ავთანდილ მიქაელ თავისი სამსახიობო კარიერის მანძილზე მრავალი გმირი განასახიერა. „ჩე-

„ლურჯი ურჩეული“ — ავთონ მიქაელი, გურანდა გაბუნია და ლეო ანთაძე





მარჯანიშვილის თეატრის ფოიეზი: ავთანდილ მიძაპე, ნანა ჩიქვინიძე, რამაზ ჩხილებილი, გია გურჯანაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ჯემალ მონიავა, მარია ჯაჭვა, ამირან გუარე და ვატარა თამაზნა ნიკოლაძე

მი პროფესიონალ მსახიობად ჩა-  
მოყალიბება ქალბატონ მედეა კუ-  
ჭუხიდის დამსახურებაა, — აღნ-  
იშნა ბატონმა ავთანდილმა. —  
ქალბატონმა მედეამ მთელი თა-  
ვისი შემოქმედებითი სული და  
გული გადმომცა, ის ჩემი პედაგ-

ოგი გახლდათ პირველიდან ბო-  
ლო კურსამდე“.

ერთი ისტორიაც მინდა გავიხსე-  
ნო: ჩემს მეგობარს შვილი შეეძინა  
და წყნეთში წავედით ამ ამბის აღ-  
სანიშნავად. სუფრაზე თამადა  
გახლდით. იმ დღეს თურმე სპექ-

ტაკლი მქონია, მე აღარ მახსოვ-  
და და საღამოს, როცა სპექტაკლის  
დრო მოახლოვდა, დაინტეს ჩემი  
ძებნა. მიპოვეს კიდეც წყნეთში...  
ისეთი ნასვამი ვიყავი, როცა თე-  
ატრში მიმიყვანეს, ბატონი გიგა  
კატეგორიული წინააღმდეგი იყო  
ჩემი გამოსვლის, რაც სპექტაკლის  
ჩაშლას ნიშნავდა. მხოლოდ ქალ-  
ბატონ მედეას დაუინებული  
მოთხოვნით სპექტაკლი შედგა,  
თანაც დიდი წარმატებით. ასეთი  
ნდობა გამომიცხადა ქალბატონმა  
მედეამ მაშინ.

კიდევ ერთი მოგონება ჩემს  
ძველ მეგობრებს უკავშირდება: — წლების წინ, კიევში რაღაც საქ-  
მეზე უნდა ჩავსულიყავი. მარტო  
ნასვლა არ მინდოდა და ჩემს უახ-  
ლოეს მეგობარს, რომელიც ახლა  
ცოცხალი აღარ არის, ვთხოვე, ნა-  
მომყოლოდა. ისიც დამთანხმდა.  
ეს ადამიანი ჩემი შვილის ნათლი-  
აც იყო და ბევრი რამ გვაკავში-  
რებდა ერთმანეთთან. **ბატონ კო-  
ტე მახარაძეზე მოგახსენებთ.**



კაფი ფილმიდან „ხსოვნა“



„ნუ გემინია, დედა“, ავთონ მიქარე ავთანდილ პატელის როლში



ერთი სიტყვით, წავედით კიევში, ქალბატონი სოფიკოც ჩვენთან ერთად წამოვიდა და მივედით იმ დაწესებულებაში, სადაც საქმე მქონდა. უნდა მოგახსენოთ, რომ პირველად მე შევედი, მდივანი ქალბატონი კი რუსულად მეუბნე-

ბა, — დირექტორს არ სცალია და ვერ მიგიღებთო. მე ვთხოვე, გადაეცით, რომ მასთან სტუმრები იყვნენ თბილისიდან. მდივანი ისევ უარზე იყო. მაშინ კოტემ ველარ მოითმინა და ღიმილით შემოვიდა ოთახში. ამ ქალის სახე არ დამა-

ვიწყდება. გახარებული წამოდგა ადგილიდან. ქალბატონი სოფიკო რომ დაინახა, სიხარულით გადაეხვია მას, მერე პირდაპირ გააღო თავისი დირექტორის კაბინეტის კარი და შევიდა. იქ თურმე მართლაც რაღაც საქმიანი თათბირი ტარდებოდა. სულ ცოტა ხანში მთელი კაბინეტი გარეთ გამოვიდა. ერთი სიტყვით, დიდი პატივი გვცეს და ისე გამოგვისტუმრეს. ნამდვილად გული მწყდება, რომ ისეთი ადამიანები, როგორებიც კოტე და სოფიკო იყვნენ, აღარ არიან ჩვენ გვერდით...

ძალიან ბევრი გენიალური მსახიობი დააკლდა თეატრს და ზოგადად მთელ ქვეყანას, მაგრამ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაც ავსებს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას. მინდა ვუსურვო მათ წარმატება. უდიდესი წვლილი შეეტანოთ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, როგორც ეს წინა თაობებმა გააკეთეს, ყოველგვარი ანგარების გარეშე“.

**ეკა კახიანი**

„ისევ ვოდევილები“, ავთანდილ მიქარე ერთიას როლში



# «მოგონებაზე გარდასულ დღეთა»

საქართველოში იყვნენ და დღესაც არიან მწერლები, რომლებსაც მწერლობის დასამტკიცებლად არანაირ კავშირში ყოფნა არ სჭირდებოდათ — ისინი ხალხის რჩეულები იყვნენ. ამავე დროს, ზოგიერთ კარგ მწერალსა და პოეტს მაინც უწევდა და უწევს „მწერალთა კავშირში“ ყოფნა, თუმცა ამას თვითონ მწერლებიც ირონიულად უყურებენ.

ცნობილია, რომ ილიასა და იროდიონ ევდომენილის დამოკიდებულებას მაინცდამაინც ტკბილი არ ეთქმოდა. მით უმეტეს, რომ ევდომენილი (ხოსიტაშვილი) სოციალ-დემოკრატი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იროდიონ ევდომენილი ილიას საჯაროდაც აკრიტიკებდა და სიტყვას აწყვეტინებდა, მან ილიას მკვლელობისთანავე დატოვა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

\*\*\*

თსუ-ს რექტორი, ნიკო კეცხოველი, როდესაც სტუდენტები ილიას სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად საგურამოში მიჰყავდა, წინამურის ობელისკთან აუცილებლად ჩერდებოდა და სტუდენტებს ეუბნებოდა: „ეს ის ადგილია, სადაც... ვერ მოკლეს ილია!“

\*\*\*

ერთხანს მწერალთა კავშირში ბულალტრად ვინმე აკაკი მუშაობდა, მოანგარიშედ — ილია. რათქმა უნდა, გალექსეს: „დარბაზი გატრუნვილია, ისმის ჩოთქების რაკრაკი, სხედან აკაკი, ილია, — ვით ილია და აკაკი!“

\*\*\*

„დიდი მოურავის“ ავტორი, სიმონ ქვარიანი საზღვარგარეთ იყო. როცა ჩამოვიდა, მწერალთა წრეში განაცხადა, ჩვენი ენიდან უნდა ამოვილოთ ისეთი ასოები, რომლებიც უცხოურში არ იხმარება, მაგალითად, ძ, ჭ, ჯ და სხვებიო. აკაკი წამოდგა და თავისი აზრის გამოთქმა ასე დაიწყო: „ვირფასო სიმონ!..“

\*\*\*

მთიულებს ვაჟა-ფშაველა არ უყვარდათ. ახლაც მოგიყვებიან, როგორ შემოუვლია ვაჟას „ბახტრიონზე“ მუშაობის დროს — ამდენი და ამდენი ცხვარ-ძროხა მომეცით და ბახტრიონის ციხის

აღებაში მთიულებსაც მივაღებინებ მონაწილეობასო...

\*\*\*

ემიგრაციაში მყოფმა რობაქიძემ გაიგო, რომ მისი რეაბილიტაცია ჰიტლერზე დაწერილი მისი წიგნის გამო ფერხდებოდა, რაზეც გულმოსულმა თქვა: კაცო, მელენინზეც დავწერე და, რავა, კომუნისტი ვარო?

\*\*\*

90 წელს გადაცილებულ აკაკი შანიძესთან ალექსანდრე ბარამიძე მივიდა, დაბადების დღე მიულოცა და 100 წლის სიცოცხლე უსურვა. აკაკი შანიძე მოიღუმა და, როცა სტუმარი კართან მიაცილა, უთხრა: „ალექსანდრე! ას წელინადს ჩემითაც ვიცოცხლებ, შენ ცოტა მეტი გეთქვაო!“ — მართლაც, აკაკი შანიძემ 100 წელინადს იცოცხლა.

\*\*\*

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე შალვა ნუცუბიძე ამტკიცებს, რომ სტრიქონი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა“ რუსთველისული არ არის, გადამწერის ნახელავია და ამბობს — რუსთველს როგორ შევედრებიო. კორნელი კეკელიძე დაინტერესდა: „რუსთველისად“ — ში „სად“ რას ნიშნავსო. შალვა ნუცუბიძემ მიიხედ-მოიხედა, სადმე ქალი ხომ არ არისო და უპასუხა: „არ იცი, კაცო, კორნელი? — სად ერეკლე და სად...“

\*\*\*

შალვა ნუცუბიძეს ერთხელ შეკამათება მოუხდა პრორექტორთან, რომელიც გვარად გვერდნითელი იყო. როცა მოთმენა აუტანელი გახდა, შალვა ნუცუბიძემ ხმამაღლანამოიძახა: მთლად წითელმა ვერაფერი დამაკლო და გვერდნითელმა რა უნდა მიქნასო...

\*\*\*

შალვა ნუცუბიძეს ლექციაზე აგვიანდება. ვესტიბულში რექტორი, ნიკო კეცხოველი შეხვდა და მიაძახა: „შალვა, როდის იწყება ლექცია?“ შალვამ მხარუკულმა უპასუხა: „როცა ლექტორი აუდიტორიაში შევა!“

\*\*\*

შალვა ნუცუბიძე ცოტათი ფულის მოყვარული კაცი იყო და ერთხელაც ფონეტიკოსმა გიორგი ახვლედიანმა ჰკითხა: „შალვა, როგორ მარის შენი ფულესოფია?“, რაზეც შალვა ნუცუბიძემ უპასუხა: „შენს ფუნეტიკაზე უკეთ!“

\*\*\*

პოეტი კარლო კალაძე ამბობდა, უნიკალური კაცი ვარ, მეორე ცოლს ჰირველზე დისერტაცია დავაწერინეო. მართლაც, კარლო კალაძის მეორე ცოლმა, რომელიც ხელოვნებათმცოდნე იყო, პოეტის ჰირველი ცოლის, მხატვარ თამარ აბაკელიას, შემოქმედებაზე დისერტაცია დაიცვა.

\*\*\*

მწერალთა სასახლეში სხდომაა, რომელსაც ბესო ჟღენტი უძღვება. დარბაზში ხმაური იყო და ჟღენტმა გამოაცხადა, — აქ ზოგიერთები ზიან და ხელს გვიშლიანო. „ზიან კი არა, ბესო, სხედან!“ — შეუწორეს დარბაზიდან. „ჰო, ზიან კი არა, სხედან და ზიანს გვაყენებენ!“ — არ დაიბნა ბესო ჟღენტი.

\*\*\*

ნიკო მუსხელიშვილს ამბავი მიუტანეს, ფიზიკის ინსტიტუტში თანამშრომლებმა იჩხუბეს და ერთმა მეორეს თავი დაარტყაო. მუსხელიშვილმა ჩაილაპარაკა: „ბოლოს და ბოლოს დაიწყეს ფიზიკის ინსტიტუტში თავით მუშაობა!..“

აკაკი ხინთიბიძის წიგნის „მოგონებანი გარდასულ დღეთა“ მიხედვით

